პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდო მთავრის) ქ № 6ა. მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 20 კ., ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადების ფასი იკლებს 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ბევრჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ოთხშაბათი, 18 იანვარი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 14 (2057)

დ ღ ი უ რ ი

- — კონფლიქტი ტრანსიორდანიასა და საფრანგეთს შორის.
- — მუშათა და გლეხთა ბლოკის გამარჯვება ატის (საფრანგეთი) მუნიციპალურ არჩევნებში.
- — საფრანგეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება.
- — ამერიკის შრომის ფედერაციამ გადაწყვიტა დამოუკიდებლად არ გამოვიდეს პრეზიდენტის არჩევნებში.
- — ბელგრადში გაიხსნა სამხრეთ-სლავიის დემოკრატიულ პარტიის ყრილობა.
- — ინგლისის დამსჯელი ექსპედიცია სუდანში.
- — შეტაკება პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მემარცხენე და მემარჯვენე ფრთის მომხრეთა შორის.

23 იანვარს აჭარისტანის ს. ს. რ. ქ. ბათომში
გაიხსნება
სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი

მესამე სესია

სესიის დღის წესრიგი:

1. მოხსენება ავტ. ს.ს.რ. აჭარისტანის მთავრობის მოქმედების შესახებ.
2. პროექტი დებულებისა ს.ს.ს.რ. ქალაქის საბჭოების შესახებ.
3. პროექტი ს.ს.რ. მიწის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
4. საქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კოდექსის პროექტი.
5. პროექტი ს.ს.რ. სისხლის სამართლის კოდექსის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.
6. განხილვა და დამტკიცება საკანონმდებლო აქტებისა, რომელიც პრეზიდიუმის მიერ მიღებულ იყო სესიიდან სესიამდე.

ცაკის წევრებისა და კანდიდატების გამგზავრების დღე და წესი გამოცხადებული იქნება დამატებით.

ს.ს. ცაკის მდივანი—შ. მათიკაშვილი.

ოთხშაბათს, ა/წ. იანვრის 18-ს, საღამოს 7 საათზე

შესდგება

საქ. ცაკის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

ს. ს. ცაკის მდივანი შ. მათიკაშვილი.

სესხი გლეხის მეურნეობის განმტკიცებისათვის

საკავშირო კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობამ ჩვენს წინაშე ერთ-ერთ დიდ ამოცანათ დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი გაუმჯობესება-გამაგრებისათვის ბრძოლა. ამ ამოცანის განხორციელება უნდა მიმდინარეობდეს სოფლის მეურნეობის მექანიზაციის, გლეხური მასის პოლიტიკურად და კულტურულად დაწინაურების გზით. ერთ-ერთ საუკეთესო ორგანიზაციულ ფორმებათ ასეთ მუშაობისათვის მიჩნეულია გლეხური მასის კოლექტივიზაცია. მაგრამ მარტო ორგანიზაციული ღონისძიებებით ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ. რომ სოფელი ეკონომიურათ კიდევ უფრო მოღონიერდეს და ფეხდაფეხ გაჰყვეს ქალაქის მრეწველობას, რომ გლეხური მასა კიდევ უფრო გაიზარდოს კულტურულათ, რომ შესაძლებელი გახდეს სოფლის კეთილმოწყობის საქმის სასურველ დონემდე აყვანა. ამისათვის ორგანიზაციულ ღონისძიებების გარდა საჭიროა მატერიალური საშუალებებიც.

სახელმწიფო სალაროდან გაღებული საშუალებები ვერ ფარავს სწრაფი განვითარების გზაზე მდგომ სოფლის მეურნეობის ყველა მოთხოვნილებებს, საკავშირო კომუნისტურ პარტიის მე-15 ყრილობამ სოფლის მეურნეობის განვითარება, რომელმაც საერთოთ მიაღწია ომამდე არსებულ დონეს, სკმაოთ ვერ სცნო. სახალხო მეურნეობა სოფელს ახალსა და ახალ მოთხოვნილებებს უყენებს, რომელთაც ვერ დააკმაყოფილებს ძველ, დრომოჭმულ სამეურნეო ფორმებზე მომუშავე სოფელი, სახელმწიფოს ამ შემთხვევაში უნდა დაეხმაროს თვით გლეხური მასა. სოფლის მეურნეობის მექანიზაციის და საერთოდ სოფლის კულტურულ - ეკონომიურად ამაღლების ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს გლეხურ მეურნეობის განმამტკიცებელი სესხი, რომელიც გამოშვებულია 100 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ჩვენ უკვე გვაქვს ასეთივე სესხის რეალიზაციის საუკეთესო ცდა მრეწველობის დარგში. ინდუსტრიალიზაციის სესხის გამოშვებას მშრომელი მასები იშვიათი თანაგრძნობით შეხვდენ და ნაცვლად ოფიციალურად დაწესებულ 200 მილიონ მანეთისა, ეს სესხი განაღდებულ იქნა 250 მილიონ მანეთის რაოდენობით. ჩვენ გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ასევე წარმატებით იქნება ჩატარებული გლეხურ მეურნეობის განმამტკიცებელი სესხიც. ამის თავდებია პირველყოვლისა ის ფაქტი, რომ გლეხკაცობა თუ საერთოდ ავიღებთ მთელ საბჭოთა კავშირს, დღეს ეკონომიურათ უფრო ძლიერია, ვიდრე ომამდე იყო. მიწის რეფორმის ჩატარებამ, ერთიან სასოფლო - სამეურნეო გადასახადის შემოღებამ მთელი თავისი შეღავათებით, საბჭოთა ხელისუფლების საკრედიტო პოლიტიკამ, კოოპერატიულმა მშენებლობამ სოფლად, ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოსახლეობაზე გადაცემამ და მრავალ სხვა ღონისძიებებმა. შესაძლებლობა მისცეს გლეხკაცობას წინანდელთან შედარებით უფრო გაემაგრებია და გაეფართოებია თავისი მეურნეობა. სულ მცირე გამოანგარიშებით მთელ საბჭოთა კავშირის ფარგლებში სოფლად დღეს დაგროვილია 150 მილიონი მანეთი ზედმეტი ფული, რომელიც უქმად ძევს, ამ თანხის ამოძრავება, მისი დატრიალება, უდიდეს სარგებლობას მოუტანს არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ უშუალოთ თვით გლეხკაცობასაც, ამ თანხის ამოძრავების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს გლეხურ მეურნეობის განმამტკიცებელი სესხი.

რომ ისეთივე წარმატებით ჩატარდეს ეს სესხი, როგორც ჩატარდა ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანია, ამისათვის საჭიროა ფართე გლეხურ მასებმა იცოდენ სესხის პირობები, ეს პირობები კი იმდენათ ხელსაყრელია სესხის ობლიგაციების შეძენისათვის, რომ ისინი უთუოდ დააინტერესებენ და მიიზიდავენ სოფლის მოსახლეობას. ამიტომ გლეხურ მეურნეობის განმამტკიცებელ სესხის პოპულიარიზაციის საქმეში მთავარი ადგილი უნდა ეჭიროს კონკრეტულობას, სახელდობრ სესხის ობლიგაციების შეძენისა და ამ სესხისაგან გამომდინარე სარგებლის ახსნა-განმარტებას. უნდა გაიგოს თვითეულ გლეხმა. რომ შეიძლება არა მარტო მთლიან ობლიგაციის, არამედ მისი მეოთხედის შეძენაც, რომელიც ღირს 2 მანეთი და 50 კაპეიკი. საჭიროა იცოდეს მთელმა სოფელმა თუ მოგების რა დიდი შანსებია ამ სესხში (ყოველ 30 ობილგაციაზე მოდის თითო მოგება).

ადგილობრივი ორგანიზაციები განსაკუთრებით უნდა დააინტერესოს სესხის რაც შეიძლება ფართეთ გავრცელებამ, ვინაიდან სესხის ობლიგაციების გავრცელებისაგან ამა თუ იმ რაიონში შემოსულ თანხის 10 პროცენტი ადგილობრივ საჭიროებასვე მოხმარდება. ამ მატერიალურ ხელმოკლეობის პირობებში, რომელსაც განიცდის ჩვენი ადგილობრივი აპარატი, ადვილი წარმოსადგენია რა დახმარებას წარმოადგენს სესხის 10 პროცენტიანი ანარიცხებისაგან მიღებული თანხა.

გარდა ამისა, გლეხურ მეურნეობის განმამტკიცებელ სესხს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოფლის მოსახლეობისათვის იმ მხრივ, რომ მოგება შეიძლება აღებულ იქნას როგორც ფულათ, ისე სასოფლო-სამეურნეო იარაღებითაც, რომელთაც სათანადო ორგანოები დაუთმობენ მოგების მქონე ობლიგაციის პატრონს ისეთივე შეღავათიან პირობებში, როგორც ისინი ეთმობა კოლექტიურ მეურნეობებს და ღარიბ გლეხებს.

სოფლის ყველა ორგანიზაციები აქედანვე უნდა შეუდგენ გლეხურ მეურნეობის განმამტკიცებელ სესხის გასაღების სამზადისს. არ უნდა დარჩეს არც ერთი ადმინისტრატიულ - სამეურნეო-კულტურული და ყოველი სახის ნებაყოფლობითი ორგანიზაცია, რომელიც შესაფერის წვლილს არ შეიტანს სესხის გავრცელების საქმეში. არ უნდა დარჩეს არც ერთი გლეხი, რომელსაც არ ეცოდინება სესხის გამოშვების შესახებ და ამ სესხის შეძენის აუცილებელი პირობები. გლეხურ მეურნეობის განმამტკიცებელ სესხის გავრცელება მორიგ გამოცდას წარმოადგენს ადგილობრივი აპარატისათვის. ის ცხადჰყოფს, სად, როგორ და რამდენათ უნაკლოთ მუშაობს ჩვენი [illegible], სამეურნეო და საზოგადოებრივი აღმშენებლობის ორგანოები. ახლო მომავალი გვიჩვენებს, ვინ როგორ ჩააბარებს ამ გამოცდას.

გაიხსნა პან-ამერიკული კონფერენცია

გერმანიის მუშების ბრძოლა.—სახელმწიფო მმართველობის რეფორმა გერმანიაში

ინდოეთის ყველა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს საიმონის კომისიას

ომი ნიკარაგუაში.—ანტი-იმპერიალისტური ლიგის პროტესტი ამერიკის ინტერვენციის წინააღმდეგ

პან-ამერიკული კონფერენციის გახსნა

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. გავანაში გაიხსნა პანამერიკული კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა კუბის პრეზიდენტმა **მაჩადომ,** რომლის სიტყვა წარმოადგენდა მოწოდებას ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების იმპერიალიზმისადმი დამორჩილებისაკენ და მეგობრული თანამშრომლობისაკენ კონფერენციის სხდომებზე.



ჯონ პირპონტ მორგანი
ამერიკის ფოლადის კოოპერაციის თავმჯდომარე.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კულიჯმა, რომელმაც ქათინაურები უძღვნა ლათინური ამერიკის ქვეყნებს და **გვერდი აუხვია ყველა სადავო საკითხებს ამ ქვეყნებსა და ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის. ნიკარაგუას შესახებ კულიჯს სრულიად არაფერი არ უთქვამს.**

კონფერენციის პროგრამის პირველ რიგში სდგას ხელშეკრულების პროექტი, რომელიც განსაზღვრავს პანამერიკული კავშირის მოქმედების ფარგლებს და ფუნქციებს. ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატებს სურთ პანამერიკული კავშირი გადააქციონ ერთა ლიგის მსგავს დაწესებულებად, რომელიც ჩრდილო-ამერიკის იმპერიალიზმის იარაღი იქნება. (ადს)

ანტი-იმპერიალისტური ლიგის პროტესტი

პარიზი, 16 იანვარი. ანტი-იმპერიალისტურმა ლიგამ გაუგზავნა პანამერიკული კონფერენციის თავმჯდომარეს დეპეშა; დეპეშაში ანტი - იმპერიალისტური ლიგა პროტესტს აცხადებს ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის შედეგია ნიკარაგუას თავისუფლებისათვის მებრძოლთა ხოცვა, პროტესტს აცხადებს პორტარიკოს და გაიტის ოკუპაციის წინააღმდეგ, აგრეთვე ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ფინანსიური და პოლიტიკური ძალადობის წინააღმდეგ ცენტრალურ ამერიკაში, კერძოდ, სან-დომინგოსა და პანამაში. დეპეშას ხელს აწერენ ბარბიუსი, აინშტეინი რომენ როლანი, ბაშემი, სევერინი, მარგერიტი და სხვა. (ადს)

კარის მასხარა

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. გავანში ჩავიდა იუმორისტი **ვილ როჯერსი,** რომელმაც უკანასკნელ დროს შეერთებული შტატების „თეთრ სასახლეში“ კარის მასხარას ადგილი დაიჭირა. მან ხრულიად აშკარად შეუწყო ხელი ამერიკის ელჩს მექსიკაში **დვაიტ მოროუს** განეხორციელებინა თავისი „შემარიგებელი“ პოლიტიკა.

ჟურნალისტებთან საუბარის დროს როჯერსმა ცინიკურად განაცხადა: „რასაკვირველია, ჩვენი მდგომარეობა კონფერენციაზე მშვენიერ საბაბს წარმოადგენს დაცინვისათვის, ვინაიდან ნიკარაგუელებს რომ ერთ ხელს ჩამოსართმევად ვუწოდებთ, მეორე ხელით მათ ვხოცავთო“ (ადს).

დოლარის იმპერიალიზმი

პარიზი, 16 იანვარი. „ტანი“ უკეთებს რა კომენტარიებს პან-ამერიკულ კონფერენციას გავანაში, სწერს:

„ოპოზიცია ჩრდილოეთ-ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ განსაკუთრებით ძლიერა არგენტინაში, ბრაზილიაში და ჩილში.

იმ მდგომარეობის გამო, რომელიც შეიქმნა ომის შემდეგ, ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების განკარგულებაში მოექცა ფინანსიური საშუალებები, რომელნიც საშუალებას აძლევდენ მას წარმატებით განეხორციელებია პრაქტიკაში დოლარის იმპერიალიზმი; ეს იმპერიალიზმი წარმოადგენს მტაცებლობის და ბატონობის ახალ ფორმას. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსიური და სამხედრო უპირატესობამ სამხრეთ-ამერიკის რესპუბლიკებს ხელი არ უნდა შეუშალოს ლათინურ ქვეყნებს კეთილდღეობის და თავისი მორალური დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის საქმეში.

ასეთივე არგუმენტაცია მოჰყავს, როგორც დანარჩენ მემარჯვენე პრესას. ისე მემარცხენე ბურჟუაზიულ და სოციალისტურ გაზეთებსაც (ადს).

გერმანიის მუშების ბრძოლა

კონფლიქტი გერმანიის ლითონის მრეწველობაში

ბერლინი. 16 იანვარი. როგორც ვიცით, ჰალეში ლითონის სამრეწველო დაწესებულებაში გაფიცვა დაიწყო. **მაგდებურგ - ანჰალტში დანიშნულია ლითონის მრეწველობის მუშათა კრებები გაფიცვის ჩატარების წესრიგის გამოსარკვევად.**

შრომის მინისტრმა მოსალაპარაკებლად მიიწვია წარმოების მეპატრონეთა და მელითონეთა კავშირის წარმომადგენელნი. (ადს)

მუშების მოთხოვნილებანი

ბერლინი, 16 იანვარი. მუშათა კონფლიქტების ტალღა, რომლებმაც უკანასკნელ ხანებში, უმთავრესად, ლითონის მრეწველობაში იჩინა თავი, თანდათან სამთო მრეწველობის ცენტრებსაც ედება. **რურის, საქსონიის და ზემო სილეზიის მემაღაროები მოითხოვენ სამუშაო დღის შემოკლებას და ხელფასის გადიდებას.**

ბევრი წარმოების მეპატრონენი რურის ოლქში თავის მხრივ მოითხოვენ, რომ მუშებმა კვირაში ორჯერ ორი საათი ზედმეტი იმუშაონ.

15 იანვარს რურის ოლქში მოხდა მემაღაროეთა პროფკავშირის წევრთა 40 კრება. ამ კრებებზე ერთხმად მიიღეს რეზოლიუცია, რომელიც **მოითხოვს უახლოეს ხანში შეთანხმების დარღვევას ზედმეტი სამუშაოების შესახებ.** რეზოლიუციაში გამოთქმულია აგრეთვე იმედი, რომ მოკლე ხანში შესაძლებელი იქნება სამუშაო დღის შემოკლება და ხელფასის გადიდება სიძვირის გამო.

უახლოეს თვეებში მოსალოდნელია მუშებსა და წარმოების მეპატრონეთა შორის ბრძოლის თვალსაჩინოდ გაძლიერება ვინაიდან მარტ-აპრილის განმავლობაში თავდება სატარიფო ხელშეკრულებათა ვადა, ხელშეკრულებანი ეხება 3 მილიონზე მეტ მუშას. (ადს)

ომი ნიკარაგუაში

ამერიკა სცდილობს დააჩქაროს ნიკარაგუას ოკუპაციის ლეგალიზაცია

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. ოპოზიცია ნიკარაგუას პარლამენტში ყოველგვარი საშუალებით სცდილობს გააჭიანუროს იმ რეზოლიუციის მიღება, რომელიც ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების შეიარაღებული ძალების უფროსს ნიკარაგუაში ანიჭებს დიქტატორის უფლებას მომავალი არჩევნების დროს ნიკარაგუაში. ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ, რომ დაჩქარებით იქნეს მიღებული ეს რეზოლიუცია. რათა ნიკარაგუას ოკუპაციის ლეგალიზაცია მოხდეს პანამერიკული კონფერენციის გახსნამდე. (ადს)

ამერიკის სარდლობის განკარგულება ნიკარაგუაში

ნიუ-იორკი. 16 იანვარი. გაზეთების ცნობით, ამერიკის სარდლობამ ნიკარაგუაში წინადადება მისცა კათოლიკეთა ეკლესიის ადგილობრივ მმართველობას აუკრძალოს მღვდლებს ამერიკელი ჯარისკაცებისა და ადგილობრივი ქალების ჯვრის წერა. (ადს)

ინგლის-ამერიკის ნავთის ტრესტების ბრძოლა

„სტანდარტ ოილ“-ის პასუხი დეტერდინგს

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. „სტანდარტ ოილ კომპანიმ“ (ნიუ-იორკში) გამოაქვეყნა განცხადება იმ კამპანიის საპასუხოდ, რომელსაც დეტერდინგი აწარმოებს საბჭოთა ნავთის შესყიდვის წინააღმდეგ. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ჯერ კიდევ წარსული წლის სექტემბერში დეტერდინგი იმუქრებოდა ინდოეთში ნავთზე ფასების დაკლებით, თუ „სტანდარტ ოილი“ განაგრძობდა საბჭოთა ნავთის შეზიდვას ინდოეთში. შემდეგ განცხადებაში ნათქვამია:

„დეტერდინგი ამჟამად უკლებს ნავთის ფასს ინდოეთში, და თავის მყიდველებს აძლევს საიდუმლო შეღავათს. სექტემბრის დასაწყისში „სტანდარტ ოილმაც“ დაუკლო ფასები, რათა შეენარჩუნებია თავისი მდგომარეობა ბაზარზე, მაგრამ ამჟამად იგი ჰყიდის ნავთს დეტერდინგის მიერ დაწესებულ ფასებზე ძვირად. ფასების დაკლება ყველა შემთხვევებში დაიწყო კომპანია „როიალ დეტჩმა“ და არ ყოფილა გამართლებული არავითარი ეკონომიური მოსაზრებებით“.

განცხადება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დეტერდინგი წინად თვითონ ყიდულობდა საბჭოთა ნავთს (ამის აღნიშვნა წარმოადგენს პასუხის დეტერდინგის „მორალურ აღშფოთებაზე“ იმის წინააღმდეგ. რომ საზოგადოება „სტანდარტ ოილი“ ჰყიდულობს „კონფისკაცია-ქმნილ ნავთს“) და ხცდილობდა მოეპოვებია საბჭოთა ნავთის გაყიდვის მონოპოლიაც კი. როცა ვერ [illegible] ამ მონოპოლიის მოპოვება, მან მოითხოვა, რომ „სტანდარტ ოილს“ შეეწყვიტა საბჭოთა ნავთის შესყიდვა. „სტანდარტ ოილმა“ ამაზე უარი განაცხადა, ვინაიდან მისთვის უფრო სასარგებლო და იაფია საბჭოთა ნავთის გაყიდვა ინდოეთში, ვიდრე ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების ნავთის.

ბოლოს „სტანდარტ ოილი“ თავის განცხადებაში აღნიშნავს დეტერდინგს, რომ ინდოეთში ნავთის ფასისათვის დაწყებული ბრძოლა მას დაუჯდება 12 მილიონი დოლარი წელიწადში, მაშინ, როდესაც „სტანდარტ ოილ კომპანის“ ეს დაუჯდება მხოლოდ 4 მილიონი დოლარი.

საზოგადოება სტანდარტ ოილი“ (ნიუ-იორკში),—ნათქვამია განცხადებაში,—მომავალშიაც განაგრძობს ნავთის საკმაო რაოდენობით მიწოდებას თავისი ბაზრისათვის და შეასრულებს ყველა მის მიერ დადებულ ხელშეკრულებებს. საწინააღმდეგო ზომები, რომლებსაც მიმართავენ ინდოეთში და მუქარა, რომ ასეთივე ზომები იქნება მიღებული მსოფლიოს სხვა ნაწილებშიაც, არავითარ შემთხვევაში ვერ აიძულებს „სტანდარტ ოილს“ ხელი აიღოს თავის ნათლად მოფიქრებულ პოლიტიკაზე“.

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. „სტანდარტ ოილ კომპანის“ (ნიუ-იორკში) პასუხი დეტერდინგისადმი ნიუ-იორკის ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნეს პირველ ადგილას სენსაციური სათაურებით. „ნიუ-იორკ ტაიმსში“ ამ ამბავს ათავსებენ ასეთი სათაურით: „სტანდარტ ოილი (ნიუ-იორკში) ომს უცხადებს „როიალ დეტჩ შელს“. გაზეთი „უორლდი“: „სტანდარტ ოილი ბრძოლას იწყებს როიალ დეტჩს თავისი ევროპიული მეტოქის წინააღმდეგ“. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“: „სტანდარდ ოილი იცავს თავის უფლებას საბჭოებთან ხელშეკრულების დადებაზე და ბრძოლაში იწვევს დეტერდინგს; „სტანდარტ ოილი“ იღებს ხელთათმანს, რომელიც მას გადაუგდო „როიალ დეტჩმა“ და აცხადებს ბრძოლას ნავთის ფასისათვის მსოფლიო მასშტაბით“.

„ნიუ-იორკ ტაიმსი“, უკეთებს რა კომენტარიებს სტანდარტ ოილის განცხადებას, აღნიშნავს, რომ ეს ეწინააღმდეგება ამ კომპანიის წინანდელ ტაქტიკასა (დუმილის დაცვა ნავთის საქმეებში); „ნიუ-იორკ ტაიმსი“ განცხადებას განმარტავს იმგვარად, „რომ „სტანდარტ ოილი (ნიუ-იორკში) ფართო აგიტაციას იწყებს დეტერდინგის წინააღმდეგ“.

გაზეთი გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ სტანდარტ ოილ კომპანის შეტევაზე გადასვლა გამოიწვია ბირმის ნავთის კომპანიის შუამდგომლობამ, რომ პროტექციონული საბაჟო ტარიფი იქნას შემოღებული საბჭოთა ნავთის ინდოეთში შეტანის წინააღმდეგ (ადს).

სახელმწიფო მმართველობის რეფორმა გერმანიაში

ბერლინი, 16 იანვარი. ბერლინში დაიწყო გერმანიის მთავრობისა და გერმანიის ცალკე სახელმწიფოების პრემიერების კონფერენცია. მცოდნე წრეებში აღნიშნავენ, რომ სახელმწიფო მმართველობის რეფორმა, რომელიც შეადგენს ამ კონფერენციის და ახლახან დაარსებული გერმანიის სახელმწიფოს განახლების კავშირის მიზანს. შემდეგში მდგომარეობს: **გერმანიის პრეზიდენტის და გერმანიის მთავრობის უფლებათა გაფართოება, ერთ პიროვნებაში გაერთიანება რეიხსკანცლერისა და პრუსიის პრიმიერის ფუნქციებსა, გერმანიის ცალკე სახელმწიფოთა და თემთა ფინანსიური სუვერენიტეტის შემცირება, განსაკუთრებით კი სოციალურ საჭიროებათა დარგში.**

საფრანგეთის კომპარტიის ცეკას მოწოდება

პარიზი, 16 იანვარი. საფრანგეთის კომპარტიის ცეკამ მუშათა კლასს მიმართა მოწოდებით კაშენის და ვაიან კუტიურიეს დაპატიმრების წინააღმდეგ ფართე საპროტესტო დემონსტრაციების მოწყობის შესახებ. მოწ. ნათქვამია, რომ საჭიროა მოეწყოს კლასობრივი გამოსვლა მწარმოებლების და მთავრობის შემოტევის წინააღმდეგ, მუშათა კლასის ეკონომიურ და პოლიტიკურ თავისუფლებათა დასაცავად, რეაქციონურ კანონმდებლობის გაუქმებისა და საყოველთაო ამნისტიის სასარგებლოდ (ადს).

მუშურ-გლეხური ბლოკის გამარჯვება

მუნიციპალურ არჩევნებში

პარიზი, 16 იანვარი. კომუნისტ ქალაქის თავის გადაყენების და ათ კომუნისტ მრჩეველის გადადგომის გამო, ატში მოხდა დამატებითი მუნიციპალური არჩევნები. არჩევნებში გაიმარჯვა **მუშურ-გლეხური ბლოკის სიამ, რომლის თვითეულმა კანდიდატმა საშუალოდ მიიღო 1.000 ხმა, მაშინ, როცა რეაქციონერთა თვითეულმა კანდიდატმა მიიღო მხოლოდ 350 ხმა.**

რეფორმისტების ანტისაბჭოთა პროპაგანდა ამერიკაში

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. ამერიკის შრომის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **მეტიუ ვულმა** პრესაში გამოაქვეყნა წერილი, რომლითაც მიმართა მან რუსეთ-ამერიკის პალატის თავმჯდომარე **შლეის** და რომელშიაც ის სთხოვს პალატას, რათა უკანასკნელმა „აიძულოს საბჭოთა მთავრობა“ შესწყვიტოს კომუნისტური მუშაობა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში. წერილი სცდილობს დაამტკიცოს, რომ ის კრედიტები, რომლებსაც ამერიკა აძლევს საბჭოთა მთავრობას კომერციულ საჭიროებებზე, „ანთავისუფლებს“ შესაფერ თანხებს, რომლებსაც გზავნის საბჭოთა მთავრობა ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში პროპაგანდის მიზნებისათვის.

შემდეგ ვული თავის წერილში ეხება უორკერს პარტის და კომუნისტურ ორგანიზაციების მუშაობას და იმოწმებს სტალინის მიერ საკავშირო კომპარტიის (ბ) მე-15 ყრილობაზე წაკითხულ განცხადებას და სხვა დოკუმენტებს იმ მიზნით, რომ დაამტკიცოს საკავშირო კომპარტიის (ბ) პასუხისმგებლობა მსოფლიო რევოლიუციონურ პროპაგანდისათვის.

შემდეგ ვულს მოჰყავს ციტატები შეგონებულ შეთხზულ ინტერვიუდან, რომელიც ვითომ ჰქონდა ვიღაც ამერიკელს ჩიჩერინთან. თითქოს ჩიჩერინმა ამ ინტერვიუში განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა სარგებელს პოულობს ამერიკის საქმიან ხალხის პოზიციიდან.

„ამრიგად, დაასკვნის ვული, საბჭოთა მთავრობა არსებობს ამერიკის საქმიან ხალხის ანგარების წყალობით. ეს ხალხი თვითონ ხდის შესაძლებლად თავის დამხობას“.

წერილს დართული აქვს „დეილი უორკერ“-ის რამოდენიმე ნომერი, მათ შორის სპეციალური ნომერი ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის გამო. ბუხარინის მისალმებით.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ. რაც ამერიკის საქმიანი ხალხი დიდი ინტერესით ეკიდება საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას, შრომის ფედერაციის ანტისაბჭოთა პროპაგანდას უმთავრესად ხელმძღვანელობენ ფედერაციის ბიუროკრატები. რომლებიც მეთაურობენ ბრძოლას კომუნიზმთან.

ვულის გამოსვლა მოხდა იმ დროს. როდესაც მოსკოვიდან ნიუ-იორკში დაბრუნდა რუსეთ-ამერიკის პალატის წარმომადგენელი **ჩარლზ სმიტი,** რომელიც უახლოეს დღეებში იწყებს მოგზაურობას შეერთებულ შტატებში და ადგილობრივ კომერციულ ორგანიზაციების კრებებზე გამოვა მოხსენებებით საბჭოთა კავშირის მდგომარეობის და მასთან ვაჭრობის შესაძლებლობის შესახებ. ვულის წერილის მსგავსი გამოსვლები ყოველთვის ისეთი მოვლენების დროს ხდება, რომლებიც მოწმობს ტენდენციების ზრდას საბჭოთა კავშირისა და ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების ეკონომიურ და პოლიტიკურ დაახლოების სასარგებლოდ.

ვულის გამოსვლას უნდა დაუკავშირდეს ქალთა კლუბების ნაციონალურ ფედერაციის წარმომადგენელ მის **შერმანის** მიერ ამას წინად გამართული კამპანია, ის მოუწოდებდა ქალებს ებრძოლათ საბჭოთა მთავრობის ცნობის წინააღმდეგ. ეს ფედერაცია აერთიანებს რამოდენიმე ათას ქალთა კლუბებს, მას ჰყავს 5 მილიონამდე წევრი და აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენა. ამასთან ერთად ქალთა რამოდენიმე ბურჟუაზიულ ორგანიზაციების კონფერენციაზე. რომელიც ამ კვირაში უნდა შეიკრიბოს ვაშინგტონში და რომელიც მოწვეულია იმ მიზნით, რომ განიხილოს „ომის მიზეზები და მათი აშორების საშუალებები“, დღის წესრიგში შეტანილია აგრეთვე შემდეგი საკითხი: „საბჭოთა კავშირის პოლიტიკა საერთაშორისო არბიტრაჟის წინააღმდეგ“. როგორც ჩანს, ამან ახალი მასალა უნდა მისცეს ანტისაბჭოთა პროპაგანდას, რათა ეს დაუპირდაპირდეს იმ ეფექტს, რომელიც მოახდინა ლიტვინოვის გამოსვლამ ჟენევაში.

პრესამ ერთსა და იმავე დროს მოათავსა ვულის წერილი და სტანდარტ ოილ ოფ ნიუ-იორკის განცხადება იმის შესახებ, რომ მას განზრახული აქვს განაგრძოს საბჭოთა ნავთის შესყიდვა. დამახასიათებელია, რომ სტანდარტ ოილ ოფ ნიუ-იორკის კამპანიის განცხადებას უდიდესი გაზეთები ათავსებენ პირველ გვერდზე. მეტიუ ვულის წერილს კი პრესა ბეჭდავს შუა ფურცლებზე. „ნიუ-იორკ ტაიმს“-მა და სხვა გაზეთებმა სტანდარტ ოილის გრძელი განცხადება მთლიანად მოათავსეს, ვულის წერილიდან კი მოიყვანეს მხოლოდ ამონაწერები (ადს).

იარაღის ფარულად გადაზიდვის გარშემო

ვენა, 16 იანვარი. უნგრეთის სააგენტოებმა გამოაქვეყნეს მთავრობის ცნობა იმის შესახებ, რომ უნგრეთის და ავსტრიის მთავრობებს შორის მიღებულ შეთანხმების თანახმად 17 იანვარს სენ-გოტარდში ჩავა ავსტრია-უნგრეთის შერეული კომისია ყველა იმ გარემოებათა გამოსარკვევად, რომლებიც დაკავშირებულია იარაღის ფარულად გადატანასთან.

უნგრეთის ოფიციალური „პესტერ ლოიდ“ ამის შესახებ სწერს, რომ შეთანხმების ინიციატივა უნგრეთისაგან გამომდინარეობდა. გაზეთი სწერს, რომ იარაღის ტრანსპორტი აქამდის სან-გოტარდის სადგურზეა. აქამდის ადგილი არ ჰქონია იარაღის არავითარ კონფისკაციას, ვინაიდან უნგრეთის მთავრობა უცდიდა გამოძიებას.

გარდა ამისა უნგრეთის მთავრობა ანგარიშს უწევდა იმას, რომ შეიძლება გამოჩნდენ იარაღის მესაკუთრენი, რომლებმაც, მოსალოდნელია, მიმართონ მთავრობას თხოვნით იარაღის დანიშნულ ადგილზე გადაზიდვის ნებართვის შესახებ. ამ თხოვნას უნგრეთის მთავრობა დააკმაყოფილებს. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცეკას მოწოდება

პრაღა, 16 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მუშებს და გლეხებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც პროტესტს აცხადებს ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზიის მოქმედების წინააღმდეგ; ბურჟუაზია იარაღს აწვდის ჩინეთის კონტრრევოლიუციას. **„ჩეხო-სლოვაკიის ბურჟუაზია,** ნათქვამია მოწოდებაში, **სხვა იმპერიალისტებთან ერთად ილაშქრებს ჩინეთის რევოლიუციის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.**

მოწოდების გამოქვეყნების გამო კონფისკაცია უყვეს კომპარტიის ორგანოს „რუდე პრავო“-ს თითქმის მთელ ტირაჟს. (ადს).

კონფლიქტი ტრანსიორდანიასა და საფრანგ. შორის

ანგორა, 16 იანვარი. ხოლერის საკარანტინო სადგურის მოწყობის საბაბით საფრანგეთის ჯარებმა ამას წინად დაიჭირეს უმედ-ჯემალი ტრანსიორდანიაში (მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, რომელიც ამას წინად ფრანგებს უნდოდათ ჩაეგდოთ ხელში).

უმედ-ჯემალის დაჭერამ ფრანგების მიერ გამოიწვია ტრანსიორდანიის მთავრობის პროტესტი და მოლაპარაკება საფრანგეთისა და ინგლისის ხელისუფლებას შორის. ეს მოლაპარაკება დამთავრდა საკომპრომისო გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვითაც ფრანგებმა და ინგლისელებმა ერთად დაიჭირეს უმედ-ჯემალი.

უმედ-ჯემალში დაბანაკებულ ფრანგ ჯარისკაცებსა და ბედუინებს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება, რომლის დროსაც მოკლულ იქნა 5 ფრანგი ჯარისკაცი და მრავალი ბედუინი. ამან გამოიწვია ახალი კონფლიქტი, ვინაიდან ფრანგების ხელისუფლება ფიქრობს, რომ შეტაკება მოწყობილია ტრანსიორდანიის მთავრობის მიერ. (ადს)

ინგლისის დამსჯელი ექსპედიცია სუდანში

ანგორა, 16 იანვარი. ინგლისის დამსჯელ ექსპედიციას, რომელიც გაიგზავნა სუდანში ინგლისელი კაპიტანის ფერგიუსონის მკვლელის დასაჭერად და დასასჯელად, თან ახლავს ჰაეროპლანების ესკადრილია. **ჰაეროპლანები ყუმბარებს უშენენ ყველა სოფლებს, რომლებიც მათ გზაზე ხვდებათ. ექსპედიცია მიდის ნილოსის ზემო ნაწილის მიმართულებით და ანადგურებს მთელ სოფლებს.** ყუმბარებით დანგრეულია აგრეთვე პირამიდა დენკური — ადგილობრივი ტომის სამლოცველო ადგილი. ექსპედიციას თავს ესხმიან არაბთა ტომები. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

კონფლიქტი შვეციის ქაღალდის მრეწველობაში

სტოკჰოლმი, 17 იანვარი. შვეციის მწარმოებელთა კავშირმა იმ სამედიატორო კომისიის თხოვნით, რომელიც დანიშნულია ქაღალდის მრეწველობის მწარმოებლებსა და მუშებს შორის არსებული კონფლიქტის მოსაწესრიგებლად, დაადგინა გადადოს ლოკაუტის გამოცხადება 31 იანვრამდე. (ადს).

კომუნისტების გავლენის ზრდა რურის ოლქში

ბერლინი, 17 იანვარი. კომუნისტების გავლენა რურის ოლქში იზრდება. უკანასკნელი ხნის განმავლობაში კომუნისტური ორგანიზაციები რურის ოლქში გაიზარდენ 3000 კაცით. კომუნისტური პრესის მკითხველთა რიცხვი გაიზარდა 4,000 კაცით. უკანასკნელ დრომდე მემარცხენე უმცირესობა გაბატონებული იყო მხოლოდ 24 უჯრედში. ამჟამად კი ამ უმცირესობას უმრავლესობა ჰყავს უკვე 89 უჯრედში. გერმანიის მელითონეთა კავშირის დუისბურგის და ხოხფელდის ორგანიზაციის საოლქო არჩევნებში მემარცხენე უმცირესობამ მიიღო ხმების 90 პროცენტი. (ადს).

ლატვიის პროტესტი

რიგა, 17 იანვარი. ლატვიის პრესა პროტესტს აცხადებს ლიბავა-რომენის რკინისგზის დაშლის წინააღმდეგ. აღნიშნული რკინისგზა დაშლილი იქნა ლიტვას მიერ. საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვოლდემარასს წარუდგინა სათანადო შეკითხვა. თუ ეს შეკითხვა ლიტვის მიერ მიღებული არ იქნა მაშინ ლატვია კოვნოში გაგზავნის ოფიციალურ საპროტესტო ნოტას (ადს).

იაპონიის პროვოკაცია

პეკინი, 17 იანვარი. სააგენტო ტოხო გადმოსცემს ხმას იმის შესახებ, თითქოს „დიდი დანების“ რაზმები თავს დაესხენ იაპონიის საკონსულოს დუნხუაში (მუკდენის პროვინცია) და მოკლეს საკონსულოს თანამშრომელი. ოფიციალური ცნობებით ეს ხმა ჯერ-ჯერობით არ დადასტურებულა. სააგენტოს კორესპონდენტი ფიქრობს, რომ ეს ხმა გავრცელებულია იმ მიზნით, რომ შეიქმნას საბაბი იაპონიის ინტერვენციისათვის (ადს).

საიმონის კომისიის ბოიკოტი

ლონდონი, 17 იანვარი. ინდოეთის ყველა პარტიის ლიდერების კონფერენციამ ბენარესში, რომელმაც ერთხმად მიიღო დადგენილება საიმონის კომისიისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ, დაადგინა კვლავ მოიწვიოს სრულიად ინდოეთის კონგრესი. ტეჯ ბახადურ საპრუმ შემოიტანა წინადადება საკუთარი კომისიის დანიშვნის შესახებ, საიმონის კომისიის სამაგიეროდ და მოითხოვდა, რომ აღნიშნულ კომისიაში შეეყვანათ ინდოეთის ყველა საკანონმდებლო დაწესებულების მიერ არჩეული პირებიც (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვა გიბრალტარში

ლონდონი, 17 იანვარი. გიბრალტარში გაიფიცენ ყველა სანახშირო მაღაროების მუშები. გაფიცვა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მწარმოებლებს განზრახული ჰქონდათ ხელფასის შემცირება. ნახშირის მიწოდების შეწყვეტასთან დაკავშირებით ნავთსადგურში დარჩა რამოდენიმე გემი (ადს).

ბოიკოტი საიმონის კომისიას

ლონდონი, 16 იანვარი. რეიტერის სააგენტო იუწყება: ინდოეთის ყველა პარტიების ლიდერების კონფერენციამ ბონარესში ერთხმად მხარი დაუჭირა წინადადებას საიმონის კომისიისათვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ; მან მოწოდებით მიმართა ინდოეთის მოსახლეობას, რომ 3 თებერვალს (ბომბეიში კომისიის მოსვლის დღეა) ტრაური დაიცვან და ყველგან საპროტესტო მიტინგები მოაწყონ (ადს).

პრელიჩი სასიკვდილოდ არის დაჭრილი

ვენა, 16 იანვარი. ბელგრადიდან მიღებულ უკანასკნელ ცნობების მიხედვით, სამხრეთ-სლავიის იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელ სკოპლიეს პოლიციის პრეფექტურაში, პრელიჩი, რომელსაც ამას წინად დაესხენ თავს, დაჭრილია სასიკვდილოდ. მთავრობის წრეებში თავდასხმას თავდაჯერილ კომენტარიებს უკეთებენ. მხოლოდ ხაზს უსვამენ ენერგიულ ზომების მიღების აუცილებლობას.

პრელიჩი მოკვდა

ვენა, 17 იანვარი. სკოპლიედან იუწყებიან, რომ პრელიჩი მოკვდა იმ ჭრილობისაგან, რომელიც მას მიაყენეს თავდასხმის დროს. დაპატიმრებულია მრავალი ხალხი, მაგრამ თავდამსხმელების კვალი ჯერ ვერ აღმოუჩენიათ.

ამერიკის შრომის ფედერაცია და პრეზიდენტის არჩევნები

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარემ **გრინმა** განაცხადა, რომ ფედერაცია, იცავს რა თავის ტრადიციულ პოლიტიკას, დამოუკიდებლად არ გამოვა პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში (ადს).

სამხრეთ-სლავიის დემოკრატიული პარტიის ყრილობა

ვენა, 16 იანვარი. ბელგრადში გაიხსნა დემოკრატიული პარტიის ყრილობა (ადს).

შეტაკება მიტინგზე

ვარშავა, 16 იანვარი. კრაკოვში პოლონეთის სოციალისტურ პარტიის მემარცხენე ჯგუფის მიტინგზე მოხდა შეტაკება პოლონეთის მემარცხენე და მემარჯვენე სოციალისტებს შორის. პოლიციამ გარეკა მიტინგი.

მდგომარეობა ჩინეთში

დაწვრილებითი ცნობები „დიდი დანების“ აჯანყების შესახებ

ხარბინი, 16 იანვარი. კორეის გაზეთი „სეულ პრესი“ იუწყება შემდეგ დაწვრილებით ცნობებს დონხუაში (დონხუა მანჯურიაშია, გირინის პროვინციაში) მომხდარ აჯანყების შესახებ.

4 იანვარს, დაახლოვებით, 2.000 კაცი, რომლებიც ეკუთვნიან „დიდი დანების“ ორგანიზაციას და შეადგენენ თავდაცვისა და ბანდიტებთან მებრძოლ კორპუსს, თავს დაესხენ მთავრობის რაზმს და იარაღი აჰყარეს მას. მეორე დღეს მათ იერიში მიიტანეს დონხუას სამაზრო სამმართველოზე და მაზრის უფროსს მოსთხოვეს საქმეების ჩაბარება. როცა თავდამსხმელებმა უარი მიიღეს, სროლა ასტეხეს. მოკლულია რამდენიმე ათეული კაცი მთავრობის რაზმსა და პოლიციაში. მაზრის უფროსმა და მოხელეებმა მოახერხეს გაქცევა. შემდეგ აჯანყებულები შევიდნენ ქალაქში.

მღელვარების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ მუკდენიდან აჯანყებულების წინააღმდეგ გაიგზავნა ქვეითი რაზმი და არტილერია. 7 იანვარს მთავრობის ჯარებმა იერიში მიიტანეს აჯანყებულებზე. დონხუას ქუჩებში საშინელი ხოცვა-ჟლეტა გაიმართა. აჯანყებულები იძულებული გახდენ გაქცეულიყვნენ და ბევრი მოკლულ-დაჭრილი დაეტოვებიათ.

გაზეთის სიტყვით მოსახლეობა შეშინებულია, მას ეშინია მთავრობის შურისძიების (ადს).

სავაჭრო მოსამსახურეების გაფიცვა შანხაიში

შანხაი. 16 იანვარი. რამდენიმე დღის წინათ დაიწყო შანხაის სურსათ-სანოვაგის მაღაზიების მოსამსახურეების გაფიცვა; ახლა გაფიცვას იწყებენ ბრინჯის საწყობებისა და მაღაზიების მოსამსახურეებიც. (ადს)

კომუნისტური ჯარების მოქმედება გუანდუნში

შანხაი, 17 იანვარი. გონკონგიდან მიღებული ცნობების მიხედვით, კომუნისტურმა ჯარებმა ხელთ იგდეს ლაჩჟოუ და ემუქრებიან სიუ-ვენს (პროვინცია გუანდუნის სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში).

სიკვდილით დასჯა პეკინში

პეკინი, 17 იანვარი. სიკვდილით დასაჯეს ამ რამდენიმე თვის წინედ დაპატიმრებული ივენის საშუალო სასწავლებლის დირექტორი და ამავე სასწავლებლის ერთი მოსწავლე; ორივეს ბრალდებოდა არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლა. დასჯის წინ ისინი გაატარეს პეკინის ქუჩებში. ამავე საქმეზე დაპატიმრებულ სხვა სამ მოსწავლეს მიესაჯა 10 წლის ციხე (ადს).

ფინ-იუი-სიანის ბრძანება

პეკინი, 17 იანვარი. ფინ-იუი-სიანმა გასცა ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, „კომუნისტები ცდილობენ გომინდანის დამხობას და ქვეყნის დაღუპვას, ამიტომ ყველა ისინი გამოუკლებლივ დაპატიმრებული და დახვრეტილი უნდა იქნენ“ (ადს).

90,000 თოფი

ნიუ-იორკი, 16 იანვარი. მანილიდან (ფილიპინის კუნძულები) მიღებულ ცნობებით, მიუხედავად გომინდანის ადგილობრივ ორგანიზაციის პროტესტისა, ამერიკის ხელისუფლების ორგანოებმა გასვლის ნება დართეს გემ „პრაღა“-ს, რომელზედაც იყო 90 000 თოფი. გომინდანის ადგილობრივმა ორგანიზაციამ სთხოვა ამერიკის ხელისუფლების ორგანოებს დაეკავებიათ გემი „პრაღა“, ვინაიდან ის თოფები, რომლებითაც დატვირთულია გემი, ეგზავნება პეკინის მთავრობას; ამ მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შეისყიდა ეს თოფები 1927 წლის შემოდგომაზე ჩეხო-სლოვაკიის თავდაცვის სამინისტროსაგან.

ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის სესია

ბერლინი, 16 იანვარი. 16 იანვარს ბერლინში შესდგება ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასკომის ბიუროს სხდომა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ ბიუროს წევრები: **ჟუო** (საფრანგეთი), **მერტენსი** (ბელგია), **მადსენი** (დანია), **ლეინორტი** (გერმანია) და **ზასენბახი** (გერმანია).

სხდომაზე რომელიც იქნება დახურული, უმთავრესად განხილულ უნდა იქნეს ამსტერდამის ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტის მომავალ სესიის მომზადების საკითხი. სესიაში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ამსტერდამის ინტერნაციონალში შემავალ ფედერაციების მდივნები.

მომავალ სესიამ პირველ რიგში უნდა აირჩიოს ბიუროს თავმჯდომარე და მდივანი. ბიუროს შემადგენლობაში ინგლისელები ისევ **პერსელის** კანდიდატურას აყენებენ, თუმცა უკანასკნელმა კონგრესმა პერსელის მაგიერ აირჩია **ჰიკსი.** პერსელის კანდიდატურის ირგვლივ თავი იჩინა უთანხმოებამ. გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ორგანოს ნომერში **გრასმანი** წინადადებას იძლევა მდივნად არჩეულ იქნეს **ზასენბახი** (ადს).

ამხ. ანტიპოვი—ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარი

მოსკოვი, 17 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა: განთავისუფლებულ იქნეს ამხ. **ლიუბოვიჩი** ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარის თანამდებობიდან მისი დატოვებით სახ. კომისარის მოადგილედ, და სახალხო კომისრად დაინიშნოს ამხ. ანტიპოვი.

ამხ. ანტიპოვი დაიბადა 1894 წელს მოჯამაგირის ოჯახში. ის მუშაობდა ლენინგრადის გემთასაალმშენებლო ქარხანაში და აგრეთვე ქარხანა „დინამო“-ში (მოსკოვში) დურგლად და მექანიკოსად. რევოლიუციონური მუშაობა მან დაიწყო 1911 წლიდან. ბოლშევიკია—1912 წლიდან (ადს).

ამხ. კურსკი - სრულუფლებიანი წარმომადგენელი იტალიაში

მოსკოვი, 17 იანვარი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ამხ. **დიმიტრი ივანეს-ძე კურსკი** დაინიშნოს საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად იტალიაში. (ადს).

ინგლისის სამთამადნო მუშათა ოფიციალურ ორგანოს რედაქტორის ჩამოსვლა

მოსკოვი, 17 იანვარი. მოსკოვში ჩამოვიდა ინგლისის სამთამადნო მუშათა ფედერაციის ოფიციალურ ორგანო „მაინერ“-ის რედაქტორი სტრაჩეი.

სტრაჩეიმ განაცხადა, რომ სამთამადნო მუშებს შორის უმცირესობის მოძრაობა თანდათან მეტ მეტ მომხრეებს პოულობს. [illegible] ტენდენცია ძლიერდება. ინგლის-რუსეთის სამთამადნო მუშათა კომიტეტის შექმნის იდეა მეტად პოპულიარულია ინგლისში. დაახლოებით 1 მაისისთვის კუკი მოემგზავრება საბჭოთა კავშირში მეგობრულ ურთიერთობის განსამტკიცებლად ორივე ქვეყნის სამთამადნო მუშებს შორის (ადს).

ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟი

მოსკოვი, 17 იანვარი. 16 იანვარს დამთავრდა ინდუსტრიალიზაციის სესხის ტირაჟი.

ათი ათასი მანეთის მოგება შეხვდა შემდეგ ობლიგაციებს: სერია № 36522, ობლიგაცია № 15; სერია 67556, ობლიგაცია № 11; სერია № 79652, ობლიგაცია № 39; სერია № 125481, ობლიგაცია № 06; სერია № 125920 ობლიგაცია № 38; 25 000 მან. მოგება [illegible] შემდეგ ნომრებს: სერია № 42231, ობლიგაცია № 46 (ადს).
]

საწარმოო თათბირების რესპუბ. კონფერენცია

მეორე სხდომა

კამათი ამხ. ავაქოვისა და გოდაბრელიძის მოხსენებათა გარშემო

მეორე სხდომაზე იხსნება კამათი ამხ. ავაქოვისა და გოდაბრელიძის მოხსენებების გარშემო. კამათში მონაწილეობას იღებს ათამდე დელეგატი.

სხდომაზე გამოსული ინჟ. კოლხარიანი ეხება ავაქოვის მოხსენებას და ამბობს, რომ მიმდინარე სააღმშენებლო სამუშაოთა შესრულების დროს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სხვადასხვა დარგში მომუშავე სპეციალისტების მიზანშეწონილ შერჩევას. ორატორის აზრით, ის დეფექტები, რომლებზედაც ამხ. ავაქოვი ჩერდებოდა თავის მოხსენებაში, ხშირად გამოწვეულია იმით, რომ ხშირად ესა თუ ის სპეციალისტი არ შეეფერება თავის დანიშნულებას.

მუშა შავაქიძე აღნიშნავს, რომ მიუხედავად მრავალგვარი შეცდომებისა, არსებობენ დიდი მიღწევები. ახალი მშენებლობის გასაუმჯობესებლად ორატორს საჭიროდ მიაჩნია სისტემატიურად ხდებოდეს მუშა-ხელის ხელახალი გადამზადება, მაგრამ ამ დარგში უარყოფილ უნდა იქნეს მოკლევადიანი კურსების გახსნის სისტემა, ვინაიდან ასეთმა კურსებმა, რომელიც გახსნილი იყო შარშან აბრეშუმის ტრესტის მიერ, ზარალის მეტი წარმოებას არაფერი მოუტანა.

მუშა ინასაროშვილი ჩერდება მუშათა გამომგონებლობის საკითხებზე. მას საჭიროდ მიაჩნია, რომ მუშა-გამომგონებლებს, გარდა მორალური დახმარებისა, ეძლეოდეთ აგრეთვე ფულადი პრემიებიც. ეს საქმე, მისი აზრით, ჯერ-ჯერობით არ არის შესაფერისად მოგვარებული და საჭიროა ამას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. მომხსენებელ ამხ. გოდაბრელიძეს ორატორი ეხება მუშა-გამომგონებელთათვის პრემიების მიცემის წესის შესახებ და აღნიშნავს, რომ თუ საამისოთ სპეციალური ფონდები არ იქნა დაარსებული, ისე ეს საქმე ვერ დადგება საჭირო სიმაღლეზე.

შემდეგი ორატორები—ამხ. ეირანოვი, გევორკოვი, აბრამოვი, ინჟ. კანდელაკი და სხვები ეხებიან წარმოებაში რაციონალიზაციის გატარებას, აღნიშნავენ ამა თუ იმ წარმოებაში დაშვებულ შეცდომებს და მიუთითებენ კონფერენციას, რომ ბევრგან წარმოებათა ადმინისტრატიული და სამეურნეო პერსონალი არ უწევს საწარმოო თათბირებს შესაფერ დახმარებას და ამით ბრკოლდება როგორც ახალი აღმშენებლობის, ისე წარმოებათა რაციონალიზაციის საქმე.

ამხ. გოდაბრელიძის საბოლოო სიტყვა

კამათის დასრულების შემდეგ საბოლოო სიტყვით გამოდის ამხ. გოდაბრელიძე, რომელიც განმარტავს, რომ მუშა-გამომგონებლების დაჯილდოება და წახალისება საჭირო არის, რასაკვირველია, შესაფერისი მატერიალური დახმარების აღმოჩენით, მაგრამ მორალურ დახმარებასაც იგი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს.

ორატორს მიზანშეუწონილად და დაუშვებლად მიაჩნია ზოგიერთი წარმოებების მოქმედება, როცა ისინი მუშა-გამომგონებლებს უცხადებენ მხოლოდ მადლობას და არ აძლევენ ფულად ჯილდოს. მას საჭიროდ მიაჩნია დაარსებულ იქნეს ე. წ. პრემიალური ფონდები, საიდანაც მუშა-გამომგონებლები დაუბრკოლებლივ მიიღებენ ჯილდოებს.

ამხ. გოდაბრელიძე გამოსთქვამს აგრეთვე აზრს, რომ საქართველოში დაარსებული იქნეს მუშათა გამომგონებლობის დამხმარე ბიურო, რომელიც მოაგვარებს მუშა-გამომგონებლების მიერ წარდგენილ ახალ საკითხებს და გამოგონებებს მისცემს შესაფერის მსვლელობას.

ამხ. ავაქოვის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვას ამხ. ავაქოვი იწყებს მოხსენების შემდეგ მისთვის მიცემულ შეკითხვებზე პასუხის გაცემით. ეხება რა თავის მოხსენების შინაარსს, ამბობს, რომ თუ მოხსენება არ იყო ძალიან ვრცელი და სრული, ეს გამოწვეული იყო მხოლოდ იმ გარემოებით, რომ რეგლამენტით განსაზღვრულ დროში მას არ შეეძლო ბევრ რამეზე ელაპარაკნა.

— ვისაც ჩვენი აღმშენებლობის ბედი გულწრფელად აინტერესებს—ამბობს ამხ. ავაქოვი,—მას მრავალგვარი შესაძლებლობა ქონდა ამ აღმშენებლობას გასცნობოდა დაწვრილებით. დიდი ხანი არ არის რაც ჩატარდა სხვადასხვა ყრილობები, რომლებზედაც ჩვენი აღმშენებლობის შესახებ გაკეთებული იყო მთელი რიგი ვრცელი მოხსენებები და პრესაც ძალიან ფართოთ უთმობდა ადგილს ამ საკითხებს. საყვედური იმის შესახებ, რომ მე ვილაპარაკე მარტო დეფექტებზე, აიხსნება იმით, რომ საწარმოო თათბირების დანიშნულებას შეადგენს სწორედ დეფექტების გამოსწორება. ჩვენ არ გვიყვარს ყოყოჩობა, თავის თავის ქება, ამ კონფერენციაზე ეს არც არის მაინცა და მაინც მიზანშეწონილი. აქ ჩვენ მოვისმინეთ საყვედურები ზოგიერთი ინჟინრებისაგან იმის შესახებ, რომ მათ არა აქვთ საშუალება უშუალოდ ჩაებან ჩვენი აღმშენებლობის საკითხებში და თავისი კორექტივები შეიტანონ ამ ახალ მშენებლობაში, მაგრამ მე ეს არ მიმაჩნია სამართლიან საყვედურად, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლება ყოველი დარგის სპეციალისტებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ამ მხრივ ჩვენ ინჟინერებს და ტეხნიკოსებს სასაყვედურო არაფერი აქვთ.

შემდეგ ამხ. ავაქოვი ეხება სპეციალისტთა კადრების შერჩევის აუცილებლობას, მათ სათანადო მომზადებას, ზოგიერთი სპეციალისტების მივლინებას როგორც საბჭოთა კავშირის შიგნით, ისე საზღვარ გარეთ და აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების გენერალური ხაზი მიმართულია იქით, რათა ჩვენ დავეწიოთ კაპიტალისტურ ქვეყნების განვითარებულ ინდუსტრიას და გავასწროთ კიდეც ვას.

საწარმოო თათბირების მუშაობის შესახებ ორატორი აღნიშნავს, რომ საჭიროა საწარმოო თათბირებმა უფრო გაშალონ თავიანთი საქმიანობა წარმოებებში. ამასთანავე იგი ამბობს, რომ საჭირო არის დამყარებული იქნას მტკიცე კონტაქტი მშენებლობაში ჩაბმულ ინჟენერ-ტეხნიკოსებსა, მუშებსა და ადმინისტრატიულ-სამეურნეო მუშაკებს შორის.

— მხოლოდ ამ გზით, ამბობს ამხ. ავაქოვი—შეგვიძლია ჩვენ ავიცდინოთ ყოველგვარი გაუგებრობა და შესამჩნევადაც გავაუმჯობესოთ ჩვენი მშენებლობის საქმე.

საწარმოო თათბირების მუშაობა

ამხ. გოდაბრელიძის მოხსენება

საწარმოო თათბირების მუშაობა-საქმიანობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. გოდაბრელიძე. აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანებში საწარმოო თათბირებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს თავიანთი მუშაობა და თუ ერთი წლის წინათ საწარმოო თათბირები მხოლოდ ოფიციალურად არსებობდენ ზოგიერთ წარმოებებთან, დღეს თითქმის აღარ გვაქვს არც ერთი ისეთი წარმოება, სადაც ასეთი თათბირები არ მუშაობდენ.

— საწარმოო თათბირების მიღწევები ძალიან საგრძნობია—ამბობს ამხ. მომხსენებელი,—მაგრამ ჯერ-ჯერობით კონკრეტულად ამ მიღწევების შესახებ ნათელი წარმოდგენა არა გვაქვს. დღემდე არ მოგვარებულა საწარმოო თათბირების მიღწევათა აღრიცხვის საქმე. ამავე დროს კი ჩვენმა მრეწველობამ საწარმოო თათბირების მუშაობის წყალობით ნახა რამოდენიმე ასეული ათასი მანეთის სარგებელი. არსებული მიღწევებით თავი არ უნდა დავიმშვიდოთ და უნდა აშკარად ვაღიაროთ, რომ, მიუხედავად საწარმოო თათბირთა მუშაობის გამოცოცხლებისა, მაინც ბევრი შეცდომები გვაქვს. საწარმოო თათბირებს ხშირად თავიანთი ამოცანები არ ესმით.. ამ ამოცანებს შორის საგულისხმო არის უმთავრესად ორი ამოცანა: მუშათა ფართო მასების ჩაბმა წარმოების რაციონალიზაციისათვის დაწყებულ მუშაობაში და ამ მუშების ე. წ. საწარმოო აღზრდა.

შემდეგ მომხსენებელი ეხება საწარმოო კომისიების მუშაობას და ასახელებს მთელ რიგ წარმოებებს, სადაც აღნიშნული კომისიები მართალია კარგად მუშაობენ, მაგრამ სამაგიეროდ საწარმოო თათბირების მუშაობა მოისუსტებს. ეს ნაკლი გამოსწორებულ უნდა იქნას. გარდა ამისა, მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ შემოღებული იქნას ყველგან საცეხო თათბირები, რომლებმაც განსაკუთრებით დიდი მოსამზადებელი მუშაობა უნდა ჩაატარონ 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლასთან დაკავშირებით.

მოხსენების დასრულების შემდეგ სხდომა დაიხურა.

რა გააკეთეს საწარმოო თათბირებმა

(საუბარი კონფერენციის დელეგატებთან)

გაუმჯობესებანი ქვა-ნახშირის წარმოებაში

ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროების საწარმოო თათბირის მუშაობის შესახებ საწარმოო თათბირთა კონფერენციის ტყიბულელმა დელეგატმა მუშა ილ. სტურუამ განაცხადა შემდეგი:

ტყიბულში საცეხო მუშაობის სისტემა შემოვიღეთ გასული წლის ოქტომბრიდან. საწარმოო თათბირის მუშაობის სტრუქტურა ასეთი არის: თვითეულ ცეხთან დაარსებულია ცალკე საწარმოო კომისია, რომელიც სისტემატიურად იკრიბება და იხილავს მუშათა წინადადებებს. შემდეგ ეს კომისიები ამ წინადადებებს გადასცემენ ე. წ. საცეხო თათბირებს, რომელნიც ხშირად წინადადებებს ახორციელებენ ადმინისტრაციასთან შეთანხმებით და ზოგჯერ კი ეს განსახილველად გადააქვთ საწარმოო თათბირის გაფართოებულ სხდომაზე.

მაგრამ თქვენ არ იფიქროთ,—ამბობს ის,—რომ ამას სჭირდებოდეს დიდი დრო. ასეთი საკითხები ჩვენთან გვარდება ხშირად ერთი კვირის და უფრო მოკლე ხნის განმავლობაშიც. აღსანიშნავი არის, რომ ჩვენთან უწინ ნახშირის დახარისხება ხდებოდა ე. წ. ნახშირის კოდების საშუალებით. მუშა ივ. გაბრიაძემ შემოიტანა წინადადება, რომ ნახშირის დახარისხება იწარმოოს კოდებთან სპეციალური საცრების მოწყობის საშუალებით. საწარმოო თათბირმა ეს წინადადება დაუყოვნებლივ გადასცა ადმინისტრაციას, რომელმაც იგი სწრაფად განახორციელა. ამ ზომის წყალობით ჩვენ შევძელით, როგორც ნახშირის დახარისხების თვალსაჩინო გაუმჯობესება, აგრეთვე ამ საქმეზე უწინ დაბანდებული მუშა-ხელის რიცხვის შემცირება. ამგვარად მიღებულია ეკონომია რამოდენიმე ათასი მანეთის—ყოველთვიურად რომ ვიანგარიშოთ.

საწარმოო თათბირმა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შეიტანა აგრეთვე მუშათა ბინების მშენებლობის საქმეში. შემდეგ ჩვენ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ბრიკეტების კეთების გაუმჯობესება. ამ დარგში მუშა ფოფხაძემ გამოიგონა ახალი საშუალება, რომლის წყალობითაც ყოველდღიურად მზადდება 4.000 ცალი ბრიკეტი, ხოლო უწინ კი მზადდებოდა დღიურად 1.200 ცალი ბრიკეტი. ბრიკეტებზე კი დიდი მოთხოვნილებაა და ამგვარად ადვილი წარმოსადგენია ის სარგებელი, რომელიც ნახა ტყიბულის ქვანახშირის წარმოებამ.

პროდუქციის გაიაფება 50 პროც.

ა.-კ. რკ. გზების კავშირ. გამგეობის სახელოსნოსთან არსებულ საწარმოო თათბირის თავმჯდომარე ამხ. ნ. მანჯგალაძემ თათბირის მუშაობის მიღწევების შესახებ განაცხადა:

ჩვენს წარმოებასთან საწარმოო თათბირი მუშაობს უკვე რამოდენიმე წელიწადია, მაგრამ აქტიური საქმიანობა ჩვენმა თათბირმა დაიწყო მხოლოდ უკანასკნელ ხანებში.

ჩვენს წარმოებასთან დაარსებულია რამოდენიმე ცეხი, რომლებთანაც მოწყობილია ცალკე საწარმოო კომისიები. სადურგლო ცეხში უკანასკნელად საწარმოო თათბირის წინადადებით, ჩვენ დავდგით განსაკუთრებული კონსტრუქციის დაზგა, რომელიც დგამების გამომუშავებას აიაფებს 50 პროც. და ამავე დროს ზრდის მუშების ხელფასს. თუ აქამდე სადურგლო ცეხის პროდუქციის რომელიმე ერთეული ფასობდა 90-100 მანეთი, ამჟამად ეს პროდუქცია ფასობს ამ თანხის ნახევარი.

გარდა ამისა, ამჟამად საწარმოო თათბირის წინაშე სდგას მთელი რიგი საკითხები, რომელთა მოგვარებაც მიჩნეულია უახლოესი დროის ამოცანად, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ახლო ხანში გაუმჯობესებული იქნება მთელი სახელოსნოს მუშაობა.

საქ. პროლეტარულ მწერალთა მეორე ყრილობა

მეხუთე დღე

დილის სხდომა

მეხუთე დღის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი პროლეტარულ მწერლობის მხატვრული პლატფორმის შესახებ გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო. ორატორები დაწვრილებით შეეხენ მომხსენებლის მიერ წამოყენებულ თეზისებს და საჭიროდ სცნეს, რომ საქართველოს პროლეტარულ მწერლობის მხატვრული პლატფორმა გამომუშავებული იქნეს სრულიად საკ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მხატვრულ პლატფორმის საფუძველზე საქართველოს სინამდვილესთან შეფარდებით. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ტატულოვმა, ქიქოძემ, რ. კალაძემ, ს. ჭაბლობელმა, ი. ვაკელმა და სხვებმა.

პროლეტარულ მწერალთა ა.-კ. გაერთიანება

პროლეტარულ მწერალთა ა.-კ. გაერთიანების მოწყობის შესახებ მოკლე მოხსენებით გამოდის ამხ. ვარდანიანი, რომელიც ყრილობას აცნობს საქართველოს, სომხეთის, და აზერბეიჯანის ასოციაციათა გამგეობების დადგენილებას იმის შესახებ, რომ ა.-კ. მოეწყოს პროლეტარულ მწერალთა გამაერთიანებელი ორგანიზაცია.

ყრილობამ ამხ. ვარდანიანის მოხსენების შემდეგ დაადასტურა ასეთი ორგანიზაციის შექმნის საჭიროება.

ამხ. კახიანის მოხსენება

საღამოს სხდომაზე ყრილობამ დიდი ყურადღებით მოისმინა ამხ. კახიანის მოხსენება კულტურული რევოლიუციისა და სოციალისტური მშენებლობის შესახებ. მე-15 პარტყრილობამ—სთქვა მომხსენებელმა—ხუთ წლიანი გეგმის გამომუშავების დროს უდიდესი ყურადღება მიაქცია აგრეთვე კულტურული რევოლიუციის საკითხებს და დასახა ის ამოცანები, რომელნიც პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას კულტურის დარგში ამ უახლოესი წლებისათვის. ჩვენი ქვეყნის კულტურული განვითარების საკითხები მჭიდროდ უკავშირდება ინდუსტრიალიზაციის და სასოფლო მეურნეობის განვითარების საკითხებს. მსხვილი მრეწველობის დანერგვა წარმატებით მიმდინარეობს. თვალსაჩინოა მიღწევები ამ დარგში. ეს არ შეიძლება ითქვას ჩვენ სასოფლო მეურნეობაზე, რომლის განვითარება ჩამორჩება ქალაქის მრეწველობის განვითარებას და თუ ჩვენ სოფლის მეურნეობას განსაკუთრებული ყურადღება არ მივაქციეთ, მივიღებთ ახალ „მაკრატელს“—დაშორებას სასოფლო მეურნეობის განვითარებასა და მსხვილი მრეწველობის განვითარების შორის. სწორედ აქ პირისპირ ვეჯახებით კულტურული რევოლიუციის საკითხებს. თუ არ ამაღლდა გლეხობის თვითშეგნება, იგი ნაბიჯს ვერ გადადგამს წინ მეურნეობაში. საქმე ის არის, რომ იმ დანაწილებულ, დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობაზე, რომელიც გავრცელებულია საბჭოთა კავშირში, არ შეიძლება აშენდეს მეურნეობის უფრო განვითარებული ფორმები. მეურნეობის წინ წასაწევად ახალ საფუძვლებზე საჭიროა ამ დაქუცმაცებულ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება, კოლექტივიზაცია. ჩვენს გლეხობას კი ამის შეგნება არ აქვს. საჭიროა ამ იდეის შეტანა გლეხურ მასაში, მათი გათვითცნობიერება. მხოლოდ გლეხობის კულტურული გათვითცნობიერების შემდეგ შესაძლებელია სწრაფი ტემპით წავიდეს წინ სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაცია. მეორე მხრივ, ჩვენს წინსვლას წინ ელობება ძველი სენი—ბიუროკრატიზმი. ამ ბოროტების აღმოფხვრა შეიძლება წარმატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში ჩაბმული იქნება მუშათა და გლეხთა ფართო მასები. ამისათვის კი აუცილებელ პირობას წარმოადგენს უფრო მეტი შეგნება, უფრო მეტი გათვითცნობიერება. აი აქაც ჩვენ პირისპირ ვეჯახებით ჩვენი ფართო მასების კულტურული დონის ამაღლების საკითხს.

ცხადია, ჩვენი შემდგომი ეკონომიური განვითარება ამიერიდან დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ტემპით წავა წინ ჩვენი მშრომელი მასის გაკულტუროსნება.

როგორია ამჟამად ჩვენი ქვეყნის კულტურული მდგომარეობა? უკანასკნელი ცნობებით საბჭოთა რუსეთში ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის 63 მოწაფე, საქართველოში—125, საფრანგეთში 107, შეერთებულ შტატებში 216. ამ მხრივ საქართველოში უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე საბჭოთა რუსეთში და აგრეთვე ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში. ციფრები გვიჩვენებს აგრეთვე, რომ წლიდან წლამდე იზრდება სახალხო განათლებაზე გაღებული თანხები. მაგალითად თუ 1925 წ. საბჭოთა რუსეთში ყოველი მცხოვრების განათლებაზე იხარჯებოდა 2 მან. 56 კაპ., ხოლო საქართველოში—3 მან. 80 კაპ., 1927 წელს რუსეთში გაღებულია ამ საჭიროებისათვის 4 მან. 30 კ., ხოლო საქართველოში 5 მან. 90 კაპ.. წერა-კითხვის ცოდნის გავრცელების მხრივ შემდეგი სურათია საქართველოში: წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი საშუალოდ რესპუბლიკაში უდრის 87 პროც., მაზრობრივ: ოზურ. 68 პრ., თბილისის 56 პრ., რაჭის 54 პრ., სენაკის 47 პროც., თელავის 44 პროც., სიღნაღის 43 პროც., აქ აღსანიშნავია ის, რომ წერა-კითხვის ცოდნის მხრივ ამ უკანასკნელ წლებში დიდი ნაბიჯი გადადგა აღმოსავლეთ საქართველომ. მაგალითად თელავის და სიღნაღის მაზრა უკვე წინ უსწრებს დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ მაზრებს. ეს აუცილებელი მოვლენაა და ამ მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ და გავაღრმავოთ ჩვენი მუშაობა. პირველ ყოვლისა, პარტია მიზნად ისახავს მთელი თავისი გულისყური გადაიტანოს სოფლის კულტურულ ამაღლებისაკენ. შემდეგ, მომხსენებელი ეხება ლიტერატურის და კერძოდ პროლეტარული ლიტერატურის საკითხებს. ლიტერატურის დარგში პარტიის მიზანია ხელი შეუწყოს პროლეტ. მწერლობას, რომ მან მოიპოვოს უფლება ჰეგემონიაზე, რასაკვირველია, არა ხელოვნური საშუალებებით, არამედ თავისი ბუნებრივი განვითარებით.

— უკანასკნელ ხანებში პროლეტ. მწერლობამ როგორც რუსეთში, ისე ჩვენში დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. მას აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგრამ მისი განვითარებისთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს აღნიშნოს და ხაზი გაუსვას პროლეტ. მწერლობის დეფექტებს და შეცდომებს, ვიდრე გამარჯვებებს. მიუხედავად წინსვლისა, ასეთი შეცდომები ჩვენ პროლ. მწერლობას საკმაოდ მოეპოება. ხშირად იგი თავს ვერ აღწევს იმ არა პროლეტარული ფენების იდეური ზეგავლენას, რომელიც მას კარდს არტყია.

იმდენად, რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლება მტკიცდება პოლიტიკურ და ეკონომიურ ფრონტებზე, თანდათან აძლიერებს მეურნეობის სოციალისტურ სექტორს, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო სარბიელიდან იდევნება ბურჟუაზიული ელემენტები, რომელთა დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ მწვავდება და მის მიმართ უფრო შეურიგებელი ხდება.

მეორე მხრით, სწარმოებს ჩვენი სახელმწიფო აპარატის გამარტივება, შემცირება, ნაწილი მოსამსახურეებისა რჩება შტატს გარედ და მათი განწყობილებაც ხელისუფლების მიმართ მტრულია. ძალაუნებურად იქმნება კავშირი ამ ძალებს შორის. ისინი აშკარად თუ ფარულად გამოსთქვამენ თავიანთ განწყობილებას და ქმნიან მტრულ ატმოსფერას. თუ მწერლობა მოხვდა ამ ატმოსფერაში, ცხადია, იგი ასცდება იდეოლოგიურად გამართლებულ შემოქმედების გზას. თვალი რომ გადავავლოთ ჩვენ პროლეტარულ მწერლობას, ჩვენ იქ შევხვდებით არა პროლეტარულ გადახრას.. მაგ. ჩვენი პროლ. მწერლები თავიანთ ლექსებში ხშირად იძლევიან ნაციონალისტური განწყობილების და აგრეთვე უიმედობის, პესიმიზმის ნიმუშებს.

აქ მომხსენებელს მოყავს ციტატებში ზოგიერთ ქართველ პროლეტარულ პოეტების ლექსებიდან, რომელიც აშკარად მოწმობს მათ ნაციონალურ გადახრას, დაცემულ სულისკვეთებას და სხ.. ასეთი გადახრები მიუღებელია პროლეტ. პოეტისათვის, რომლის შემოქმედება უნდა ემსახურებოდეს ინტერნაციონალიზმის განმტკიცებას. ბრძოლა ნაციონალიზმთან, რასაკვირველია, არ ნიშნავს ნაციონალურ კულტურის უარყოფას. საჭიროა რომ ადგილი არ ექნეს ამ მხრივ ბოლშევიზმისთვის შეუთავსებელ უკიდურესობას. პროლეტარული კულტურა თავისი ფორმით ნაციონალურია, ეს დებულება მშვენივრად დაასაბუთა სტალინმა თავის ერთ-ერთ მოხსენებაში. საბჭოთა სისტემის საფუძველზე ნაციონალური კულტურის განვითარება უნდა შეუფარდდეს მშრომელთა ინტერესებს. აი, ეს უნდა იყოს ჩვენი სახელმძღვანელო ხაზი ეროვნული კულტურის განმტკიცების საქმეში და ამ მთავარ პრინციპზე დაყრდნობით უნდა ვებრძოლოთ უარყოფით მოვლენებს, და ეროვნულ-ნაციონალისტურ უკულმართობას. უნდა ფხიზლად ვიქნეთ, რომ წმინდა ნაციონალისტური შექმნილი ეროვნული კულტურის ნიმუშად არ შემოგვეტყუონ. კარგი საქმეა, მაგალითად, ეროვნული ოპერის განვითარება მაგრამ ოპერები მეფეებით, საეკლესიო ზარებით და პატრიოტული მანგებით არის არა კულტურული გამარჯვება, არამედ უკან დახევა, ჩამორჩენა. ასეთივე ნაციონალისტური სიმახინჯეა როცა შენობებს აგებენ ძველი საეკლესიო სტილით და ამას პროგრესიულ კულტურულ მოვლენად ასაღებენ. ერთ დროს მაღალი, ვიწრო ფანჯრებიანი, ბნელი სასახლეები შეიძლება კარგ საბრძოლველ შენობებს წარმოადგენდენ შემოსეულ მტრების წინააღმდეგ, მაგრამ დღეს, ასეთი ბნელი შენობების აგება ჩვენ სამეურნეო კულტურულ დაწესებულებათა საჭიროებისათვის სრულიად შეუფერებელია.

ჩვენი თეატრიც ამ უკანასკნელ ხანებში ვერ ანვითარებს ჩვენს ეროვნულ კულტურას. კერძოდ რუსთაველის თეატრმა, რომელმაც რამოდენიმე ნაბიჯი—გადადგა წინ, უკან დაიხია. იმ დროს როდესაც რუსეთის თეატრმა შექმნა ნამდვილი რევოლიუციონური რეპერტუარი, ქართული თეატრი არამც თუ წინ მიდის, არამედ უკან იხევს. „ამერიკელი ძია“-ს და „ამერიკელი ძიის გასაბჭოებით“ რუსთაველის თეატრი ყოველგვარ საზღვარს გადასცდა. ეს პიესა არა თუ რევოლიუციონურია, იგი პაროდიაა საბჭოთა ხელისუფლებაზე. დღეს რომ ჩვენს სოფელში კომბალის მეტი ვერავინ დაინახოს, აშკარად ბრმა უნდა იყოს. ამას სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. იგივე ითქმის ჩვენს კინო-წარმოებაზე. რომელმაც საქმე კარგად დაიწყო და ცუდად დაამბოლოვა. ეს იმ დროს, როცა საქართველოს ბუნებრივი პირობები და ახალი ყოფა-ცხოვრება დიდ მასალას იძლევიან ჩვენი კინო-მრეწველობის განსავითარებლად. ჩვენი კინო-სურათები ვერ მიდის სოფელში, ისინი ჩვენს სამაზრო ცენტრებს ვერ სცილდებიან. მე-15 ყრილობამ კინოს საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და საჭიროდ აღიარა სოფლის გათვითცნობიერება კინოს დახმარებით.

დასასრულ მომხსენებელი ეხება პროლეტ. მწერალთა ყრილობას, და ამბობს, რომ ყოველი ყრილობა ააშკარავებს არა მარტო მიღწევებს. არამედ უარყოფით მოვლენებს და შეცდომებს. ამ ყრილობაზედაც გამოაშკარავდა პროლეტ. მწერალთა ასოციაციის ერთი ავადმყოფობა: ეს ის, რომ მასში არ ყოფილა მთლიანობა. პროლეტარულ მწერლობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროლეტარულ მწერალთა შემჭიდროება, მათი ერთსულოვანი თანამშრომლობა, და პარტიის მიერ მოცემული ხაზის მტკიცედ გატარება. პროლეტარულ მწერალთა ასეთი მთლიანი ფრონტია საჭირო აგრეთვე იმისათვის, რომ წარმატებით სწარმოებდეს ბრძოლა პროლეტარიატის იდეოლოგიურ მტრებთან. როგორც გამოირკვა, ე. წ. ლიტერატურულ ოპოზიციის ჯგუფი ქიქოძის მეთაურობით სრულიად ანგარიშს არ უწევს ამ გარემოებას და არა თუ ხელს უწყობს, პირიქით, შლის და არევ-დარევა შეაქვს პროლეტარულ მწერალთა საერთო საქმიანობაში. იგი აყენებს ისეთ ლოზუნგებს, რომელიც არსებითად არ განსხვავდება ასოციაციის მთავარი ხაზიდან, აყენებს მხოლოდ იმ მიზნით, რომ დაარღვიოს მთლიანობა, და შეასუსტოს პროლ. მწერლების ნაყოფიერი მუშაობა პროლეტარულ კულტურის განსამტკიცებლად.

მხოლოდ გაერთიანებით თავისი ძალების შემჭიდროებით, იდეური მუშაობის გაძლიერებით, სწავლით და თვითკრიტიკით მოიპოვებს პროლეტარული მწერლობა უფლებას იყოს ჰეგემონი სამწერლო ასპარეზზე (ტაში).

ამხ. ავერბახის მისალმება

სრულიად საკავშირო პროლ. მწერალთა ასოციაციის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ავერბახი, რომელიც შეეხო ახალი კულტურის და კერძოდ პროლეტარული მწერლობის განვითარების საკითხებს. ამხ. ავერბახმა ყრილობას გადასცა აგრეთვე გერმანელ პოეტ ბეიხერის სალამი. ამხ. ბეიხერი მიცემულია გერმანიის მთავრობის მიერ პასუხისგებაში იმისათვის, რომ მან სასტიკად გაილაშქრა ჰინდენბურგის წინააღმდეგ. მთელი კულტურული კაცობრიობა აღშფოთებულია და პროტესტს გამოსთქვამს მის პასუხისგებაში მიცემის გამო. ამხ. თოდრიას წინადადებით საქ. პროლ. მწერალთა ყრილობამაც თავისი პროტესტს უერთებს მთელი ქვეყნის პროლეტარიატის გულისწყრომას.

დადგენილება პ. ქიქოძისა და ნ. ზომლეთელის შესახებ

ყრილობის პრეზიდიუმის წინადადებით იმ დეზორგანიზატორული მოქმედებისათვის, რომელსაც ეწეოდენ ასოციაციაში ამხ. პ. ქიქოძე და ნ. ზომლეთელი, ასოციაციიდან გამორიცხულია ამხ. პ. ქიქოძე, ხოლო ზომლეთელს გამოეცხადა მხოლოდ საყვედური.

არჩევნები

დასასრულ ყრილობამ საქ. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში აირჩია 29 წევრი და 6 კანდიდატი. სარევიზიო კომისიაში 7 ამხანაგი. ა.-კ. პროლ. მწერალთა ყრილობის დელეგატად 29 ამხანაგი გადამწყვეტი, ხოლო სამი სათათბირო ხმით.

ყრილობა დაიხურა ამხ. თოდრიას სიტყვით.

პარტიული ცხოვრება

მეტი ყურადღება პარტგანათლებას

ლენინის რაიონის პარტიულ კომიტეტის პრეზიდიუმმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა პარტგანათლების მდგომარეობის შესახებ. „რაიკომის პრეზიდიუმს მიაჩნია, რომ მსმენელთა დასწრება (61 %) 1, 2, 3 საფეხურის პოლიტსკოლების და მიმდინარე პოლიტიკის წრეების მეცადინეობაზე არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს, რაიც უმეტეს შემთხვევაში აიხსნება იმით, რომ უჯრედთა ბიუროები ამ საკითხს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას“.

ამავე საკითხს ეხება თავის დადგენილებაში თბილისის ქალაქის რაიკომის პლენუმი, სადაც ნათქვამია: „რაიკომის პლენუმი სცნობს, რომ პარტუჯრედები არ აქცევენ სათანადო ყურადღებას პარტგანათლების საქმეს, რის გამოც მსმენელთა დასწრება პოლიტსკოლების და წრეების მეცადინეობაზე მეტად სუსტია (საშუალო დასწრება მთელ რაიონში უდრის 40 პროც.)

შემთხვევითი არაა, რასაკვირველია, რომ თბილისის ორგანიზაციის ამ ორი რაიონის ხელმძღვანელ ორგანოთა დადგენილება, თითქმის ერთნაირად არადამაკმაყოფილებლად სცნობს უჯრედების მუშაობას პარტგანათლების დარგში. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი თითქმის ყველა—[illegible] ორგანიზაციის უჯრედებში. ამის მთავარი მიზეზი, როგორც ეს აღნიშნულია ზემოთმოყვანილ დადგენილებაში, ისაა, რომ პარტუჯრედები არ იჩენენ სათანადო ინტერესს პოლიტსკოლებისა და წრეების მუშაობისადმი.

ხშირად სკოლებს ხელს უშლის მუშაობაში მთელი რიგი დაბრკოლებები. ასეთია მაგალითად: შესაფერის ბინის უქონლობა, სახელმძღვანელოების ნაკლებობა, ხელმძღვანელების მოუმზადებლობა ან არაბეჯითობა, თვით მსმენელთა სისტემატიურად დაუსწრებლობა მეცადინეობაზე და სხვა. უჯრედთა ბიუროები არ ისმენენ მოხსენებებს წრეების ან სკოლების მდგომარეობის შესახებ, არ აძლევენ მათ პრაქტიკულ მითითებებს მუშაობის პროცესში, ყველაფერი მინდობილი აქვს მარტო წრის ხელმძღვანელს და მამასახლისს.

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. უჯრედებმა სისტემატიური კონტროლი და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ პარტგანათლების სკოლებს და წრეებს, თორემ სამოსწავლო წლის ბოლოში „გვიანღა იქნება თითზე კბენანი“.

ბ. ნ—ა.

მოწაფეთა უჯრედების ზოგიერთი ნაკლის შესახებ

ამას წინად შემდგარ არსრაიონის კომუჯრედების მდივანთა თათბირზე, აღნიშნულ იქმნა ს.ა.ლ.კ.კ. მოწაფეთა უჯრედებზე პარტხელმძღვანელობის სისუსტე, ამასვე ადასტურებს ს.ა.ლ.კ.კ. თბილისის ორგანიზაციების ამას წინად დასრულებული კონფერენციები. ასე რომ, არსრაიონი გამონაკლისს არ წარმოადგენს, სხვა რაიონებშიც ასეთივე მდგომარეობაა. ასეთი მდგომარეობის მოთმენა, იმ დროს, როდესაც მოსწავლეთა უჯრედები თავის სპეციფიურ პირობების გამო ძალზე სუსტნი არიან, შეუძლებელია.

კომკავშ. ხანდახან სასწავ. ადმინისტრაციის სრული გავლენის ქვეშ ექცევა და ჰკარგავს საკუთარ სახეს, მეორე მხრივ კი ადგილი აქვს ერთგვარ მბრძანებლობას, სკოლის საქმეებში უხეშად ჩარევას, ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლობას.

გასულ წელს ასეთ კურიოზულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: რკინის გზის მეოთხე სკოლაში, კომკავშირი იწვევს მოსწავლეთა კრებას მოხსენების ჩასატარებლად, გამოაქვს საჭირო ფიცრები დარბაზის საჭიროებისათვის ადმინისტრაციამ კი არც მოხსენების და არც სხვათა შესახებ არაფერი იცის. წყდება მეცადინეობა და აღმოჩნდება, რომ მომხსენებელი დანიშნული არ ყოფილა, არც რაიკომმა. არც განათლების განყოფილებამ ამის შესახებ არაფერი იცოდა. ასეთი შემთხვევები მრავალია.

ეს სისუსტე აიხსნება იმ გარემოებით, რომელშიაც არიან მოსწავლეთა უჯრედები. მოწაფეთა უჯრედები კომკავშირის მუშაობაში გამოუცდელ წევრებისაგან შესდგებიან, პარტიის წევრთა რიცხვი იქ თითქმის არ არის და სხვა.

თუმცა ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტთან არსებობს სასკოლო განყოფილება, მაგრამ მას მუშაობა ჯერჯერობით სათანადოთ არ გაუშლია. თუ რომ მუშაობა სწარმოებს. მას მხოლოდ „სეზონური“ ხასიათი აქვს. ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც რაიმე კამპანია არის ჩატარებული. ასეთ მდგომარეობას კი ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი პარტიული ორგანოები უფრო მეტად უნდა დაუახლოვდენ მოსწავლეთა უჯრედებს. გაეცნონ საერთოდ პედაგოგთა მუშაობის სპეციფიურ პირობებს, გამონახონ სათანადო საშუალებანი პარტხელმძღვანელობის გასატარებლად. პირველად ყოვლისა საჭიროა, უკვე პრაქტიკაში ძიებულ კომუნისტ-მასწავლებელთა ა.ლ.კ.კ. უჯრედების აქტივის და მიმაგრებულ ამხანაგების თათბირის სისტემატიურად მოწვევა. საჭიროა მოსწავლეთა უჯრედებზე მიმაგრებულ იქნეს სათანადოთ მომზადებული აქტიური ამხანაგები. აქ გამოყენებულ უნდა იქნენ პირველად ყოვლისა თვით პედაგოგიურ დარგში მომუშავე კომუნისტები. პარტორგანოებმა ასეთები უნდა გაანთავისუფლონ სხვა არა სასკოლო დავალებებიდან.

ა.ლ.კ.კ. უჯრედების პოლიტგანათლების გეგმაში საჭიროა შეტანილ იქნეს. საბჭოთა სკოლის პრინციპები. მისი ამოცანები. და ორგანიზაციის საკითხები. ამ საშუალებებით ჩვენ შევძლებთ ენერგიული ბრძოლა კომკავშირის მოწაფეთა უჯრედებში არსებულ მავნე გადახრათა წინააღმდეგ.

ლ.ან.

მუშაობა გამოცოცხლდა

ჭიათურაში, ქალთა შორის მუშაობა გამოცოცხლდა.

ამჟამად ჭიათურის რაიონში ჩამოყალიბებულია 8 სადელეგატო პუნქტი, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობს 200 მუშა, მოჯამაგირე და გლეხი ქალი. მეცადინეობა სისტემატიურად მიმდინარეობს. დელეგატი ქალები დიდ აქტივობას იჩენენ და ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ცოდნა, გამოცდილება მიიღონ. ქალების ინიციატივით თემებში ჩამოყალიბებულ იქნა მრავალი წრეები. თვით ჭიათურაში დელეგატ ქალების ინიციატივით დაარსებული იქნა სამკერვალო, სადაც უფასოდ მეცადინეობენ მუშებისა და ღარიბი გლეხების შვილები. დაარსებული იქნა აგრეთვე სანიტარული წრე, სადაც ამთავითვე მონაწილეობას ღებულობს 65 ქალი.

ქსენია კაპანაძე.

კომკავშირში

თბილისის კომიტეტის პლენუმი

გუშინ საღამოს 6 საათზე ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის შენობაში ამხ. ი. სილაძის თავმჯდომარეობით შესდგა თბილისის კომიტეტის პლენუმი. დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. თბილისის კომიტეტის ანგარიშის დამტკიცება, 2. კონფერენციის დღის წესრიგის დამტკიცება და საორგანიზაციო საკითხები.

პლენუმმა უცვლელად დაამტკიცა კონფერენციისათვის წარსადგენად თბილისის კომიტეტის ანგარიში და მოხსენების გაკეთება დაავალა ამხ. სილაძეს.

კონფერენციის დღის წესრიგისათვის პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი საკითხები: 1. თბ. კ. ანგარიში, 2. ბავშთა კომ. ორგ. ბიუროს მოხსენება, 3. სარევ. კომისიის ანგარიში, 4. კომკ. მასიური ეკონომიური მუშაობა. 5. მასიური კულტურული მუშაობა (ასრიბეკოვი), 6. არჩევნები.

პოლიტიკური მოხსენება პლენუმმა კონფერენციის დღის წესრიგიდან მოხსნა, რადგან ასეთი მოსმენილი იქნა სარაიონო კონფერენციაზე.

ვინდან.

ქალაქის რაიკომის პლენუმი

გუშინ ს. ა. ლ. კ. კ. ქალაქის რაიკომის შენობაში შესდგა ახლად არჩეულ რაიკომის პირველი საორგანიზაციო პლენუმი. დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი: 1. პრეზიდიუმის არჩევნები და 2. პრაქტიკულ მომუშავეთა გამოყოფა.

პრეზიდიუმში წევრებად არჩეულ იქნენ: ამხ. მაისურაძე, ჩუბინიძე, ჯაფარიძე, ნალბანდოვი, ხუციშვილი, ეფრემოვი, გიგოშვილი, პოპოვი-ხერჩაიანი, მიქელოვი, შელიძე, ბეჟანოვი, ჩანკვეტაძე. კანდიდატებათ: ამხ ვასილიევა, ზატოლოვსკი, იაგნეტინსკი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ პლენუმმა ქალაქის რაიკომის პ. მგ. მდივნად ერთხმად გამოჰყო ამხ. მაისურაძე. საორგ. განყოფილების გამგედ ამხ. ჩუბინიძე, აგიტპროპათ ჯაფარიძე. ეკონომ. განყ. გამგედ ამხ. ნალბანდოვი და ბ. კ. ო. ბიუროს თავმჯდომარედ ამხ. ხუციშვილი

ვ. დ.

ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის აღსასრული რუსეთში

(დამფუძნებელი კრების დათხოვის 10 წლის თავი)

ბოლშევიკები და დამფუძნებელი კრების ლოზუნგი

საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგენი და მეორე ინტერნაციონალის პარტიები არა მარტო რუსეთში, არამედ უცხოეთშიც (კაუტსკი და კომპ.) ბოლშევიკებს უკიჟინებენ, რომ ისინი წინათ იცავდენ დამფუძნებელ კრებას და შემდეგ კი, როცა გამოირკვა, რომ ისინი დამარცხდენ დ. კრ. არჩევნებში, გადასწყვიტეს მისი გარეკვა და კიდეც მოიყვანეს ეს განზრახვა სისრულეში.

რასაკვირველია, აქ „ოდნავ“ გადამახინჯებულია ისტორიული ფაქტები.

ბოლშევიკები არ ყოფილან დამფუძნებელი კრების წინააღმდეგი. კერენსკი - მილიუკოვის ბატონობის დროს ბოლშევიკები მოითხოვდენ დამფუძნებელი კრების მოწვევას, რადგან ესერ მენშევიკების მიერ კადეტებთან შეთანხმებით შეთითხნილ „სახელმწიფო“, „დემოკრატიულ“ და სხვა თათბირებს და „პრედპარლამენტს“ წინაშე უპირატესობას აძლევდენ ხალხის ნებისყოფის უშუალოდ გამომხატვას. მაგრამ არასოდეს ბოლშევიკები არ ყოფილან მომხრე პარლამენტარული რესპუბლიკისა დამფუძნებელი კრებით, რომელსაც ბოლშევიკური პარტია 1917 წლის რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე უპირისპირებდა საბჭოთა ხელისუფლებას, როგორც დემოკრატიზმის უმაღლეს ფორმას და მშრომელთა რევოლიუციის საიმედო დასაყრდენს.

თავის თეზისებში „პროლეტარიატის ამოცანების შესახებ მიმდინარე რევოლიუციაში“, რომელიც ლენინმა დასწერა შვეიცარიიდან დაბრუნების მეორე დღესვე (4—17 აპრილს) ჩვენ ვკითხულობთ შემდეგ სტრიქონებს. (იხ. თეზისი მეოთხე და მეხუთე):

„4) საჭიროა იმის განმტკიცება მასებისათვის, რომ მუშათა დეპუტატების საბჭოები წარმოადგენენ ერთად ერთ შესაძლებელ ფორმას რევოლიუციონური მთავრობისას და ამიტომ ჩვენს ამოცანას, სანამ ეს მთავრობა (ლვოვისა და კომპ. მთავრობა ე. მ—ძე) ემორჩილება ბურჟუაზიის გავლენას, შეიძლება იყოს მხოლოდ მოთმინებითი სისტემატიური. დაჟინებითი, განსაკუთრებით, მასების პრაქტიკულ საჭიროებებთან შეთავსებული განმარტება შეცდომებისა და ტაქტიკის.

სანამ ჩვენ უმცირესობაში ვართ, ჩვენ ვაწარმოებთ კრიტიკისა და შეცდომების გამორკვევის მუშაობას და ამავე დროს ვქადაგებთ მთელი სახელმწიფო ძალაუფლების გადაცემას მუშათა დეპუტატების საბჭოების ხელში რათა მასამ გამოცდილებით გაინთავისუფლოს თავი შეცდომებისაგან

5). არა პარლამენტარული რესპუბლიკა,—მუშათა დეპუტატების საბჭოებიდან მისკენ დაბრუნება ეს იქნებოდა ნაბიჯი უკან,—არამედ მუშათა, მოჯამაგირეთა და გლეხთა რესპუბლიკა, მთელს ქვეყანაში, ქვევიდან ზევით“.

ამრიგად ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინის მეთაურობით თავიდანვე დასახა საბჭოები [illegible] ხელისუფლების უმაღლეს სახელმწიფოებრივ ფორმათ პარლამენტარულ რესპუბლიკასთან შედარებით.

რატომ სდგას საბჭოთა ხელისუფლება, როგორც მშრომელთა ხელისუფლების ფორმა, უფრო მაღლა, ვიდრე პარლამენტარული რეჟიმი?

ჭეშმარიტ რევოლიუციონერისათვის რევოლიუციის ინტერესები ყველაზე უფრო მაღლა უნდა იდგეს. საბჭოები კი ყველაზე უფრო საიმედო დასაყრდენს წარმოადგენენ რევოლუციისათვის, ყველაზე უფრო უზრუნველყოფენ მის დაგვირგვინებას გამარჯვებით, რადგან წარმოადგენენ მშრომელთა მასიურ ორგანიზაციას, რევოლიუციის გაღრმავების და განმტკიცების შტაბს.

„რევოლიუციამ წამოაყენა ორი ძალა — მასების გაერთიანება თვითმპყრობელობის დამხობის მიზნით და მშრომელი ხალხის ორგანიზაციები. როცა ოქტომბრის რევოლიუციის მოწინააღმდეგეებისაგან მესმის ქიქუნა სოციალიზმის იდეების განუხორციელებლობის და უტოპიურობის შესახებ, ასეთ შემთხვევაში მე, ჩვეულებრივ ვაძლევ მათ მარტივ და ნათელ კითხვას: რა მოვლენაა საბჭოები? რის შედეგს წარმოადგენს მსოფლიო რევოლიუციის განვითარებაში ჯერ კიდევ უხსოვარ ამ სახალხო ორგანიზაციების წარმოშობა? და ამ კითხვაზე მე არავისგან არ მიმიღია და ვერ შევსძელი მიმეღო გარკვეული პასუხი. დამყაყებული ბურჟუაზიულ წყობილების დაცვის გულისათვის ისინი ილაშქრებენ ამ მძლავრ ორგანიზაციების წინააღმდეგ, რომელთა წარმოშობა არ არის შემჩნეული მსოფლიოს არც ერთი რევოლუციის დროს. ვინც იბრძვის მემამულეების წინააღმდეგ, იგი მიდის გლეხთა დეპუტატების საბჭოებში. საბჭოები აერთიანებენ ყველას. ვისაც არ სურს უმოქმედობა და მიდის შემოქმედებითი მუშაობის გზით. — „რევოლიუციონური აღტყინება გამოიხატა იმაში, რომ საბჭოები—ეს დასაყრდენი მშრომელთა რევოლიუციისა — შექმნილ იქნენ. რუსეთის ხალხმა გააკეთა გიგანტური ნახტომი თვითმპყრობელობიდან საბჭოებისაკენ. ეს უდაო და ჯერ არსად გაგონილი ფაქტია. და იმ დროს, როცა ყველა ქვეყნების და პარლამენტების ბურჟუაზიული სახელმწიფოები, ხელ-ფეხ შეკრულნი კაპიტალიზმისა და საკუთრების ჩარჩოებით არსად და არას დროს არავითარ დახმარებას არ უწევდენ რევოლიუციონურ მოძრაობას. —საბჭოები აღვივებენ რა რევოლიუციის ხანძარს, გარკვევით უკარნახებენ ხალხს: იბრძოლე, ყველაფერი აიღე შენს ხელში და შეკავშირდი“-ო.

ასე ამბობდა ლენინი სრულიად რუსეთის საბ. ცენტრ. აღმასრულებელი კომ. 1918 წ. 6 (19) იანვრის სხდომაზე, როცა მეათასერად ასაბუთებდა ბოლშევიკური პარტიის შეხედულებას საბჭოების უპირატესობის შესახებ პარლამენტარულ რეჟიმთან შედარებით.

მაგრამ, თუ ასეთი იყო ბოლშევიკების შეხედულება პარლამენტარულ რეჟიმზე დამფუძნებელი კრებით მაშ რათ მოითხოვდენ ისინი დამფუძნებელი კრების მოწვევას კერენსკის დროს? —ასე „ირონიულად“ კითხულობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. და ჩვენც მათ უპასუხებთ ლენინის სიტყვებით:

„...ყველა იმათ, ვინც მიგვითითებს, რომ ჩვენ ოდესღაც ვიცავდით დამფუძნებელ კრებას, ახლა კი მას „ვრეკავთ“, აზროვნების ნატამალიც არ გააჩნია, არამედ ისვრიან ბრჭყვიალა ფრაზებს ვინაიდან ოდესღაც, თვითმპყრობელობასთან და კერენსკის რესპუბლიკასთან შედარებით, დამფუძნებელი კრება ჩვენთვის უკეთესი იყო, ვიდრე მათი ბედოვლათი ხელისუფლების ორგანოები. მაგრამ საბჭოების წარმოშობისთანავე, უკანასკნელნი, როგორც სრულიად სახალხო რევოლიუციონური ორგანიზაციები, მთელი მსოფლიოს ყველა პარლამენტებზე მაღლა დადგენ.*)“.

წერილში „მემარცხენეობის“ საყმაწვილო სენი კომუნიზმში“, ლენინი კიდევ უფრო დაწვრილებით განმარტავს იმ მოსაზრებებს, რომლითაც ხელმძღვანელობდა პარტია, როცა მონაწილეობას იღებდა დამფუძნებელი კრების არჩევნებში.

„ჩვენ მონაწილეობა მივიღეთ რუსეთის ბურჟუაზიული პარლამენტის — დამფუძნებელი კრების არჩევნებში 1917 წლის სექტემბერ-ოქტომბერში. სწორი იყო, თუ არა ჩვენი ტაქტიკა? ხომ არ გვქონდა ჩვენ, რუს ბოლშევიკებს, უფრო მეტი უფლება, ვიდრე დასავლეთის კომუნისტებს, ჩაგვეთვალა, რომ რუსეთში პარლამენტარიზმმა პოლიტიკურად მოსჭამა თავისი დრო? რასაკვირველია, გვქონდა, ვინაიდან საქმე იმაში არ არის—დიდი თუ მცირე ხანია, რაც ბურჟუაზიული პარლამენტები არსებობენ, არამედ იმაში, თუ რამდენად მზად არიან (იდეურად, პოლიტიკურად, პრაქტიკულად) მშრომელთა ფართე მასები მიიღონ საბჭოთა ხელისუფლება და გარეკონ ან დაუშვან ბურჟუაზიული - დემოკრატიული პარლამენტის გარეკა, რომ რუსეთში 1917 წ. სექტემბერ-ნოემბერში ქალაქების მუშათა კლასი, ჯარისკაცები და გლეხები, სპეციალურ მიზეზების წყალობით იშვიათად იყვენ მომზადებული საბჭოთა წყობილების მისაღებად და ყველაზე დემოკრატიული პარლამენტის გასარეკად, ეს სრულიად უდაო და სავსებით დადასტურებული ისტორიული ფაქტია. და მიუხედავათ ამისა ბოლშევიკებს არ გამოუცხადებიათ ბოიკოტი დამფუძნებელი კრებისათვის არამედ მონაწილეობა მიიღეს მის არჩევნებში მანამდი, ვიდრე პროლეტარიატი პოლიტიკურ ძალაუფლებას დაიპყრობდა და მის შემდეგაც.. დასკვნა აქედან სრულიად უდაოა: დამტკიცებულია, რომ რამდენიმე კვირით ადრეც კი საბჭოთა რესპუბლიკის გამარჯვებამდე მონაწილეობა ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ პარლამენტში არა თუ არ ავნებს რევოლიუციონურ პროლეტარიატს, არამედ გაუადვილებს მას შესაძლებლობას დაუმტკიცოს ჩამორჩენილ მასებს, თუ რატომ არიან გარეკის ღირსი ასეთი პარლამენტები, აადვილებენ მათ გარეკის წარმატებას, აადვილებენ ბურჟუაზიული პარლამენტის პოლიტიკურად გამოფიტვას *)“.

ამხ. ა. ჟელეზნიაკი
რომლის ხელმძღვანელობითაც გარეკილი იქნა დამფუძნებელი კრება.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არავითარ „ორმაგ ბუხგალტერიას“ ბოლშევიკური პარტიის ტაქტიკაში დამფუძნებელი კრების საკითხში ადგილი არ ჰქონებია. ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლებას თავიდანვე აყენებდენ უფრო მაღლა, ვიდრე პარლამენტარულ რეჟიმს დამფუძნებელი კრებით, მაგრამ მხარს უჭერდენ დამფუძნებელ კრებას, რადგან კონკრეტულ პირობებში „დამფუძნებელი კრება უკეთესი იყო, ვიდრე კერენსკის რესპუბლიკა“, იმიტომ რომ ოქტომბრის გადატრიალებამდი რამდენიმე კვირით ადრეც კი, მონაწილეობა დამფუძნებელ კრებაში სასარგებლო იქნებოდა პროლეტარიატისათვის, რადგან გაუადვილებდა მას „დაემტკიცებია ჩამორჩენილი მასებისათვის, თუ რატომ არიან გასარეკი ასეთი პარლამენტები“.

„ორმაგი ბუხგალტერიით“, პირიქით, სარგებლობდენ ესერ-მენშევიკები საბჭოების მიმართ, რომლებსაც ისინი, რევოლიუციის პირველ დღეებში, როცა მათ მტკიცე უმრავლესობა ჰყავდათ ამ ორგანოებში, აღიარებდენ „ხელისუფლების ერთად ერთ წყაროდ“, „დემოკრატიის სიმაგრეებად“ და შემდეგ როცა მასები მარცხნივ გადაიხარენ და საბჭოების ხელმძღვანელობა ხელიდან გამოეცალა ესერ-მენშევიკებს, მათ საბჭოები აღიარეს „დრომოჭმულ“ ორგანოებად, რომლებმაც „ადგილი უნდა დაუთმონ დამფუძნებელ კრებას რომელიც გადასწყვეტს თუ მმართველობის როგორი ფორმა იქნება რუსეთში“.

ასეთი იყო ესერ-მენშევიკური აკრობატიკა.

ზოგიერთი ფაქტები და ციფრები

დამფუძნებელი კრების დათხოვის შემდეგ ესერ-მენშევიკები ყოველ გზა-ჯვარედინზე გაჰყვიროდენ, რომ ბოლშევიკებმა უმცირესობა დაუპირისპირეს უმრავლესობას. ვინ იყო ეს უმცირესობა და უმრავლესობა?

„უმცირესობა“ ეს, რასაკვირველია, ესერ-მენშევიკების მტკიცებით იყვენ ბოლშევიკები, რომლებმაც დამფ. კრების არჩევნებში მიიღეს ნაკლები ხმები, უმრავლესობა კი სხვა პარტიები**) ესერ — სვიატიცკის სტატისტიკით სხვადასხვა პარტიების მიერ დამფ. კრების არჩევნების დროს (54 საარჩ. ოლქში) მიღებული ხმები ლენინმა ასე დაანაწილა ძირითად პარტიებს შორის:

პროლეტარიატის პარტია (ბოლშევიკები)	9,02 მილ.	25 %
წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის პარტია (ესერები, მენშევიკები და სხვა).	22,62 მილ.	20 %
მემამულეების და კადეტების პარტია (კადეტები და სხ.)	4,62 მილ.	18 %
	36,26 მილ.	100 %

აბსოლიუტური ციფრებით გამოდის, რომ პროლეტარიატის პარტიამ მიიღო ხმების უმცირესობა მაგრამ, როცა ანალიზს უკეთებთ მიღებულ ხმებს საარჩევნო რაიონების მიხედვით, გამოდის, რომ სამრეწველო რაიონებში ყველგან ბოლშევიკებმა მიიღეს აბსოლიტიური უმრავლესობა. ესერები იმარჯვებდენ წმინდა გლეხურ რაიონებში, მაგრამ აქ მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი ორი გარემოება: 1) ესერები მთლიან პარტიას წარმოადგენდენ იმ დროს, როცა დამფუძნებელი კრების საარჩევნო სიები დგებოდა მაგრამ გაიყვენ არჩევნების შემდეგ. მემარცხენე ესერები კი, რომლებიც ოქტომბერში მხარს უჭერდენ ბოლშევიკებს, საერთო პარტიულ სიაში წარმოდგენილი იყვენ არაპროპორციულად თავის გავლენასთან გლეხურ მასებში. 2) თვით არჩევნები დამფუძნებელ კრებაში ხდებოდა იმ დროს, როცა პეტროგრადის და მოსკოვის პროლეტარიატი მხოლოდ ემზადებოდა ძალაუფლების დასაპყრობად და ძირითადი საკითხი რომელიც აინტერესებდა გლეხობას—მიწის საკითხი — გადაჭრილი არ იყო. მაგრამ, როცა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ გლეხობამ მიიღო მიწა მის დამოკიდებულებაში პროლეტარული პარტიისადმი — რომელმაც მას ეს მიწა მისცა, მოხდა რადიკალური გარდატეხა. ამრიგად გლეხ — ამრჩეველთა ოქტომბრის შემდეგომი განწყობილება სრულიად არ შეეფერებოდა მის მიერ ოქტომბრამდი ჩატარებულ არჩევნებში გამოხატულ ნებისყოფას.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ და ახალი მუშურ - გლეხური მთავრობის ღონისძიებებმა რადიკალური გარდატეხა მოახდინეს არა მარტო გლეხობაში, არამედ იმ მუშებში, რომლებიც ჯერ კიდევ მერყეობდენ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის და ქალაქის წვრილ - ბურჟუაზიულ მასებში, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტებმა ზავის, მუშათა კონტროლის, წოდებათა გაუქმების და სხვ. შესახებ, დაანახვეს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ნამდვილად არის ჩაგრულთა და გაჭირვებულთა ხელისუფლება და შესწევს უნარი რევოლიუციონურად გადასწყვიტოს „წყეული“ საკითხები, რომლის შესახებ ესერ-მენშევიკები 8 თვის განმავლობაში ლაყბობდენ და ვერ გადაჭრეს.

მაგრამ მიუხედავათ იმისა, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები აღარ შეეფერებოდა ამომრჩევლებში ოქტომბრის შემდეგ შექმნილ განწყობილებას, საბჭოთა ხელისუფლებამ მაინც გადასწყვიტა დამფუძნებელი კრების მოწვევა. ოქტომბრის გადატრიალების ხელმძღვანელმა ბოლშევიკურმა პარტიამ გადასწყვიტა მიეცა შესაძლებლობა მასებისათვის ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყო ესერ-მენშევიკების მოღალატეობაში, იმაში, თუ რისთვის სურდათ გამოეყენებიათ მათ დამფუძნებელი კრება“.

მშრომელმა მასებმა მოახდინეს ოქტომბრის გადატრიალება, რომლის წყალობით მათ პრაქტიკულად დასვეს ზავის საკითხი, მიიღეს მიწა, მუშათა კონტროლი და სხვ. აშკარა იყო რომ მასები არ დასთმობდენ ამ მონაპოვარს. და დამფუძნებელ კრებასაც, თუ მას არ უნდოდა დაპირისპირებოდა მშრომელ მასებს, უნდა ეცნო ის, რაც მოიპოვეს ამ მასებმა და რასაც ისინი იცავდენ. დამფუძნებელ კრებას უნდა ეცნო საბჭოთა ხელისუფლება და ყველა ის დეკრეტები რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ გამოსცა.

მაგრამ ესერ-მენშევიკებს აზრშიაც არ მოსვლიათ ეს. რევოლიუციის [illegible] დან მათ [illegible]

დამფუძნებელი კრება—კონტრ-რევოლიუციის დროშა

მას შემდეგ, რაც გამოირკვა, რომ კერენსკის ჯარები გატჩინასთან სასტიკად დამარცხდენ და საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ არავითარი რეალური ძალა „ჯერ-ჯერობით“ არ მოიპოვება, ესერ-მენშევიკები თითქო შეურიგდენ სმოლნის „დიქტატორების“ არსებობას და ბრძოლის მთელი ცენტრი გადაიტანეს დამფუძნებელი კრების არჩევნებზე იმ იმედით, რომ უმრავლესობის მოპოვება დამფუძნებელ კრებაში თავისთავად გადასჭრის ბოლშევიკების და სხვა პარტიების დავას, რომ ბოლშევიკები უკან დაიხევენ ამ „უზენაეს ორგანოს“ წინაშე; გადასცემენ მას, ე. ი. ისევ ესერ-მენშევიკებს მთელს ძალაუფლებას და ყველაფერი ძველებურად წავა: გაგრძელდება ძველებური ლაყბობა (რისთვისაც წერეთელ-გოცლიბერდანები შესაფერ „პარლამენტარულ სკოლას“ გადიოდენ კერენსკის „პრედპარლამენტში“), შეიძლება ძველებური ვაჭრობის განახლება კადეტებთან და სხვ., ე. ი. შექმნა ისეთი სახელმწიფოსი, რომელიც ფართე ასპარეზს გაუშლიდა რუსეთის მაკდონალდებს და ალბერ ტომებს.

„სამშობლოსა და რევოლიუციის მხსნელი კომიტეტი“, რომელიც შესდგა ოქტომბრის გადატრიალების მესამე დღეს, თავის თავს თვლიდა დროებითი მთავრობის კანონიერ მემკვიდრეთ და მოსახლეობას აღუთქვამდა მიყვანას დამფუძნებელ კრებამდი და „ანარქიიდან“ განთავისუფლებას. ამ კომიტეტში კადეტები, მართალია, არ შედიოდენ, მაგრამ მასში იყვენ ჯგუფები და პარტიები, რომლებიც მილიუკოვის პარტიიდან არაფრით განირჩეოდენ (მაგ. პლეხანოვის ჯგუფი—„ედინსტვო“, სახალხო სოციალისტები, მემარჯვენე ესერები და სხვ.). ამ ჯგუფების და პარტიების უმრავლესობა ოქტომბრის გადატრიალებამდი მიზანშეუწონლად თვლიდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, რადგან სახელმწიფოში მათი აზრით, ძლიერდებოდა „ანარქისტული“ განწყობილება და ამას შეეძლო ისეთი ჯგუფისათვის მიეყენებია გამარჯვება, რომლებიც სახელმწიფოებრივობისათვის საშიში არიან“. მაგრამ, როგორც კი ძალაუფლებას რევოლიუციონური მუშები და გლეხები დაეპატრონენ, ეს ჯგუფები და პარტიები, რომლებიც ყოველი საშუალებით აჭიანურებდენ დამფუძნებელი კრების მოწვევას, ერთბაშად ალაპარაკდენ დამფუძნებელი კრების საჩქაროდ მოწვევის აუცილებლობაზე. დამფუძნებელი კრება მათ თვალში გადაიქცა ერთად-ერთ „იარაღათ“, რომლის საშუალებით შეიძლებოდა ბოლოს მოღება ბოლშევიკების „ბატონობისათვის“.

კონტრ-რევოლიუციონურმა გენერლებმაც კი მშვენივრად შეიგნეს ესერ მენშევიკების ეს „ეშმაკური“ ტაქტიკა და ადამიანები, რომლებსაც სიძულვილის ცრუნტელი უვლიდა ტანში დამფუძნებელი კრების ხსენებაზე, „სახალხო მმართველობის“ იდეის „ერთგულ“ მცველებად გადაიქცენ.

დე ესერ-მენშევიკებმა მოგვაცილონ ბოლშევიკები, შემდეგ ჩვენ მათ დამფუძნებელ კრებასთან ერთად ვუჩვენებთ სეირსო,—ასე ლოღიკურად მსჯელობდენ კალედინები, კრასნოვები და სხ. კონტრ-რევოლიუციონერი გენერლები. ესერ-მენშევიკები კი ვერ ხედავდენ, არ სურდათ დაენახათ, რომ ოდესღაც რევოლიუციონური ლოზუნგი დამფუძნებელი კრებისა რუსეთის ობიექტიურმა პირობებმა გადააქცია კონტრ-რევოლიუციონურ ლოზუნგათ.

და მართლაც რა ამოცანებს უსახავდენ ესერ მენშევიკები დამფუძნებელ კრებას? თუ ისინი მხარს უჭერდენ მუშურ-გლეხური საბჭოთა მთავრობის დეკრეტებს მიწის, ზავის, სახელმწიფო წყობილების და სხვ. შესახებ, მაშინ რა საჭირო იყო წასვლა საბჭოთა მეორე ყრილობიდან, ბოლშევიკების მონათვლა „უზურპატორებათ“? აშკარა იყო, რომ ესერ-მენშევიკები დამფუძნებელ კრებას უპირისპირებდენ საბჭოთა ხელისუფლების იდეას, დამფუძნებელი კრება მიაჩნდათ საუკეთესო საშუალებათ იმ იდეის სალიკვიდაციოთ, რომელიც პეტროგრადისა და მოსკოვის მუშებმა განახორციელეს ოქტომბრის დღეებში და რომლის გარშემო თანდათანობით ირაზმებოდენ ქვეყნის ყველა მუშები და უღარიბესი გლეხები.

პოლიტიკური მკვდრების უკანასკნელი დღე

ასეთ ატმოსფერაში დაიწყო დამფუძნებელი კრების დეპუტატების შეკრება პეტროგრადში. როგორც ესერების ბელადებმა მოიყარეს თავი. ისინი შეუდგენ სერიოზულ მზადებას იმისათვის, რომ ესარგებლნათ რა დამფუძნებელი კრების გახსნით, მოეხდინათ გადატრიალება და დაემხოთ საბჭოთა ხელისუფლება. ამ მიზნით ისინი ერთი მხრით რაზმავდენ ყველა ანტი-საბჭოთა ჯგუფებს—კადეტებს, კოოპერატორებს, სახალხო-სოციალისტებს, მენშევიკ-ობორონცებს და სხვადასხვა ლიბერალურ ჯგუფებს, რომელთა წარმომადგენლებთაგან შეადგინეს ე. წ. „დამფუძნებელი კრების კომიტეტი“. მეორე მხრივ ენერგიულ კამპანიას აწარმოებდენ ფაბრიკა-ქარხნებში და ყაზარმებში საბჭოთა ხელისუფლებისა და ბოლშევიკების წინააღმდეგ და „აწყობდენ“ სამხედრო „დრუჟინებს“.

მაგრამ, თუ როგორ ხვდებოდენ ესერების აგიტაციას ფაბრიკა-ქარხნებში, ამას გვაცნობს ესერი ბ. სოკოლოვი თავის მოგონებებში: *).

„ჩემი აზრით კი,—განაცხადა ერთმა მუშამ (მიტინგი გამართული იყო ყოფ. „საფრანგეთ-რუსეთის“ ქარხანაში.—ე. მ-ძე),—ამხანაგებო, უნდა ვიფიქროთ არა იმაზე, რომ ავუშალოთ ბოლშევიკებს. არამედ იმაზე, რომ შევუთანხმდეთ. ისინი ხომ ჩვენს ინტერესებს იცავენ, ვინ არის ახლა კომისარიატში?—ყველა ჩვენები, ჩვენი ფაბრიკიდან, ბოლშევიკები. აი სმირნოვი, შმახოვი და სხვ.“.

არაფერი გამოვიდა არც დრუჟინების შექმნიდან. მთელს პეტროგრადსა და მის მიდამოებში, თუ იმავე ბ. სოკოლოვს დაუჯერებთ, დრუჟინებში ჩაეწერა 2.000 კაცი. მაგრამ ჩაეწერა და მეტი არაფერი. ეს ორი ათასი კაცი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდა. მათი უმრავლესობა არ ცხადდებოდა მეცადინეობაზე და სხ..

როდესაც ამ ჩხირკედელაობიდან არაფერი გამოვიდა, ესერების ერთმა ჯგუფმა ონიპკოს მეთაურობით განიზრახა „თავის მოკვეთა“ ბოლშევიკური პარტიისათვის—ლენინისა და სხვების გატაცებით და მათი გამოცხადებით „მძევლებათ“. ამ ჯგუფს გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ საჭირო იქნებოდა, მოეკლათ ლენინი. მაგრამ ესერების ცაკა წინაალუდგა ამ განზრახვას, ალბათ პეტროგრადის მუშების შურისძიების შიშით, რადგან შემდეგში ისინი არ თაკილობდენ არც ტერორისტულ აქტებს და არც აშკარა ჯაშუშობას იმპერიალისტების სასარგებლოთ.

* * *

დამფუძნებელი კრების გახსნის დღეს ესერები და მენშევიკები შეეცადენ მოეწყოთ დემონსტრაცია, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. შეიკრიბა უმთავრესად ინტელიგენტური მასა და ოფიცერ კონტრ-რევოლიუციონერ-რებს, რომლებიც, ოღონდ ბოლშევიკები დაემხოთ, და ერთი დღით მზად იყვენ არა თუ ესერ-მენშევიკებისათვის, არამედ ეშმაკისათვისაც დაეკრათ ტაში.

„რასაკვირველია, ძნელი საფიქრებელია, რომ დემონსტრანტების უმრავლესობა დამფ. კრების მხარეზე იყო,—სწერს ესერი ბ. სოკოლოვი თავის მოგონებებში.—უფრო სარწმუნოა, რომ დემონსტრანტების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო მისი ნამდვილი მომხრე. მაგრამ სხვა გრძნობა, გარდა დემოკრატიულ დამფუძნებელი კრებისადმი სიყვარულისა, ასულდგმულებდა შეკრებილებს: ეს იყო სიძულვილი ბოლშევიკებისადმი“.

ბოლშევიკების სიძულვილით გატაცებული ესერი სოკოლოვი ვერც კი გრძნობს, თუ როგორ ამათრახებს თავის თავს და თავის პარტიას.

დამფუძნებელ კრებაში კი ამავე დროს ნერვიული განწყობილება იყო. პეტროგრადის მშრომელებმა დაამტკიცეს, რომ ისინი მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას და არა ესერ-მენშევიკების ხალაყბოს. „დემონსტრაციებიდან“ არაფერი გამოვიდა. აქ კი კიდევ ბოლშევიკები წინადადებას იძლევიან, რომ დამფ. კრებამ იცნოს მომხდარი გადატრიალება. და ამ გარკვეულ წინადადების საპასუხოთ გაისმის წერეთელ-ჩერნოვის ძველებური მოშაქრული სიტყვები „დემოკრატიაზე“, „ხალხოსნობაზე“, სამოქალაქო ომის დაუშვებლობაზე და სხვ.

როცა საკმაოთ ნათლათ გამოირკვა, რომ ესერ-მენშევიკები აპირებენ კვლავ ძველი გზით სიარულს, რომ მათი განზრახვაა რევოლიუციის ჩარხის უკან მობრუნება, ბოლშევიკურმა ფრაქციამ დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ დასტოვა სხდომა, მატროსმა ჟელეზნიაკმა კი დამფუძნებელი კრება დათხოვილად გამოაცხადა. ასე გათავდა „მკვდრების დღე“.

„სანამ არსებობს კალედინი და ლოზუნგის ქვეშ: „მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას“, იმალება ლოზუნგი: „ძირს საბჭოთა ხელისუფლება“,—ჩვენ სამოქალაქო ომს თავიდან ვერ ავიცილებთ, ვინაიდან არა [illegible] გულისათვის საბჭოთა ხელისუფლებას არ დავთმობთ!... და როცა დამფუძნებელი კრება კვლავ მზათ იყო გადაედვა ყველა მტკივნეულ მომწიფებულ საკითხების და იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებიც მის წინაშე წამოაყენა საბჭოთა ხელისუფლებამ.—ჩვენ მათ ვუპასუხეთ, რომ არც ერთი წუთის დაყოვნება არ შეიძლება. და საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებით დამფუძნებელი კრება, რომელმაც არ სცნო ხალხის ძალაუფლება, დათხოვნილია. რიაბუშინსკების ოინები არ გავიდა და უკანასკნელთა წინააღმდეგობა მხოლოდ გაამწვავებს და გამოიწვევს სამოქალაქო ომის ახალ ხანძარს.

დამფუძნებელი კრება დათხოვილია და საბჭოთა რესპუბლიკას [illegible] რაც არ უნდა დაგვიჯდეს“.

ასე განაცხადა ლენინმა დამფ. კრების დათხოვის მეორე დღეს რუსეთის მუშების და გლეხების უზენაეს ორგანოს—სრულიად რუსეთის საბჭოთა ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის სხდომაზე.

და საბჭოთა რესპუბლიკამ გაიმარჯვა მიუხედავათ კალედინის სამფლობელოში გადაპარგებულ ესერ-მენშევიკების ხრიკების მიუხედავათ იმისა, რომ მთელი შინაური და უცხოეთის კონტრ-რევოლიუცია დაირაზმა მის წინააღმდეგ.

ე. მ—ძე.

---

*) ამხ. ლენინის სიტყვა დამფუძნებელი კრების დათხოვის შესახებ. (სრ. რუსეთის ცაკ-ის 1918 წ. 6 (19) იანვარის სხდომაზე. იხ. თხზ. ტ. 15, გვ. 58,

*) „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში“. ლენინი. თხზ. ტ. XVII. გვ. 149.

**) სოციალისტ-რევოლიუციონერების კრებულში „რუსეთის რევოლიუციის ერთი წელი“ მოთავსებული იყო ნ. სვიატიცკის წერილი ციფრებით დამფუძნებელი კრების არჩევნების შესახებ. ამ ციფრებით ისარგებლა ნ. ლენინმა თავის წერილში „არჩევნები დამფუძნებელ კრებაში და პროლეტარიატის დიქტატურა“ (თხზ. ტ. XVI. გვ. 439), რომელიც ესერებს ტყავს აძრობს მათივე არგუმენტებით“.

*). [illegible]

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მიწის კოდექსის დარღვევისათვის

ოზურგეთი, 16 იანვარი. სასამართლომ გაარჩია სოფ. მელექედურის მცხოვრებთა ვაშალომიძის და ანდღულაძის საქმე. მათ ბრალ ედებათ სამსახლო მიწის ყიდვა-გაყიდვა. ბრალდებულთ მიესაჯათ სამი თვის ციხე, მაგრამ ამნისტიით ისინი სასჯელისაგან გათავისუფლდნენ. მიწა მათ ჩამოერთვათ და გადაეცა ოზურგეთის თემის ფონდში (ადს).

ახალი სასოფლო-სამეურნეო არტელი

ოზურგეთი, 16 იანვარი. სოფ. ლანჩხუთში დაარსებულია ახალი სასოფლო-სამეურნეო არტელი „გლეხის იმედი". არტელში გაერთიანებულია 23 მეურნეობა. არტელის მიზანია ჩაის პლანტაციების, მეაბრეშუმეობის, სუბტროპიკულ და ტექნიკურ კულტურების განვითარება (ადს).

კოოპერაცია

ცხინვალი, 15 იანვარი. შესდგა ცხინვალის სამომხმარებლო კოოპერაციის წევრთ საერთო კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა გამგეობის საანგარიშო მოხსენება. თანახმად მოხსენებისა საანგარიშო წლის განმავლობაში წევრთა რიცხვი გაიზარდა—184 კაციდან—1.371-დე,—ანუ 633 პროცენტით. კოოპერაციის ბალანსი 1927 წელში უდრიდა 191.374 მან. და 13 კაპ. შარშან კი იყო 102.864 მან. და 79 კაპ. (ადს).

მოძრავი კინო

სიღნაღი, 16 იანვარი. სიღნაღის მაზრაში მუშაობს მოძრავი კინო, რომელიც მაზრაში იმუშავებს ერთ თვემდე.

მოძრავ კინოს ახლავს ლექტორი, კინოსეანსებს ბლომად ესწრება გლეხობა. გლეხებში ბევრია ისეთები, რომელნიც კინოს პირველად ხედავენ. (ადს).

წერილები

ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები

მუშურ-გლეხური ხელისუფლება ყოველ გვარ ზომებს იღებს მშრომელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. იმ მიზნით, რომ უფრო გაადვილებულიყო მშრომელი მოსახლეობისათვის ტყით უფასოთ სარგებლობა, საბჭოთა ხელისუფლებამ ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეები გადასცა გლეხობას, რომელთაც ამასთან ერთად დაეკისრათ ამ ტყეების მოვლა-პატრონობისათვის ზრუნვაც.

ხელისუფლების ეს ნაბიჯი ფრიად მიზანშეწონილი და სასარგებლო აღმოჩნდა მშრომელი გლეხობისათვის, მაგრამ ამასთან ერთად მან ერთი უარყოფითი გავლენაც იქონია ტყეების მოვლა-პატრონობის საქმეში. ბევრ ადგილას გლეხობამ უსისტემოთ მიჰყო ხელი ტყეების გაჩეხვას, ხოლო მისი მოვლა-პატრონობისათვის ზომებს ძალიან ნაკლებად ღებულობდენ.

ამ გარემოებას არ შეიძლებოდა ხელისუფლების ორგანოების ყურადღება არ მიეპყრო, მით უმეტეს, რომ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში მოდიოდა ცნობები ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების უთავბოლოდ გაჩეხვის შესახებ.

ამის გამო ყველა სამაზრო აღმასკომებს საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების მიხედვით წინადადება ეძლევათ, რათა მაზრის ფარგლებში გადაცემულ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების სათანადოთ დაცვისათვის მიიღონ საჭირო ზომები მუდმივი დარაჯების დაქირავებით.

თავის მხრივ სამაზრო აღმასკომებმა წინადადება უნდა მისცენ ადგილობრივ მნიშვნელობის ტყით მოსარგებლეთ, მიმდინარე წლის პირველ მარტამდე შეარჩიონ ტყეების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ეს განკარგულება არ იქნება სისრულეში მოყვანილი, გამოიწვევს ტყეების კვლავ სახელმწიფო ფონდში გადაცემას.

სამწუხაროდ, გლეხობის უმრავლესობას ჯერ კიდევ არა აქვს გათვალისწინებული ის ანბანური ჭეშმარიტება, თუ რა სარგებლობა მოაქვს ტყეს მისთვის და რამდენ ზიანს მიაყენებს ტყეების უთავბოლოდ გაჩეხვა საერთო სახალხო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს. ამ მხრივ საჭიროდ არ სწარმოებს საჭირო პროპაგანდა-აგიტაცია გლეხობას შორის.

ამიტომ, ზემოხსენებული დადგენილების ცხოვრებაში მტკიცედ გატარებასთან ერთად, რისაც ყველა სამაზრო აღმასკომმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს, საჭიროა აგრეთვე გლეხობას ფართოდ განემარტოს ტყეების მნიშვნელობა და მისი მოვლა-პატრონობის აუცილებლობა.

გლეხი.

მეწყერი შორაპნის მაზრის, სოფ. ხრეითში

3 იანვარს სოფ. ხრეითში მოწყდა კლდის დიდი ნაწილი, რომელიც უქადოდა რამოდენიმე მოსახლეს სრულიად განადგურებას. თავზარდაცემულმა მოსახლეობამ მიატოვა თავისი კარმიდამო და იძულებული იყვნენ მიემართათ ადგილობრივ თემაღმასკომისათვის, რომლის თავმჯდომარემ მოსახლეობა დროებით შეუხიზნა იმავე სოფელში იმ გლეხებს, რომელთაც მეწყერისაგან საშიშროება არ მოელოდათ და მაშინვე ტელეფონით აცნობა სამაზრო აღმასკომს.

უკანასკნელმა საჩქაროდ გამოჰყო სპეც. კომისია და მიავლინა ადგილზე გამოსაკვლევად, რათა მიეღო ზომები გლეხობის გადარჩენისათვის. კომისიამ დაათვალიერა რა ადგილობრივ მომხდარი უბედური შემთხვევა გამოარკვია, რომ ხუთი მოსახლის ძველ ბინაზე დარჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინაიდან მოელოდათ განადგურება, ამ მიზნით კომისიამ მათ აღმოუჩინა იმავე თემში უფრო ნაყოფიერი მიწები (საფორდო ადგილებიდან) სამოსახლოდ ზომით თითო მოსახლეს ნახევარი ქცევა.

მათი დახმარებისათვის მოწვეული იყო ადგილობრივი საბჭოს სხდომა, რომელმაც გამოიტანა დადგენილება, რომ მათ გამოსახლებისა და ახალ ადგილზე დასახლებაში დაეხმარება თემის მცხოვრებლები როგორც მუშა-ხელით, ისე მუშა-საქონლით. ამჟამად უკვე სწარმოებს მათი ახალ ადგილზე დასახლება, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას ღებულობს მთელი ხრეითის მოსახლეობა.

ვასილ კორვალიძე.

კულაკი გლეხკომის თავმჯდომარედ

ს. კუმისი, თბილისის მაზრა

დეკემბრის ბოლო რიცხვებში აქ მოხდა გლეხკომის გადარჩევა, თავმჯდომარედ ახლად არჩეულ გლეხკომში გაიძვრა კულაკი ბეგლარ აფრიამოვი. მისი ქონება შესდგება ოთხი უღელი ხარით, ერთი საკუთარი გუთნეულით, 300 სულამდე ცხვარი და 25—30 სულამდე მსხვილფეხა საქონელი. სხვათა შორის ბეგლარ აფრიამოვი ბრძანდება იმ ბებ აფრიამოვების მამა, რომელთა „გმირობა" 5 იანვრის გაზეთ „კომუნისტში" იყო გამოქვეყნებული „ერთი კოლწილის შედეგი"-ს სათაურით.

ასეთმა კულაკმა რა სარგებლობა უნდა მოუტანოს კუმისის ღარიბ გლეხობას?

თბილისის სამაზრო გლეხკომის თავმჯდომარემ [illegible] უნდა მიიღოს ზომები კუმისში გლეხკომის ხელახლა გადარჩევისათვის, რათა არჩეულ იქნენ ისეთი პირები, რომელთაც მართლა შესტკივათ გული ღარიბი გლეხობის დახმარებისათვის.

კუმელი.

სოფლის ქრონიკა

— **სანიმუშო ქოხ-სამკითხველო.** სოფ. ხევში (ოზურგეთის მაზრა) გაიხსნა სანიმუშო ქოხ-სამკითხველო.

— **კონფერენცია.** დამთავრდა ახალციხის მაზრის სოფლის მასწავლებელთა კონფერენცია, რომელმაც მიიღო მთელი რიგი ღონისძიებებისა სკოლებში სწავლის გასაუმჯობესებლად.

— **სკოლა.** სოფ. ნაკურალეში (ლეჩხუმის მაზრა) გაიხსნა სოფლის ახალგაზრდობის სკოლა.

— **სესხი.** ცაიშ-კახათის საკრედიტო ამხანაგობამ ღარიბ გლეხობისათვის 7 წ. ვადით სესხათ დასარიგებლად გამოჰყო 600 მანეთი.

— **მელიორაცია.** ოზურგეთში დაარსდა მელიორაციო საზოგადოება.

— **აგრო-პუნქტი.** პერევისის თემში (შორაპნის მაზრა) გაიხსნა აგრო-პუნქტი.

— **წყალსადენი.** სოფ. ნორიოში (თბილისის მაზრა) გაჰყავთ წყალსადენი.

— **საექიმო პუნქტი.** წითელი ჯვრის საზ-ბამ ქვემო-სვანეთში გახსნა 2 საექიმო პუნქტი.

მუშათა ცხოვრება

კოლხელშეკრულებების დამტკიცება

შრომის პირობების გაუმჯობესებისაკენ

კოლექტიურ ხელშეკრულებების გადასინჯვა ზოგიერთ წარმოებებში უკვე დამთავრდა. მუშებმა განიხილეს ახალი კოლექტიური ხელშეკრულების გეგმა და შეიტანეს ხელშეკრულებაში ყველა ის მუხლები და საკითხები, რომლებიც ძველ ხელშეკრულებებში არ იყვნენ გათვალისწინებული, რაც ხელს უშლიდა მუშაობის პირობებისა და საერთოდ მუშაობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ასეთი საკითხებია მაგალითად: ერთი და იმავე ხარისხისა და ერთი და იმავე საქმეზე მომუშავეთა ხელფასის გათანასწორება, შტატების შემცირების დროს გასაცემელი დახმარება შემცირებულებს, წარმოებებში შრომის პირობების გაუმჯობესება, სპეცტანსაცმლის ხმარების ვადის შემოკლება და სხვა მრავალი. ზოგიერთი მათგანი მართალია შეტანილი იყო ძველ კოლხელშეკრულებებში, მაგრამ იქ ძალიან ბუნდოვნად იყო ეს საკითხები გაშუქებული. ამიტომ ხშირად კოლხელშეკრულებების მუხლები არ ტარდებოდა ცხოვრებაში. რადგან მუშებისათვის გაუგებარი იყო და ზოგიერთი ადმინისტრაცია კიდევ თავს არ იწუხებდა ასეთ ბუნდოვან მუხლის შესასრულებლად.

ახალი კოლხელშეკრულებები სწორეთ იმით არის აღსანიშნავი, რომ იქ ასეთ ნაკლს არ შევხვდებით. კოლექტიური ხელშეკრულებები დაწერილია რაც შეიძლება მკაფიოთ და მუშებისათვის გასაგებ ენით თვითეული მუხლი იმდენად ნათლად და მოკლეთ არის აღნიშნული, რომ რაც უნდა კულტურულად ჩამორჩენილი იყოს მუშა, მაინც გაიგებს მის მნიშვნელობას.

გარდა ამისა ახალ კოლხელშეკრულებაში გათვალისწინებულია წარმოებებში უბედურ შემთხვევების წინააღმდეგ ბრძოლისა და ამ შემთხვევების დროს დაზიანებული მუშის დახმარების საკითხები. ამასთან დაკავშირებით ავადმყოფ მუშას დახმარება ეძლევა ოთხი თვის განმავლობაში. ძველი კოლექტიური ხელშეკრულებით კი მხოლოდ ორი თვის განმავლობაში ეძლეოდა ავადმყოფს დახმარება. რაც შეეხება გრძელ და მოკლე ვადიან სესხის გაცემის საკითხს, ეს მუხლი ძველ კოლხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული. ახალი კოლხელშეკრულების ძალით გარდა სესხისა, მუშებს უნდა მიეცეთ აგრეთვე შეშაც.

ასეთი მოკლეთ ჩვენი ახალი კოლექტიური ხელშეკრულებები ყოველ წლიურად ჩვენი მეურნეობა ვითარდება და მტკიცდება. მასთან ერთად იზრდება მუშათა კულტურული დონე, უმჯობესდება მათი ყოფა-ცხოვრება რაც თავდებია ჩვენი მრეწველობის აყვავებისა. კოლექტიური ხელშეკრულებები ხელს უწყობენ ამ საქმეს.

ვ.

კოლხელშეკრულების განხილვა

(აღმასკომში)

ადგილკომის უქრავ ქონებათა სამმართველოს ადგილკომი ამას წინად შეუდგა კოლხელშეკრულების საკითხის დამუშავებას, გასულ კვირაში „უქსი"-ს თანამშრომელთა საერთო კრებამ ცხარე კამათის შემდეგ კოლხელშეკრულებაში შეიტანა რამოდენიმე ცვლილებები. ხელფასების [illegible] და სპეცტანისამოსის დარიგების შესახებ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ კოლხელშეკრულების განხილვას „უქსი"-ს მუშა-მოსამსახურეები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ, ყველამ აქტიური მონაწილეობა მიიღო საკითხის საზრიანად გარჩევაში. კოლხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება, რომელიც ერთხმად მიიღო საერთო კრებამ, დასამტკიცებლად გადაეცა კავშირის ცენტრალურ კომიტეტს 9 იანვარს. მასთან ხელშეკრულების განხილვა ბაქოს და ბორჯომის მომუშავეთა შორის ცალკეა იქნა შეტანილი ცვლილებები კოლხელშეკრულების განხილვამ აღმასკომისა და კერძოთ „უქსი"-ს მუშა-მოსამსახურეთა შორის გამოიწვია დიდი სიხარული.

კოტე ქვენობლა.

შევიტანეთ ახალი მუხლები

ამ დღეებში ჩატარდა ახალ კოლექტიურ ხელშეკრულების დამტკიცება მელითონეთა კავშირში.

ახალმა ხელშეკრულებებმა, მთელი რიგი ცვლილებები შეიტანეს სამუშაო ხელფასში. მაგალითად: 1-ლ განაკვეთზე მომუშავებს, გამომუშავებისათვის (ზედმეტი საათები, მოწაფეთა მომზადებები) მიეცემათ 36 მანეთი, ხოლო მოწაფეებს 17 მ. 60 კაპ. ამასთან შავ მუშათა ხელფასი აწეულია 28 პროცენტით და მათ მოწაფეებისათვის 10 პროცენტით. ახალმა ხელშეკრულებამ, გაათავისუფლა მუშათა უფლებები 90 პროც., სალიკვიდაციოს. შემდეგ ავანსის, რძის დარიგებით და სხვა ასეთ წესების დამყარებით.

თბილისის ელექტრონის სამმართველოს, მუშებში სამუშაო ხელფასი გადიდებულია 8 პროცენტით და მოწაფეთათვის 4 პროც. ამასთან. შემოღებულია სხვადასხვა გაუმჯობესებანი.

თბილისის ელექტრო მექანიკურ ქარხნებში, კვალიფიციურ მუშებს გადამუშავების სახით მიეცემათ 50 პროც. თავისი ხელფასისა, შავ მუშებს ხელფასი გაუდიდდათ 30 პროცენტით და მოწაფეებს—10 პროცენტით.

მელითონეთა კავშირი ახლო მომავალში, შეუდგება კოლექტიურ ხელშეკრულების დამტკიცების კამპანიას ზაჰესში და სახელმწიფო ელექტრო-ტრესტში.

ამგვარად ახალმა ხელშეკრულებებმა, მთელ რიგ ქარხნებში, მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს სამუშაო ხელფასის საკითხში, და მრავალი შეღავათები მისცა მუშებს.

ზარი.

განვიხილეთ და დავამტკიცეთ

კავკასიის წითელ ლაშქრის სტამბის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ განიხილა ახალი კოლხელშეკრულება. კოლხელშეკრულების საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ფანცულაიამ, რომელმაც გასაგები ენით გააცნო კრებას სტამბის მდგომარეობა. კამათში გამოსული მუშები მიუთითებდენ მომხსენებელს მუშაობის ზოგიერთ ნაკლზე და მოითხოვდენ მის გამოსწორებას. გასულ კოლხელშეკრულებაში თვეში სამუშაო დღე განსაზღვრული იყო მხოლოდ 24 დღე, ფაქტიურად ხან და ხან მუშები მეტსაც მუშაობდენ, მაგრამ წარმოება ამის ფასს არ აძლევდა მუშებს. ახალი კოლხელშეკრულების ძალით კი ეძლევათ ნამუშევარი დღეების ხელფასი, ისე, რომ გარდა 24 დღისა მუშებს მიეცემათ აგრეთვე იმ დღეების ხელფასიც, რომელიც დღესაც იმუშავებენ.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე კავშირის თავმჯდომარემ ამხ. ნაკაშიძემ, რომელმაც ვრცელი განმარტება მისცა მუშებს შეკითხვებზე. ახალ კოლხელშეკრულებაში აგრეთვე ცვლილებაა კატეგორიების მხრივ რაც შეეხება ძირითადი ხელფასის მომატებას, ხელშეკრულების ძალით მუშებს ემატებათ მხოლოდ 3-4 პროცენტული ანარიცხები. კოლხელშეკრულებაში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს მოზარდ ახალგაზრდობის და მათი ჯანმრთელობის დაცვას მუშების მიერ შეტანილი ყოველივე ღირსშესანიშნავი მუხლები ერთხმად იქნა მიღებული კრების მიერ.

ასოთ-ამწყობი ხარიმელი.

მუშკორთა წერილებიდან

მოგვეცით სპეცტანსაცმელი. თბილისის საამშენებლო სასწავლებლის მოწაფე მუშები უმთავრესად მუშაობენ საამშენებლო საქმეებზე, მაგრამ მათ არა აქვთ სპეცტანსაცმელი. ადგილკომი საკითხი უნდა აღძრას სპეცტანსაცმლის დასარიგებლად მოწაფეებზე.

მ. ქ—ძე.

ვინ გამოარკვევს. № 1 აგურის ქარხნის [illegible] ჯამაგირი ეძლევათ მე-5-თე ხარისხით და 40 პროცენტიც დატვირთვა, მაგრამ ტანისამოსს კი ღებულობენ შავი მუშისას, რაც ეწინააღმდეგება კოლხელშეკრულებას. ვინ გამოარკვევს რათ ხდება ასე?

უსამშობლო.

რა მოსაზრებით. წინათ ტრამვაის აბონემენტები იყიდებოდა, როგორც თვით ტრამვაის სამმართველოში, ისე თავისუფლების მოედანზეც. ამჟამად კი იყიდება მხოლოდ ტრამვაის სამმართველოში. რა მოსაზრებით გააუქმეს თავისუფლების მოედანზე სალარო?

ჭარხელი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

არჩევნების გადადება

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა მოისმინა საინფორმაციო მოხსენება საბჭოთა არჩევნების გადადების შესახებ. დაადგინა საბჭოთა არჩევნების ჩატარება გადადებული იქნას მიმდინარე წლის შემოდგომამდე.

საორგანიზაციო განყოფილებას წინადადება მიეცა შეიმუშაოს ღონისძიებები საბჭოების მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

სასამართლოების გამოკვლევა

იუსტიციის სახ. კომისარიატს ნება მიეცა გაგზავნოს კომისია სამხრეთ ოსეთში ადგილობრივ სასამართლოების ორგანოების მუშაობის გამოსარკვევად და გასაცხოველებლად.

რემედასის კვირეული

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტს ნება დართო თავის საშუალებათა გასაძლიერებლად მოაწყოს კვირეული ამა წლის 22 იანვრიდან 30-მდე.

პრეზიდიუმმა ამასთანავე დაადგინა აღძრას შუამდგომლობა ამიერ-კავკ. ცაკის წინაშე, რათა რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტს ნება მიეცეს კვირეულის განმავლობაში [illegible] თეატრებში, კინო-თეატრებში, რკინისგზის სალაროებში, კოოპერატიულ და ყველა საბჭოთა დაწესებულებებში გასავრცელებლად.

საქ. უნივერსიტეტის 10 წლის თავი

მიმდინარე წლის რვა თებერვალს (ახალი სტილით) სრულდება სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებიდან ათი წელიწადი.

ამის გამო საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოაწყოს სახ. უნივერსიტეტის არსებობის ათი წლის აღსანიშნავი იუბილე.

იუბილეს მოსაწყობად და ჩასატარებლად საქ. ცენტრ. აღმ. კომიტეტთან დაარსა სპეციალური საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), ლ. ქართველიშვილი, მიხ. კახიანი, გ. ყურულაშვილი, ლ. სუხიშვილი; ვ. ბოლქვაძე; დ. კანდელაკი, შ. ელიავა, მამია ორახელაშვილი; ლ. ლომბერიძე; ალ. გეგეჭკორი; ალამალი-ოღლი, ნაზარეტიანი, კახიანი; მიხ. ცხაკაია, მუსაბეკოვი; ლუნაჩარსკი; აკადემიკოსი მარი; აკად. ოლდენბურგი, პროფ. ზაიცევი, სომხეთის და აზერბეიჯანის სახ. უნივერსიტეტების რექტორები, პროფ. ნუცუბიძე, პროფ. მაჭავარიანი. პროფ. რაზმაძე; პროფ. კეკელიძე, პროფ. ჯავახიშვილი, პროფ. ქურდიანი, პროფ. ახვლედიანი; ამხ. სვანიძე, ახრიბეკოვი; მამულია; გულოიანი, ამბარცუმიანი, კარინიანი; მაჩაიძე; გეგენავა; გუსეინოვი; შ. გეგენავა და სტუდენტობის წარმომადგენლები.

საიუბილეო კომიტეტის სხდომა

საიუბილეო კომიტეტის პირველი სხდომა შესდგება შაბათს 21 იანვარს, შუადღის 12 საათზე, საქ. ცაკის თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში.

ფიზკულტურის დღესასწაული

საქართველოს ცაკთან არსებულმა ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ მშრომელთა ფართო მასებში ფიზკულტურისადმი ინტერესის გასაცხოველებლად, გადასწყვიტა 2 მაისს თბილისში მოაწყოს ფიზკულტურის დღესასწაული, რომელიც გასტანს 5 მაისამდე.

ფიზკულტურის უმაღ. საბჭომ სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს დაავალა შეიმუშაოს დღესასწაულის მოწყობის გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

დღესასწაულის შესაფერად ჩატარების მიზნით, ფიზ. უმაღლესმა საბჭომ დაადგინა დაარსებულ იქნას, დღესასწაულის ჩამტარებელი კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ფ. მახარაძე, ლ. ქართველიშვილი, შ. ელიავა, ხ. იაკუბოვი, ქავთარაძე, მ. კახიანი, ლ. ლოლობერიძე, შ. მათიკაშვილი, ე. ახრიბეკოვი, ივანოვ-კავკასიელი, ლ. სუხიშვილი, აბაშიძე, გ. ყურულაშვილი, ფიროლიშვილი, გობეჩია, ელენი, სალაძე, ს. კვიციძე, დ. კანდელაკი, მერკვილაძე; ვ. კიკნაძე, ეგნატაშვილი, ბინიაშვილი, ტესტელეცი, ლაკობა, გოგიბერიძე, მხიტაროვი, აბზიანიძე, სიუნკოვი და ლ. ბერია.

დღესასწაული მოეწყობა ვაკეში, პროფკავშირთა სტადიონზე.

მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევის კამპანია

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა გადარჩევის მორიგი კამპანია დაიწყო 15 იანვრიდან. სანამ კამპანია დაიწყებოდა, შესდგა კოოპერატიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხები. სულ თბილისში ჩატარდება 60 კრება: ისეთ წარმოება-დაწესებულებებში, რომლის შტატი შესდგება არა ნაკლებ ასი კაცისაგან — მოეწყობა ცალკე კრება.

რწმუნებულების არჩევის ნორმა ძველებურია: თითოეულ ას წევრზე ირჩევენ ერთ რწმუნებულს. რწმუნებულთა არჩევაში წელს ის ცვლილებაა შეტანილი, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უპარტიო წევრების, ქალების და ახალგაზრდობის პროცენტის გადიდებას. გამოშვებულია ნორმები, არჩეულთა შორის უპარტიოთა პროცენტი არ უნდა იყოს 60-ზე ნაკლები.

რწმუნებულთა გადარჩევის კამპანია უნდა დამთავრდეს ათ თებერვლისათვის.

როგორც კი დამთავრდება გადარჩევის კამპანია, დაიწყება მზადება რწმუნებულთა წლიური კრებისათვის, რომლის მოწვევა განზრახულია თებერვლის მეორე ნახევარში.

კამპანიის მიზანი და ამოცანები

რწმუნებულთა გადარჩევის მიმდინარე კამპანიის მიზნებისა და ამოცანების შესახებ მუშკოოპის გამგეობაში ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

მიმდინარე გადარჩევის კამპანიაში მუშკოოპის გამგეობა მიზნად ისახავს უპარტიოთა პროცენტის გადიდებას კოოპერატიულ მუშაობაში.

საარჩევნო კამპანია იწარმოებს სადუქნო და კოოპერატიულ კომისიების საშუალებით, კოოპერატიულ მუშაობაში ფართო მასების მონაწილეობის ლოზუნგით.

ამ გზით გაძლიერდება საზოგადოებრივი კონტროლი სავაჭრო წერტებზე.

ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები საკონტროლო მუშაობაში წევრების მასის ჩაბმის მხრივ მაგრამ არის ნაკლიც, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ამ მუშაობაში ქალთა და ახალგაზრდობის მონაწილეობა სუსტია. ამისათვის მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში სერიოზული ყურადღება მიექცევა ამ ნაკლის გამოსწორებას.

ჩვენს შემდეგ მთავარ მიზანს შეადგენს პროფკავშირთა წევრების, დიასახლისების და სხვ. კოოპერატიულად შეკავშირების გაძლიერება.

კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის საჭიროა დახმარება საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივ კომიტეტების მხრივ.

რათა წევრები უფრო ახლო გაეცნონ გამგეობის მუშაობას, თითოეულ კრებაზე მუშკოოპის გამგეობის წარმომადგენელი გააკეთებს მოხსენებას გამგეობის საქმიანობის შესახებ და მოსმენილი იქნება აგრეთვე სადუქნო კომისიების მოხსენებაც.

კრედიტები საბინაო მშენებლობისათვის

ა.-კ. სახკომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ა.-კ. ფინსახკომის მოხსენება, საიდანაც გამოირკვა რომ ცენტრალურ კომუნალურ ბანკს ამიერ-კავკასიის მუშათა საბინაო მშენებლობისათვის 1927-28 წელში გადადებული აქვს 11.950.000 მანეთი.

ამ თანხიდან უკვე გამოყოფილია საბინაო მშენებლობისათვის საერთო-საკავშირო მნიშვნელობის მრეწველობაში 5.200.000 მანეთი (4.600.000 მანეთი „აზნეფტს" და 600.000 მანეთი „ზაგესს"), საბინაო მშენებლობისათვის ტრანსპორტზე 1.300.000 მანეთი და საბინაო მშენებლობისათვის სამხედრო უწყებაში 100.000 მანეთი, სულ კი 6.600.000 მანეთი.

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაადგინა დანარჩენ თანხიდან (5.350.000 მანეთი) გამოყოფილი იქნეს სპეციალურად ქ. ბაქოსათვის ბაქოს საბჭოს განკარგულებაში 1.300.000 მანეთი, საიდანაც მრეწველობის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის გადადებული იქნეს 1.000.000 მანეთი და ტრანსპორტის მუშა-მოსამსახურეებისათვის 300.000 მანეთი.

გამოყოფილი იქნა კომისია ამხ. იაშვილის, სმირნოვის, ხუმარიანის, შეფტელის, გონჩაროვის და გაბიევის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ორი კვირის განმავლობაში დააწესოს მტკიცე კოეფიციენტები დარჩენილი თანხის — 4.050.000 მანეთის ცალკე რესპუბლიკებსა და მშენებელთა ცალკე კატეგორიებს შორის გასანაწილებლად.

ფშავ-ხევსურეთის სამომხმარებლო კოოპერაცია

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გამოიკვლია სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობა ფშავ-ხევსურეთში. გამოირკვა, რომ აღნიშნულ რაიონებში კოოპერაციაში გაერთიანებულია მოსახლეობის 45 პროცენტი; კოოპერაციის წევრთა მთელი რაოდენობის 90 პროცენტს შეადგენს მოსახლეობის ღარიბი და საშუალო ფენები და წევრთა მთელი რაოდენობის 10 პროცენტს შეადგენენ ქალები. ადმინისტრაციული ხარჯები შემცირებულია 32.8 პროცენტით, [illegible] ფასები—10 პროცენტით.

კოოპერაციის წარმომადგენლებს საქონლის მიღების დროს თბილისში უხდებათ დიდი ხნით გაჩერება, რაც მძიმე ტვირთად აწვება კოოპერაციას; თანაც სარაიონო კავშირს დაქირავებული ჰყავს მუდმივი აგენტი თბილისში, რაც გამოწვეული არ არის საჭიროებით. კოოპერატივებს გაცემული აქვთ თანამშრომლებზე დიდი თანხის ნისია (ერწოს რაიონში თანამშრომლების დავალიანება უდრის 3 200 მანეთს); პირველ მოთხოვნილების საგნებს კოოპერატივები ღებულობენ მცირე რაოდენობით.

აღნიშნულ რაიონებს სამომხმარებლო კოოპერაციის გასამაგრებლათ და გასამტკიცებლათ საჭიროთ არის ცნობილი, რომ გლეხკომებმა მეტი აქტივობა გამოიჩინონ კოოპერაციის საქმიანობაში და ხელი შეუწყონ ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში გაერთიანებას; პირველ მოთხოვნილების საგნები უნდა ეძლეოდეს მხოლოთ კოოპერატივების წევრებს და ეს საგნები კოოპერაციას უნდა მიეწოდოს საკმაო რაოდენობით.

ზედმეტი „საზოგადოება"

(თბილისის შინამრეწველთა კონფერენციის დადგენილების გამო)

1922 წლის მეორე ნახევარში ზოგიერთი ძველი ხელოსნების ინიციატივით თბილისში დაარსდა ხელოსანთა საზოგადოება „რემკუსტი"-ს სახელწოდებით.

სამი წლის განმავლობაში ეს საზოგადოება ექვემდებარებოდა ჯერ შრომის, შემდეგ სოციალურუზრუნველყოფის კომისარიატს, შემდეგ აღმასკომს. 1926 წ. აგვისტოდან ეს საზოგადოება გადაეცა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს შინამრეწველთა განყოფილებას გასული 1927 წლის მარტამდე, ხოლო აღნიშნული თვიდან კი ეს საზოგადოება რჩება სრულიად დამოუკიდებლად.

არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციას არ განუცდია იმდენი უსაქმო ხეტიალი, რაც შინამრეწველ ხელოსანთა თბილისის საზოგადოებამ განიცადა. შეიძლება აქედან წარმოსდგება ერთი საყურადღებო გარემოება.

ამ საზოგადოებაში განსაკუთრებით 1926 წლის პირველ ნახევრამდე, არ მომხდარა საბჭოთა გადახალისება, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. საზოგადოება სავსე იყო კულაკური და ანტისაბჭოთა ელემენტებით და, თუ გნებავთ, სისხლის სამართლის დამნაშავებითაც.

ამ ხეტიალის პროცესში გაღრმავდა საზოგადოებაში: ინტრიგა, შოვინიზმი, ანტისაბჭოთა დაჯგუფებანი, რაც აშკარა ხასიათს ღებულობდა 23, 24 და 25 წლებში.

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება თბილისის შინამრეწველ-ხელოსანთა საზოგადოების მმართველმა ორგანოებმა. დაისვა საკითხი საზოგადოების გაუქმების შესახებ. მიუხედავათ იმისა, რომ იყვნენ და არიან ამ საზოგადოების დამცველი ერთეული პირები. ამას მოითხოვს დღეს წვრილი შინამრეწველობის განვითარების სასიცოცხლო ინტერესები და თვით შინამრეწველ-ხელოსანთა ღარიბი მასების ეკონომიური მდგომარეობა.

რამოდენიმე ათასეული ხელოსანთა პირდაპირ გამოსავალი და ხსნა მათ კოოპერატიულად დარაზმვაში მდგომარეობს. აი რა არ უნდოდათ და უნდათ დაინახონ, თბილისის ხელოსანთა აწ გაუქმებულ საზოგადოების გამგეობის წევრებს და მათ მაჩანჩალებს.

თბილისის შინამრეწველთა მე-4-ე საქალაქო კონფერენციამ გამოააშკარავა ამ ვაებატონების საქმიანობა, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტების გამამხნევებელი მუშაობა და მთლიანად დაადასტურა გამგეობის და პლენუმის სხვადასხვა დროს გამოტანილი დადგენილებები ორგანიზაციიდან ათი კაცის გამორიცხვის შესახებ, რომელთა მოქმედება წარსულში და აგრეთვე დღესაც ხელს უშლიდა ხელოსანთა მასის ორგანიზაციულად დარაზმვას.

თბილისის შინამრეწველთა მე-4-ე საქალაქო კონფერენციამ ერთხმად გამოიტანა შემდეგი დადგენილება:

„მეოთხე კონფერენცია აღნიშნავს, რომ „სამტრუდ" ხელოსანთა ორგანიზაციის არსებობამ ფორმამ შეასრულა თავისი ისტორიული როლი. მომწიფდა უკვე საზოგადოების წევრთა გადაყვანის აუცილებელი საჭიროება სოციალისტური მეურნეობის სისტემაში, ე. ი. სამრეწველო კოოპერაციის სისტემაში, მშრომელ ხელოსანთა ფართო ღარიბი მასებისათვის მეტად გასაგებ მეურნეობის ფორმაში.

ამიტომ ხელოსანთა საზოგადოების შემდეგი არსებობა მიზანშეუწონლად ჩაითვალოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მოწინავე დიდი ქალაქების მაგალითების მიხედვით (ლენინგრადი) წინადადება ეძლევა ახალ გამგეობას მიმდინარე წელში მთლიანად გადაიყვანოს საზოგადოების ყველა წევრები სამრეწველო კოოპერაციაში, რაც შეთანხმებული იქნას უმაღლეს პარტორგანოებთან და სამრეწველო კოოპერაციის კავშირის გამგეობასთან".

აი, კონფერენციის ავტორიტეტული დადგენილება ხელოსანთა საზოგადოების შემდეგი არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ. ამ საზოგადოებას, როგორც ძველი, ისე ახალი წესდების ძალით მინიჭებული აქვს მხოლოდ კულტურულ-განმანათლებელი, საექიმო და იურიდიული დახმარების ფუნქციები, რაც ვერ აკმაყოფილებს ხელოსანთა მასების მთავარ მოთხოვნილებას.

ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ხელოსანთა საზოგადოების მე-4-ე კონფერენციის ამ საყურადღებო გადაწყვეტილებას დიდი თანაგრძნობით და დახმარებით შეხვდებიან ყველა ის სავაჭრო და საკრედიტო უმაღლესი ორგანოები, ვისზედაც პირდაპირ დამოკიდებულია კოოპერატიულად გაერთიანებულ ხელოსანთა მასებს აღმოუჩინონ მეტი რეალური დახმარებები გრძელი ან მოკლე ვადიანი კრედიტების რეგულირებული მიწოდებით.

დ. ნასარიძე.

ა. კ. სახკომსაბჭოში

ა. მ. ტერ-არუთინოვის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა ა.-კ. ფინსახკომთან არსებულ საკონტროლო საბჭოს შემადგენლობაში ჩაბმული იქნეს ერთი წარმომადგენელი საარბიტრაჟო კომისიიდან.

ა.-კ. ფინსახკომის საკონტროლო საბჭოს თავმჯდომარეთ დანიშნულია ა.-კ. ფინსახკომის სახელმწიფო საფინანსო კონტროლის სამმართველოს უფროსი ა. მ. ტერ-არუთინოვი.

საქციო საზ-ბათა წესდებების დამტკიცება

ა.-კ. სახკომსაბჭომ მიიღო პროექტი დადგენილებისა საქციო საზ-ბათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ. დადგენილების პროექტი დასამტკიცებლად გადაეცა ა.-კ. ცაკს.

საფინანსო კონტროლი

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს მიერ გამოცემულია დადგენილება საფინანსო კონტროლის რეორგანიზაციის შესახებ; ამავე დროს პრაქტიკულ მუშაობაში სახელმძღვანელოდ გამოცემულია დებულება სახელმწიფო საფინანსო კონტროლის შესახებ.

ამის გამო, ა.-კ. სახკომსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა ა.-კ. ცაკის წინაშე, რათა გაუქმებული იქნეს ა.-კ. ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ გამოცემული დროებითი დებულება დარიცხვების და ზეგავლენის მოხდენის სხვა ღონისძიებების შესახებ, რომლებსაც მიმართავს ა.-კ. ფინსახკომი.

ეკონომიურ საბჭოში

გადასახადის ვადის გაგრძელება

სახ. დაზღვევის კანტორის მოხსენების თანახმად ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო შენობების სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის ნებაყოფლობითი (საურავის დაურიცხავად) გადახდის ვადის გაგრძელება ქ. ზუგდიდსა და ახალსენაკისათვის ა.-წ. მარტის 1-მდე, ხოლო ქ. ონისათვის მარტის 31-მდე.

ხე-ტყის ვაჭრობის გეგმა

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი გეგმა ხე-ტყის ვაჭრობისა 27—28 წ. გეგმის მიხედვით საზღვარგარეთ განზრახულია 630.000 მან. ღირებული ხე-ტყის მასალის გატანა, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში 1 627.500 მ.

27—28 წ. საქართველოში განზრახულია წიფლის ჯიშის საშენი მასალის (1200000 კუბ. ფ.) და მაღაროს მუხის ბიგების (250.000 ცალ.) შემოტანა, რაც უდრის 1.733.000 მან. ღირებულებას.

ხე-ტყის ქარხანა აბასთუმანში

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საკურორტო სამმართველოს შუამდგომლობა აბასთუმანში ხე-ტყის ქარხნის აგების ნებართვის მიცემის შესახებ.

ფირმა „მაგმუტლი"-ს შეძენა ბორჩალოს აღმასკომის მიერ

ეკონომსაბჭომ დაამტკიცა ს. მ. უ. საბჭოსთან არსებულ ადგილობრივ მრეწველობისათვის ფინანსების მიმწოდებელი კომისიის დადგენილება ბორჩალოს სამაზრო აღმასკომისათვის ფირმა „მაგმუტლი"-ს შესაძენად 49000 მან. გრძელვადიანი სესხის მიცემის შესახებ.

ელექტროფიკაციის ფონდები

ა.-კ. სახკომსაბჭომ მოიწონა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებული პროექტი დეკრეტისა ელექტრიფიკაციის ფონდების შესახებ; ეს ფონდები დაარსებული უნდა იქნეს ს. მ. უ. ს. გამგებლობაში მცირე ელექტრო-სადგურების ხელახლა მოწყობისა, გაუმჯობესებისა და ახალი სადგურების აგებისათვის მიღებულ [illegible].

ამასთანავე ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭომ აუცილებლად სცნო რომ თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში დაარსდეს ერთი ფონდი, იმის და მიუხედავათ, თუ როგორი მნიშვნელობის წარმოებებია იქ; დეკრეტთან ერთად, მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიურ საბჭოებთან შეთანხმებით, გამოცემული უნდა იქნეს ინსტრუქცია ფონდების შენახვისა, გამგებლობისა და გამოყენების შესახებ. ამიერ-კავკასიის ფარგლებში ფონდის გამოყენების უფლება, ენიჭება ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს.

რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცათ გამოსცენ ცირკულიარული განკარგულება, რათა აკრძალული იქნეს იმ ქონების გაყიდვა, რომელიც მიღებული იქნება ელექტრო სადგურების აგების, ხელახლა მოწყობისა და გაუმჯობესებისაგან.

ამასთანავე რესპუბლიკებში დაუყოვნებლივ გამორკვეული უნდა იქნეს იმ სადგურებ-ის რაოდენობა, რომელთა მოწყობილობა თავისუფლდება ახალ ძალზე გადასვლის გამო.

სანიტ.-ეპიდ. განყოფილებათა საკავშირო თათბირი

მესამე სხდომა

თათბირის მესამე სხდომაზე სწარმოებდა კამათი მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლების მოხსენებათა გარშემო. კამათის დროს გამოითქვა აზრი, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეპიდემიების გავრცელების საწინააღმდეგოდ ბრძოლას. მიუხედავათ იმისა, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირის არც ერთ კუთხეში ადგილი არა აქვს რომელიმე ეპიდემიას, მაინც შესაძლებელია გადამდები სენების ინტენსიური თავი ამ ან იმ ადგილას. გარდა ამისა ზოგიერთმა დელეგატებმა წარმოადგინეს ცნობები, რომ ბევრ რესპუბლიკებში ადგილი აქვს საბავშვო სენების გავრცელებას.

თათბირზე გამოსული დელეგატები საჭიროდ სცნობდნენ, რომ ცალკე რესპუბლიკების ჯანსახკომებმა გააძლიერონ კრედიტების გაცემა ეპიდემიების გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად და გამოჰყონ ცალკე სანიტარულ-პროფილაქტიური ფონდები.

კამათიდან გამოირკვა, რომ მთელ რიგ რესპუბლიკებში ადგილი აქვს მომზადებულ სანიტარ-ექიმების ნაკლებობას. შესაფერ ნიადაგზე ვერ სდგას ფართო პროფილაქტიური მუშაობა. მხოლოდ საქართველოში, უკრაინაში და რ.ს.ფ.ს. რესპუბლიკაში გახდა შესაძლებელი გადაეჭრათ ე. წ. სახალხო პროფილაქტიკის და მასიური სამკურნალო დახმარების საკითხი. ამ საკითხების გადაჭრა მჭიდროთაა დაკავშირებული ჯანსახკომების მუშაობა-საქმიანობის 5 წლის პერსპექტიულ გეგმებთან. თათბირმა საჭიროდ სცნო სხვა რესპუბლიკებმაც მიიღონ ზომები აღნიშნული საკითხების გადასაჭრელათ.

[illegible] სხდომა

კამათის დასრულების შემდეგ, თათბირზე მოხსენებით გამოვიდა რ.ს.ფ.ს.რ.-ს წარმომადგენელი ექ. მარზეევი, რომელიც შეეხო ბაქტერიოლოგების, ეპიდემიოლოგების და სანიტარულ ექიმთა სრულიად საკავშირო მე-11 ყრილობის მოწვევასთან დაკავშირებულ საკითხებს. თათბირმა დაადგინა, რომ ყრილობა მოწვეულ იქნეს მიმდინარე წლის 21 მაისს, ქალ. ლენინგრადში.

შემდეგ მოსმენილ იქნა რამოდენიმე მოხსენება პროფესიონალურ სნეულებებთან ბრძოლის მეთოდებისა. წარმოებებში უბედურ შემთხვევებთან ბრძოლისა და ამიერ-კავკასიაში კეთროვანთა სახლის გახსნის შესახებ.

დილის სხდომის შემდეგ თათბირის შემადგენლობა გაემგზავრა ზაჰესში და დაათვალიერეს თბილისის ზოგიერთი სამკურნალო დაწესებულებები.

თათბირი მალარიასთან ბრძოლის საკითხებზე

ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიაში დასრულდა რესპუბლიკანურ ჯანსახკომების წარმომადგენელთა თათბირი მალარიასთან ბრძოლის საკითხებზე; თათბირი მოწვეული იყო ამიერ-კავკ. საგეგმო კომისიის სოციალურ-კულტურულ სექციის მიერ.

თათბირმა მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან და საგეგმო კომისიის სოციალურ-ეკონომიურ სექციის მოხსენება ამიერ-კავკასიის მეორე სამალარიო ყრილობის რეზოლიუციების პრაქტიკულად გატარების შესახებ.

აუცილებლად იქნა ცნობილი ამიერ-კავკასიის სამალარიო კომიტეტის დაარსება, რომელმაც ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მალარიასთან ბრძოლის საქმეს. თათბირმა დაწვრილებით განიხილა და დაამუშავა დებულება კომიტეტის შესახებ.

შემდეგ თათბირმა დაადგინა, რომ წყალთა მეურნეობაში განზრახულ საამშენებლო სამუშაოების პროექტების შედგენაში აუცილებლად მონაწილეობა მიიღონ ამიერ-კავკ. რესპუბლიკის ჯანსახკომების წარმომადგენლებმა. ამ სამუშაოების შესრულების დროს სანიტარულ-ტექნიკური კონტროლი უნდა განახორციელონ ჯანსახკომებმა.

ვინაიდან ამიერ-კავკასიაში შემჩნეულია მალარიის, გლისტების და დიზენტერიის საწინააღმდეგო საშუალებების ნაკლებობა, თათბირმა დაადგინა გაძლიერებული იქნეს ამ მედიკამენტების იმპორტი, რისთვისაც ეთხოვოს ამიერ-კავკ. ცაკს ხარჯთაღრიცხვას გარეშე გადასდოს 50.000 მანეთი.

აბაშის ელსადგური

შრომის სახალხო კომისარიატის სანიტარულ-ტექნიკური ინსპექცია გაეცნო აბაშის ჰიდრო-ელსადგურის მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობებს და საჭიროთ სცნო საგენერატორო სადგურის და მუშების საცხოვრებელ ბინებს შორის გაყვანილ იქნეს ერთნახევარი მეტრის სიგანის საცალფეხო გზა; მდინარე აბაშაზე, ბოგირის ნაცვლად, გაყვანილ იქნეს ხიდი, შემორაგვულ იქნეს აუზი და ჯებირი; სათავის ფარზე მომუშავე მუშებისათვის მოეწყოს დახურული, თბილი შენობა და ასაწევ მექანიზმთან დახურული ფარდული.

ინსპექციამ საჭიროდ სცნო აგრეთვე, მუშების საცხოვრებელ ბინების შეკეთება, სანიტარიის და ჰიგიენის მოთხოვნილების თანახმად და მუშებისათვის აბანოს მოწყობა.

აღნიშნული დავალებები ჰიდრო-ელსადგურის ადმინისტრაციამ უნდა შეასრულოს 2 თვის განმავლობაში.

აგუძერის სანატორიუმი

აფხაზეთის საკურორტო სამმართველო შეუდგა აგუძერის სანატორიუმის აღდგენას; ეს სანატორიუმი 1920 წელში დაწვეს მენშევიკებმა.

აგუძერის სანატორიუმის შენობის აღდგენაზე დაიხარჯება 400.000 მანეთი. უკვე დაარსებულია საამშენებლო კომისია და მუშაობა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

სანატორიუმი სავსებით აღდგენილი იქნება მიმდინარე წლის შემოდგომისათვის.

სანატორიუმში დადგმული იქნება ფიზიოთერაპევტიული აპარატები; სანატორიუმი იმუშავებს მთელი წლის განმავლობაში და მას ექნება 150 საწოლი.

სანატორიუმის შენობის აღდგენასთან ერთად საკურორტო სამმართველო შეუდგა აგუძერის პარკის აღდგენას; პარკის სივრცე უდრის 20 დესეტინას. პარკის სანაპირო პლიაჟი საუკეთესოდ ითვლება აფხაზეთში.

ანგარიშის ჩაბარება ამომრჩევლებისათვის

თბილისის აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებამ შეიმუშავა გეგმა თბილისის მაზრაში საბჭოების საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად. კამპანია ჩატარებული იქნება თებერვლიდან.

საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად თემებში მოეწყობა ცალკე კომისიები, ადგილობრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საანგარიშო კრებებზე მოხსენებებს გააკეთებენ ის დეპუტატები, რომლებსაც მოხსენებები არ გაუკეთებიათ წინა საანგარიშო კრებებზე. კამპანიის ჩამტარებელ კომისიებს ევალებათ კამპანიის ჩატარების საქმეში აქტიურათ ჩააბან ქალები და მიიღონ ზომები რათა მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში ფართო მონაწილეობა მიიღონ ღარიბმა გლეხებმა.

საანგარიშო კრებებზე მოხდება სუსტათ მომუშავე დეპუტატის გამოწვევა და მათ ადგილზე ახალი აქტიურ მომუშავის არჩევა.

საანგარიშო კამპანიის ჩასატარებლად მაზრაში იგზავნება 14 ინსტრუქტორი.

ცეკავშირის ფინანსიური გაჯანსაღებისათვის

ცეკავშირის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ცეკავშირის საბჭოს მეექვსე სესიამ დაადგინა, რომ ძირითად ორგანიზაციებმა საკუთარ საბრუნავ თანხებიდან ცენტრში გადარიცხონ 10 პროცენტი. ამ დადგენილების მიხედვით ცეკავშირის გამგეობამ ძირითად სამომხმარებლო კოოპერატივებს თავის დროზე დაუგზავნა სათანადო ცირკულიარები.

აღნიშნული დადგენილება უკვე ცხოვრებაში ტარდება, მთელ რიგ სამომხმარებლო კოოპერატივებმა უკვე გადაიხადეს ხვედრი ანარიცხები.

მიღებული ცნობებით ანარიცხები გაიღეს შემდეგმა კოოპერატივებმა:

სიღნაღის კოოპერატივმა—8.700 მან., წალკის—2700 მან.; ძირულის მუშკოოპმა—708 მ.; ხონის—12.500 მან.; ერწოს 1.107 მან.; ზაქირეთის—1.275 მან.; ცაგერის—1.100 მან.; ონის—1.900 მან.; სადახლოს—1.600 მან.; დუშეთის—500 მან.; ვანის—400 მან.; სენაკის—4.600 მან.; სამტრედიის—2.700 მან.; ტყვიბულის—600 მან.; ხოვლეს—1 300 მან.; ბორჯომის 3.500 მან.; მეჯვრის-ხევის—920 მან.; სურამის—3.000 მან.; წალენჯიხის—300 მან.; შუამთის—300 მან.; კავთის-ხევის—824 მ.; წითელ ქალაქის—640 მან.; თიანეთის—600 მან.; ყვარელის—600 მან.; ველისციხის—3.000 მან.; ქვემო-მაჩხაანის—2.500 მან.; ლაგოდეხის—2.200 მან.; წითელ-წყაროს—3.350 მან.; ახაგის 2.800 მან.; ქუთაისის მუშკოოპმა—17.000 მან. და ბანქის კოოპერატივმა—1.600 მანეთი.

შეშის დამზადება

თითქმის ყოველ ზამთარში საგრძნობი ხდება შეშის ნაკლებობა, რაც იწვევს შეშის ფასის ზრდას კერძო ბაზარზე. ამ გარემოების მიზეზი ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატის აზრით, არის სატყეო მრეწველობის ტრესტის და სახ. ვაჭრობის ორგანიზაციათა ფინანსიური ხელმოკლეობა, დამზადების გვიან დაწყება და დამზადების ნელი ტემპი.

ამის გამო ამიერ-კავკ. ვაჭრობის კომისარიატმა წინადადება მისცა საქართველოს ვაჭრობის კომისარიატს ამ თავითვე შეიმუშაოს 1928—29 წლისათვის შეშის დამზადების გეგმა.

გამორკვეული უნდა იქნეს როგორც ცენტრში, ისე პროვინციაში საჭირო შეშის რაოდენობა; დამზადებებისათვის საჭირო მუშახელის რიცხვი, შეშის დამზადების ღირებულება, დამზადებისათვის საჭირო თანხების რაოდენობა; გამორკვეული უნდა იქნეს რამდენის გადადება შეუძლია შეშის დამზადებისათვის ადგილობრივ აღმასკომებს, გლეხკომებს, სამომხმარებლო და სას.-სამ. კოოპერაციას. თუ აღნიშნული ორგანიზაციების თანხები საკმარისი არ იქნება შეშის დასამზადებლად, გამონახული უნდა იქნეს ამ თავითვე საჭირო დამატებითი თანხები.

კომისარიატის დადგენილებით, შეშის დამზადება უნდა დაიწყოს გაზაფხულზევე, რათა შემოდგომისათვის მზად იქნეს საჭირო რაოდენობა.

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა შეშის დამამზადებელ რაიონებში მიავლინა ვაჭრობის ინსპექტორი, რომელსაც დავალებული აქვს ადგილობრივ დამზადებული შეშის რაოდენობის და შეშის თვითღირებულების გამოკვლევა.

რემედასის კვირეული

22 იანვრიდან მთელს საქართველოში ჩატარებული იქნება რემედასის კვირეული. აღნიშნული კვირეული ეწყობა კაპიტალისტურ ქვეყნების პოლიტპატიმართათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით.

კვირეულს ეძლევა აგრეთვე ფართო იდეური მნიშვნელობა, მთელს საქართველოში ჩატარებული იქნება საჯარო კრებები, რომლებზედაც გაშუქებული იქნება საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა, მუშათა მოძრაობა, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთის ქვეყნებში; დახასიათებული იქნება თეთრი ტერორი, პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობა კაპიტალისტური ქვეყნების საპატიმროებში და სხვ.

წინასწარი მუშაობა

კვირეულის ჩასატარებლად რემედასის თბილისის კომიტეტის მიერ გამოყოფილია კომისია ვ. მუმლაძის (თავმჯდომარე), ა. არაზოვ შვილის, ა. სუროვის და ატაბეკ-ტუმანის შემადგენლობით, რაიონებში და თემებში შექმნილია კომისიები [illegible] რის და ქალთა განყოფილების წარმომადგენელთა შემადგენლობით, შემოწირულებების შეგროვება იწარმოებს [illegible]; კინო-თეატრებსა და რკინისგზის სალაროებში იწარმოებს სპეციალური მარკების გაყიდვა; მოეწყობა წარმოდგენები, კინოსეანსები და ლატარიები. შემოწირულება მიიღება აგრეთვე ნატურით. ნატურით შემოწირულების მისაღებად დამზადებულია რაიკომების და თემკომების [illegible] შემოწირულების ხელმოწერის სიები.

თბილისი დაყოფილი იქნება 4 რაიონებად და ყოველ რაიონზე მიმაგრებული იქნება ხელმძღვანელი კომისიები.

პირველი შემოწირულება

რემედასის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო პირველი შემოწირულება ინვალიდების არტელისაგან—100 მან. და პოლიტ-კატორღელთა საზოგადოებისაგან—50 მან.

საბინაო მშენებლობა

საფეიქრო მრეწველობაში

ვინაიდან უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში მუშების რიცხვის ყველაზე ძლიერი ზრდა მოსალოდნელია საფეიქრო მრეწველობაში, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ აუცილებლად სცნო ახალი ფაბრიკების და ქარხნების მშენებლობასთან ერთად მიღებული იქნეს ზომები მუშების ახალი კადრების ბინებით უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს წინადადება მიეცათ დაამუშაონ საფეიქრო მრეწველობის განვითარების დაწვრილებითი ხუთწლიანი გეგმა, რომელშიაც შეტანილი უნდა იქნეს მუხლები საბინაო მშენებლობის შესახებ. რესპუბლიკების პროფსაბჭოებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ აგრეთვე საფეიქრო მრეწველობის ხუთწლიან გეგმის გადასინჯვაში შვიდი საათის სამუშაო დღის შემოღებასთან დაკავშირებით.

კერძოთ, აზერბეიჯანის პროფსაბჭოს წინადადება მიეცა მიიღოს ზომები იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად დროულად სწარმოებს თანხების გადადება განჯის საფეიქრო ფაბრიკისათვის. მომავალი საამშენებლო სეზონში გაძლიერებული უნდა იქნეს მუშათა ბინების მშენებლობა. ბინები საფეიქრო ფაბრიკის მუშებისათვის მზათ უნდა იქნეს მიმდინარე წლის 1-ლ აპრილისათვის.

საშემოსავლო გადასახადი

14 იანვარს აღმასკომის წითელ დარბაზში შესდგა კრება სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა, კოოპერატიულ ორგანიზაციების და აგრეთვე კერძო დაწესებულებების წარმომადგენლების მონაწილეობით. კრებაზე საქართველოს ფინსახკომის გადასახადთა სამმართველოს უფროსმა ამხ. ბეზირგანიშვილმა გააკეთა მოხსენება მუშა-მოსამსახურეთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისათვის ახალი წესების შემოღების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანახმად საკავშირო ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წლის 14 დეკემბრის კანონისა, აღნიშნული გადასახადი გამოიანგარიშებული იქნება მუშა-მოსამსახურის ყოველგვარი თვიურ ხელფასიდან, განსაკუთრებული ტაბელის № 1-ის მიხედვით, რომელშიდაც გათვალისწინებულია თვიური განაკვეთები. დაწესებულებებმა გამოანგარიშებული თანხები უნდა დაუკავონ მუშა-მოსამსახურეებს ჯამაგირის მეორე ნახევრის დარიგების დროს. დაკავებული თანხები უნდა იქნეს შეტანილი სალაროში სამი დღის განმავლობაში.

მომხსენებელმა გასცა პასუხი მთელ რიგ შეკითხვებზე, კრებამ გამოსთქვა სურვილი, რომ მშრომელთა ფართო მასისათვის გაცნობის მიზნით ახალი დებულება გამოქვეყნებულ იქნეს ადგილობრივ პრესის ოფიციალურ განყოფილებაში.

შრომის კომისარიატში

ჭიათურის მაღაროებში

შრომის დაცვის განყოფილებამ დაამტკიცა ჭიათურის მაღაროებში შრომის ტექნიკურ ინსპექტორის სამუშაო გეგმა. გეგმის თანახმად, შრომის ტექნიკური ინსპექტორი ერთი თვის ვადაში უნდა გაეცნოს შრომის პირობებს შავი ქვის ყველა მაღაროებს და ქვის სარეცხ ქარხნებში; უნდა შეამოწმოს ორთქლის ქვაბები, მაღაროების და ქარხნების ტექნიკური მდგომარეობა; უნდა აღრიცხოს უბედური შემთხვევები და გამოიკვლიოს წინასწარ გამაფრთხილებელი ზედამხედველობის მუშაობა.

შრომის სალაროების სამუშაო დრო

შრომის დაცვის განყოფილებამ დაადგინა—ნება მისცეს შრომის შემნახველ სალაროებს მუშაობა დაიწყონ დილის 11 საათზე და დაამთავრონ ნაშუადღევის 5 საათზე.

აღნიშნული დადგენილება გამოწვეულია იმით, რომ მუშა-მოსამსახურეებს გაუადვილდეს შრომის შემნახველ სალაროებით სარგებლობა.

საქ. წითელ ჯვარში

საყოველთაო სამხედრო-სანიტარული სწავლება

გასული წლის ოქტომბერში თბილისში მოწვეულმა საკავშირო წითელი ჯვრის სესიამ აუცილებლად სცნო სამხედრო-სანიტარული ცოდნის გავრცელება მოსახლეობაში.

საკავშირო წითელმა ჯვარმა უკვე გამოამუშავა სათანადო გეგმა და დირექტივებთან ერთად დაუგზავნა საბჭოთა კავშირის ყველა ნაციონალურ წითელ ჯვრებსა და წითელ ნახევარ მთვარეებს.

საქართველოს წითელი ჯვარი შეუდგა სამხედრო-სანიტარული წრეების ჩამოყალიბებას ყველა ქალაქებში, მაზრებში, ავტ. რესპუბლიკებსა და სოფლებში.

ამჟამად ჩამოყალიბებულია 28 წრე სამხედრო ოლქისა და საქართველოს რამოდენიმე მაზრაში; წრეებში ჩაბმულია ათასი კაცი.

ქ. თბილისის ქარხნებთან და წარმოება-დაწესებულებებში დაარსებულია 24 წრე, წრეებში გაერთიანებულია 829 მუშა-მოსამსახური.

ხიდი მდ. ჩაქვზე

საქართველოს ადგილობრივი ტრანსპორტის სამმართველო მდ. ჩაქვზე წლევანდელ საამშენებლო სეზონში ააშენებს ახალ რკინა-ბეტონის ხიდს. ხიდის სიგრძე იქნება 65 მეტრი.

საჭირო საამშენებლო მასალები უკვე შეძენილია.

ამჟამად სწარმოებს იმ ადგილის გამოკვლევა, სადაც განზრახულია ხიდის აგება.

აჭარისტანის „წითელ ნახევარ მთვარეში"

აჭარისტანის „წითელ ნახევარმთვარის" კომიტეტს მაზრებში გახსნილი აქვს 4 სამკურნალო პუნქტი, ერთი სამალიარიო სადგური და აფთიაქი. გასული წლის განმავლობაში ყველა პუნქტებმა საექიმო დახმარება აღმოუჩინა 23.052 ავადმყოფს, და 14.449 განმეორებით დაავადებულს; ამას გარდა პუნქტებმა აცრეს 819 კაცს. პუნქტებმა სულ დახმარება აღმოუჩინეს 38.320 ავადმყოფს; მათ შორის მალარიით დაავადებულთა რიცხვი უდრის 10.814 კაცს—ანუ 28.22 პროცენტს.

კომიტეტის უახლოესი ამოცანაა მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება ახალი სამალიარიო პუნქტების გახსნით. ამ მიზნით კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს მიმდინარე წლის გაზაფხულზე კახაბერში გახსნას ერთი სამალიარიო პუნქტი.

კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს აგრეთვე მომავალში ყველა სამაზრო სამკურნალო პუნქტები გადააქციოს სამალიარიო ბაზად. საექიმო პერსონალისათვის მუშაობის შემსუბუქების მიზნით მაზრებში შემოღებულია ზოგიერთ მედიკამენტების მექანიზაცია. ყველა აუცილებელ სამკურნალო მასალებსა და მედიკამენტებს კომიტეტი თავის დროზე აწოდებს პუნქტებს. სწარმოებს აგრეთვე სანიტარული საგანმანათლებლო მუშაობა. გასული წლის მისიიდან კომიტეტმა მაზრებში ჩაატარა 81 ლექცია ჰიგიენაზე, მალარიაზე, სიფილისზე და მათთან ბრძოლის მეთოდებზე.

კომიტეტი სამსახურს უწევს აგრეთვე ბათომის ღარიბ მოსახლეობას ექიმების მიერ გამოწერილ რეცეპტებით წამლების უფასოდ მიწოდების მხრივ. კომიტეტის აფთიაქის მუშაობა დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული.

გარდა ამისა, კომიტეტმა მოაწყო „პირველი მედდახმარების კურსები". ორი გამოშვება უკვე ჩატარდა. ამჟამად მეცადინეობა სწარმოებს ქართულ და რუსულ ჯგუფებში მესამე გამოშვებისათვის.

საანგარიშო წლის განმავლობაში ყველა სამკურნალო პუნქტების შენახვა კომიტეტს დაუჯდა 21.312 მანეთი და 28 კაპ. წამლების უფასოდ გაცემით კომიტეტს დაეხარჯა 3.128 მანეთი და 97 კაპ.

ქუთაისი

რიონჰესის მდგომარეობა

7 იანვარს ამხ. ნ. კაკაბაძის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელსაც ორი მეტად საინტერესო საკითხი ჰქონდა განსახილველი: ა) მოხსენება რიონის ჰიდროელსადგურზე დღემდის გაწეული და მომავალი მუშაობის შესახებ და ბ) მოხსენება კომუნალური მეურნეობის განყოფილების საქმიანობის შესახებ.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა რიონჰესის სამუშაოთა უფროსი ინჟინერი მიქელაძე. მან მოკლედ გააცნო საბჭოს რიონჰესის წარმოების ისტორია და მისი დღევანდელი მდგომარეობა. ამ მოხსენებიდან, სხვათა შორის გამოირკვა, რომ ინჟ. მელიქ-ფაშაევის საბოლოოდ მიღებული პროექტით, წყლის საგუბარი უნდა გაკეთდეს ჭომში; იქიდან ორ ადგილას უნდა გაიჭრას მთა და გაკეთდეს წყლის გასაყვანი გვირაბები, სიგრძით 2 ნახ. კილომეტრი, შემდეგ არხი მიიღებს მიმართულებას სალორიის აგარაკზე და რიონის სადგურთან დაეშვება დაბლა, სადაც მოეწყობა ხელოვნური წყალსარდინელი, სიმაღლით 60,1 მეტრამდე, სადაც გაკეთდება ელსადგური. რომელიც პირველ ხანებში მოგვცემს 30.000 ცხენის ძალის ენერგიას, საბოლოოდ კი მას შეეძლება 60.000 ცხენის ძალის მოცემა. პირველ ხანებში ელექტრონის ენერგია ეღირება არა უმეტეს 3 კაპ. კილოვატი, საბოლოოდ მოწყობის შემდეგ კი — 1 ნახ. კაპ. ელსადგური უნდა მოეწყოს 3 წლის განმავლობაში მისი მოწყობა დაჯდება 13.000.000 მანეთი.

რიონჰესის ენერგია გამოყენებული იქნება, უწინარეს ყოვლისა, რკინის გზის ელექტროფიკაციისათვის, ფაბრიკა-ქარხნებისათვის, როგორცაა: ცემენტის ქარხანა, მარილის ავეჯეულობის ფაბრიკა, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, მომავალი ქაღალდის ფაბრიკა [illegible] ჭიათურის ქარხნები და მრავალი სხვა უკვე არსებული, თუ მოსალოდნელი წარმოებანი. გარდა ამისა, ეს იაფი ენერგია შეიძლება გამოიყენონ წყალსადენისათვის, რომელიც ახლო მომავალში უნდა გაკეთდეს. დასასრულ რიონჰესის ენერგია საშუალებას მოგვცემს წყალტუბომდე გაყვანილი იქნეს ელექტრონის ტრამვაის ხაზი.

დღემდე რიონჰესის მმართველობას შეუსრულებია შემდეგი სამუშაოები: ჭომში აუშენებია მუშების ბინები, საწყობები, გაუყვანია გზები, ჩამოუტანია ზაჰესიდან სხვადასხვა იარაღები და მანქანები, შეუძენია ზოგიერთი საჭირო მასალები, საფიჩხიაზე მოუწყვია ძირითადი საწყობი; ქუთაისის სადგურიდან ამ საწყობამდე გაუყვანია რკინის გზის ლიანდაგი საშენი მასალებისა და მანქანების გადასატანად, მოუხდენია ნიადაგის გამოკვლევა და სხვ. რაც შეეხება ფართო მასშტაბით მუშაობის დაწყებას, ჯერ-ჯერობით ეს შეჩერებულია და ელიან საბოლოო პროექტის დამტკიცებას.

მისი მოწონებისთანავე, კი მუშაობა სწრაფი ნაბიჯით წავა წინ და ათასობით უმუშევარი გაიჩენს იქ სამუშაოს.

საბჭოს წევრებმა მრავალი შეკითხვები მისცეს მომხსენებელს, რომელმაც დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

ამ მოხსენების გარშემო საბჭომ მიიღო შესაფერი რეზოლიუცია რის შემდეგ სხდომა დაიხურა და დანარჩენი საკითხების განხილვა გადაიდო შემდეგისათვის.

დონ—ვალიანი.

გადასახადთა განაკვეთების პროექტის დამტკიცება

სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საფინანსო განყოფილების მიერ შემუშავებული განაკვეთების პროექტი.

ქვასატეხების წარმოება

სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა მოეწყოს მაზრაში ქვასატეხების მუშაობა. შემუშავებულ იქნა საამშენებლო მასალების (ქვის) ნიხრი და გადაეგზავნა დასამტკიცებლად ს.მ.უ.ს. საბჭოს.

რკინის გზის ახალი სადგური

სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმმა ეკონომიური კომისიის გამოკვლევის [illegible] საჭიროდ სცნო ტყიბულის რკინისგზის შტოზე, გელათისა და ხრესილის სადგურებს შუა, სოფ. ორპირში, ახალი სადგურის „ორპირი"-ს გაკეთება, რისთვისაც გზათა საქართველოს წინაშე აღძრა სათანადო შუამდგომლობა.

ანგარიშებზე გადასახადის დაწესება

ქუთაისის სამაზრო აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ანგარიშებზე საგანგებო გადასახადის დაწესების შესახებ. ამ სავალდებულო დადგენილების ძალით, ყველა იმ სასტუმრო-რესტორნების პატრონები, რომელთაც აღებული აქვთ მეოთხე და მეტი ხარისხის სავაჭრო პატენტები, ვალდებული არიან 1-ლ იანვრიდან შემოიღონ ანგარიშის წიგნები, საიდანაც მუშტრებს უნდა ეძლეოდეთ ანგარიში მთელი დახარჯვის აღნიშვნით, თუ დანახარჯი აჭარბებს 5 მანეთს [illegible]. ანგარიშზე ნაჩვენებ მთელ ჯამს უნდა დაერიცხოს 5 პროც. ხაზინის სასარგებლოდ. შეკრებილი ფული თვეში ორჯერ უნდა წარედგინოს და შეტანილ იქნეს ხაზინაში.

მუშკოოპის არჩევნები

ქუთაისის მთლიანი მუშათა კოოპერატივის „კოოპერაცია"-ს რწმუნებულთა საზოგადო კრებამ გამგეობის შემადგენლობაში აირჩია ამხ. პლატონ ქუთათელაძე (თავმჯდომარე), პოლიკარპე გოგიაშვილი და ალექსანდრე სტურუა.

„საწერ-კალამი"-სა და „სახელგამი"-ს შეერთება

საწერი ქაღალდებისა და საკანცელარიო ნივთების სავაჭრო-სამრეწველო „საწერ-კალამი"-ს ქუთ. განყოფილება შეუერთდა სახელმწიფო გამომცემლობის ქუთაისის განყოფილების წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიას.

„ქუთაქარობა"-ს გაფართოება

ქუთაისის საქციო საზოგადოების „ქუთაქარობა"-ს გაფართოების გამო, ის სადგომი, რომელიც მისი ანგარიშის გვერდით კლუბ „კაზინო"-ს ჰქონდა დაკავებული, გადაეცა ხსენებულ საზოგადოებას; კლუბი კი გადატანილ იქნა ხაზინის ყოფილ სადგომში, (1905 წლის რევოლუციის ქუჩაზე).

რიონჰესის ხიდი

რიონჰესის ქუთაისის სამმართველომ მიანდო ტეხნიკოს ზ. ბიჭიკაშვილს (წყალტუბოს ოლქის გამგეს) ჭომში (საგუბართან) რიონზე ბოგირ-ხიდის გაკეთება.

სამიწათმოქმედო განყოფილებაში

ქუთაისის მიწათმოქმედების განყოფილების გამგის მოადგილედ დაინიშნა ამავე განყოფილების ყოფ. გამგე ამხ. ვ. გურულიშვილი.

საბჭოთა მუშაკების პროფკავშირში

საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. გაგნიძე, (ყოფ. შრომის სასამართლოს თავმჯდომარე).

ქრონიკა

საბჭოების მუშაობის დაახლოება მასებთან

საბჭოების მუშაობის დასაახლოებლად მშრომელთა ფართო მასებთან, დღეს, დღის 3 საათიდან თბ. ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ლ. სუხიშვილი** რკ. გზის მთავარ სახელოსნოებში მიიღებს მთავარ სახელოსნოების მუშებს მათთვის საჭირო კითხვებზე პასუხის გასაცემად.

თათბირი შრომის დაცვის საკითხებზე

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებით, ა.-კ. თათბირი შრომის დაცვის საკითხებზე, რომელიც დანიშნული იყო 18 იანვრისათვის, შესდგება 28 იანვარს.

მრეწველობის ხუთწლიანი გეგმა

საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაადგინა დაუყოვნებლივ შეუდგეს მუშაობას მრეწველობის განვითარების ხუთწლიან გეგმის და 1928—29 წლის საკონტროლო ციფრების შესადგენად. ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა ამ მუშაობაზე დაეკისრა ს. მ. უ. ს. თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ავაქოვს.

საამშენებლო მასალა

თბილისში საბინაო მშენებლობის გაძლიერებასთან დაკავშირებით, თბილისის ალმასკომმა დაადგინა შეაკეთოს და გააფართოვოს საფაბრიკო-მექანიკური ხე-ტყის ქარხანა.

ამასთან ერთად ქარხნის მუშაობის გასაფართოებლად თბილისის ალმასკომმა გადასწყვიტა ქარხნის საბრუნავი თანხა გაადიდოს 98.000 მანეთით.

ქარხანა გაფართოება-შეკეთების შემდეგ დაამზადებს ყოველგვარ ხის სამშენებლო მასალას.

ელექტრო-მექანიკური ქარხანა

თბილისის ალმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა თბ. ელექტრო-მექანიკური ქარხნის გაფართოების გეგმა.

განზრახულია ქარხანა გაფართოებული იქნეს იმ ანგარიშით, რომ მან სავსებით შესძლოს თბილისის ბაზრის დაკმაყოფილება საჭირო მასალებით.

ქარხანა უმთავრესად დაამზადებს ელექტრო-მანქანების ნაწილებს, ელექტრონის უთოებს, ელექტრონის ფეხებს და სხ.

ა.-კ. მებამბეობის კომიტეტის გამგეობის გაფართოებული სხდომა

პირველი თებერვლისათვის თბილისში მოწვეულია ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტის გამგეობის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც მონაწილეობას მიიღებენ მებამბეობის რესპუბლიკანურ კომიტეტების წარმომადგენლები.

სხდომაზე გარჩეული იქნება შემდეგი საკითხები: ბამბის თესლის კამპანიის გეგმა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობა, მოხსენებები ადგილებიდან, 1927—28 წლის საამშენებლო გეგმის შესრულება, ამშენებლობის გეგმა 1928—29 წლისათვის და სხვა.

ა.-კ. მონაწილეობა საერთაშორისო გამოფენებზე

ა.-კ. ვაჭრობის კომისარიატთან არსებულმა საექსპორტო თათბირმა დაადგინა აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო გამოფენებზე — ბაზრობებზე, რომლებიც იმართება ლეიპციგში, ბრიუსელში, პარიზში და მილანში. მზადდება გასაგზავნად თამბაქოს, ჯაგარის, ბეწვეულის, მინერალური წყლების, ხალიჩების, ლითოგრაფიული ქვის, ინფუზორიტის და გლაუბერის მარილის ექსპონატები.

ექსპონატების პირველი პარტია გაიგზავნება თებერვლის პირველ რიცხვებში; ეს ექსპონატები გამოფენილი იქნება ლეიპციგის გამოფენა-ბაზრობაზე, რომელიც მოეწყობა გაზაფხულზე.

სატყეო - ქიმიური ქარხანა ბორჯომში

საქართველოს ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა დაავალა საწარმოო - სავეგმო განყოფილებას და ახალგაზრდობათა კომიტეტს სასწრაფოდ მოამზადონ ახალი სატყეო - ქიმიური ქარხნის პროექტის შესადგენად; ქარხანა აგებული იქნება ბორჯომში.

პურეულის შემოზიდვა

პირველიდან 10 იანვრამდე „ხლებოპროდუქტი"-ს მიერ შემოზიდულია საქართველოში ფქვილი — 3.283.66 ტონა და სიმინდი—66 ტონა; „კავხლები"-ს მიერ — ფქვილი — 264 ტონა, სიმინდი — 511 ტონა და ქვავი — 72 ტონა; „ზაკსოიუზი"-ს მიერ — 430,5 ტონა ფქვილი.

ამ რიგად იანვრის პირველ ათ დღეში შემოზიდულია სულ: ფქვილი (ხორბლის)—3.978,16 ტონა, სიმინდი — 577 ტონა და ქვავი — 72 ტონა.

შეკერილი ტანისამოსი

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის მიერ საქართველოში შემოსაზიდათ გადადებულია 800.000 მანეთის შეკერილი ტანისამოსი. შეკერილ ტანისამოსის მთელი შემოსაზიდი რაოდენობა საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა გაანაწილა კოოპერატიულ ორგანიზაციათა შორის შემდეგნაირად: მუშკოოპს — 400.000 მანეთის, ცეკავშირს—150.000 მან. „ზაკტპო"-ს — 100.000 მან., „ზაკვოენპო"-ს — 100.000 მან. და „აბსოიუზს"—50.000 მან. შეკერილი ტანისამოსი.

თბილისის ალმასკომში

◆ **სამკურნალო მცენარეები.** თბ. ალმასკომმა ჯანმრთელობის განყოფილებას დაავალა საადგილ-მამულო განყოფილებასთან ერთად შეიმუშაოს მაზრაში სამკურნალო მცენარეების გაშენების გეგმა.

◆ **ქალაქის სასაკლაოს დირექტორად** დაინიშნა ამხ. კონჩაკი.

◆ **ვენერიული დისპანსერი** ჯანმრთელობის განყოფილების დადგენილებით იმუშავებს საღამოობითაც.

◆ **მალარიასთან ბრძოლის გასაძლიერებლად** ჯანმრთელობის განყოფილებას წინადადება მიეცა ყარაიაზის რაიონში ჩაატაროს პროფილაქტიური მუშაობა.

◆ **ახალი ამბულატორია.** ჯანმრთელობის განყოფილება სახ. უნივერსიტეტთან აწყობს ამბულატორიას.

◆ **მიწადმოწყობა**, გასულ წელს თბილისის მაზრაში სულ მოწყობილი იქნა 300.705 ჰექტარი მიწა.

◆ **გადამდები სენები.** იანვრის პირველ ნახევარში თბილისში შემჩნეული იქნა ქუნთრუშით დაავადების 54 და ხუნაგით 41 შემთხვევა.

◆ **საექიმო იარაღები.** თბ. ალმასკომის ჯანმრთელობის განყოფილებამ ბერლინში შეიძინა 5.000 მანეთის სადოსტაქრო იარაღები.

მიწსახკომში

◆ **საჩვენებელი საფუტკრე.** სოფ. კიხიში (ქუთ. მაზ.) ამხ. ალ. გეგეჭკორის სახელობის 7 წლედთან საჩვენებელ საფუტკრეს მოსაწყობად მიწსახკომმა გადასდო 500 მანეთი.

◆ **კოოპერატიული სარდაფები.** მიწსახკომმა გადასწყვიტა მეღვინეობის მთავარ რაიონებში მოაწყოს კოოპერატიული სარდაფი.

◆ **სანერგე.** მიწსახკომმა გადასწყვიტა წელს გააშენოს 155 დესეტინაზე ამერიკული ვაზის ახალი სანერგეები რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში.

◆ **ჯიშიან საქონლის მოსაშენებელ სადგურის** მოსაწყობად გუდაურში, კაიშაურის ველზე მიწსახკომმა გადასდო 10.000 მ.

გლეხთა სახლში

◆ **გლეხთა ცენტრალურ სახლში** წელს დამატებით მოეწყობა 50 საწოლი.

◆ **კინო.** გლეხთა სახლის საბჭომ გადასწყვიტა კვირაში სამჯერ სახლში მოაწყოს კინო-სურათების ჩვენება.

◆ **ექსკურსია.** გლეხთა სახლის საბჭომ დაადგინა სისტემატიურად მოაწყოს ჩამოსულ გლეხების ექსკურსია ქალაქში არსებულ სას. სამ. დაწესებულებების დასათვალიერებლად.

◆ **კოოპერატივი.** გლეხთა სახლთან ახლო ხანში მოეწყობა კოოპერატივი.

ჭადრაკი

ტურნირი 1928 წლის პირველობაზე

გუშინ შესდგა ტურნირის მეოთხე ტური, რომლის შედეგები ასეთია:

გოგლიძემ მოუგო **მარტიროსოვს, ხოროკინმა—ჩალუნცევს, დანილოვმა—გასპარიანს, კარაიანმა** მოუგო **კარლინსკის, ტალციკის** და **ებრალიძის** პარტია უშედეგოდ დამთავრდა.

მეხუთე ტური შესდგება პარასკევს.

შემთხვევები

უეცარი სიკვდილი

გუშინ, დილით კომუნალურ ქუჩაზე უეცრად გარდაიცვალა მოქ. ზაქარია ჩუგუნიძე. გვამი გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

ავტომობილის კატასტროფა

გუშინწინ ღამით მეხუთე სამილიციო რაიონში, ლვოვის რიგზე კერძო ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი მიხეილ კონსტანტინეს ძე ბაბუტოვი, დაეჯახა ტრამვაის როონდს № 124. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ მანქანა განზე გადაიწია და გადაბრუნდა. ავტომობილში მსხდომმა პირებმა მოასწრეს გადმოხტომა.

შოფერი ბაბუტოვი მსუბუქად დაშავდა.

როგორც გამოირკვა, შოფერმა როონდის მოახლოვებისას სწრაფად დაამუხრუჭა ავტომობილი; დამუხრუჭების დროს მას სართავი საჭე ხელიდან გაუსხლტა, ავტომობილმა ინერციით განაგრძო გზა, რამაც გამოიწვია დაჯახება.

ხანძარი

გუშინწინ ღამით ლენინის ქ., № 4, მდებარე სამსართულიან სახლს გაუჩნდა ცეცხლი.

სასწრაფოდ გამოიწვიეს ცეცხლის მქრობელი რაზმი, რომელმაც ხანძარი ჩააქრო 15 წუთის განმავლობაში.

ხანძრის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია.

რეციდივისტის დაპატიმრება

უკანასკნელ ხანებში ყაზახის, ზაქათალის და სიღნაღის მაზრებში დათარეშობდა ცნობილი ქურდი - რეციდივისტი იბრიკო მაჭარაშვილი.

მაჭარაშვილი განსაკუთრებით დახელოვნებული იყო საქონლის მოპარვაში.

მრავალჯერ პასუხისგებაშიც იყო მიცემული, მაგრამ სასჯელის მოხდის შემდეგ თავის „მოღვაწეობას" განაგრძობდა.

ა. წ. 9 იანვარს, მაჭარაშვილმა სოფ. ახალგავაზის მცხოვრებ გლეხებს თოძა და ნიკო იმედაშვილს მოჰპარა 20 სული ცხვარი.

სიღნაღის სამაზრო მილიციის მიერ მიღებული ზომებით მაჭარაშვილი დაპატიმრებული იქნა.

ნაპარავი საქონელი ნაპოვნია.

ბავშვის დაკარგვა

ამ რამდენიმე ხნის წინად უგზო - უკვლოდ დაიკარგა ვალიკო ბოჭორიშვილი (11 წლისა) მცხოვრები სოფ. ეონეთში (ქუთაისის მაზრა).

სარკემ გასცა

თბილისის მუშკოოპის პასაჟი სადგურთან ჩვეულებრივად სავსეა მუშტრებით გაცხარებული ვაჭრობაა. ხალხი ფუტკარივით ირევა, ნოქრებიც გართული არიან მუშაობაში.

სწორედ ასეთი გაჩაღებული ვაჭრობა იყო—პასაჟში გუშინწინ, როცა იქ შევიდა ალექსანდრე სტეფანეს ძე თოფურია და პირდაპირ მზა ტანსაცმელების განყოფილებას მიაშურა, შეათვალიერ - შემოათვალიერა მრავლად დაწყობილი და ჩამოკიდული ტანსაცმელი, შემდეგ დრო იხელთა, ერთი პალტო გადაიგდო მკლავზე და გაემართა კარებისაკენ.

როგორ იფიქრებდა ალ. თოფურია, რომ მის „საგმირო საქმეს" იქვე პირდაპირ დადგმული სარკე ასახავდა და დაანახვებდა მუშტრებთან გართულ ნოქარს.

როდესაც ქურდი არხეინად მიუახლოვდა გასავალ კარებს, მას ხელი სტაცეს.

ქურდი სისხლის სამართლის მილიციაში მიაბრძანეს.

თავის დაჭრა

გუშინ, დილით თვითმკვლელობის მიზნით დანით თავი დაიჭრა ალექსანდრე ბალიაშვილმა (მცხ. ყოფ. მეორე ლაზარევის ქ.).

ა. ბალიაშვილი გადაგზავნეს რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში.

როგორც გამოირკვა, მოქ. ბალიაშვილმა დანა გულ-მკერდის არეში დაირტყა სიმთვრალის დროს.

უბედური შემთხვევა

გუშინ, დილით პლეხანოვის პროსპექტზე „ლინეიკა" დაეჯახა მოქ. სოფიო ოსკანოვას, ივანე ოსკანოვს (4 წლისა) და რიფსიმე სიმონიანცს.

სასწრაფოდ გამოიწვიეს სასწრაფო დახმარების ავტომობილი და დაშავებულნი გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში.

სოფიო ოსკანოვას დაკაწრული აქვს პირის სახე. სიმონიანცის ქალმა იღრძო ორივე ფეხი. ივანე ოსკანოვს დაზიანებული აქვს თავი.

ხელოვნება

ქიათურის აკადემიური დრამა

ქიათურის აკადემიური დრამის მუშაობა წელს წარსულ წელთან შედარებით უკეთეს პირობებში მიმდინარეობს. ადგილობრივი ალმასკომი დიდ დახმარებას უწევს თეატრს და ყოველმხრივ ხელს უწყობს სათეატრო საქმის განვითარებას.

სეზონი გაიხსნა გასული წლის 20 ოქტომბერს ა. შანშიაშვილის პიესით „ლატავრა". წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. სეზონის გახსნიდან დღემდე „ლატავრა" დაიდგა ხუთჯერ, „კინტო" ოთხჯერ, „მუნჯი მეზარე" სამჯერ და „ამერიკელი ძია" სამჯერ. დასახელებულ პიესების გარდა რეპერტუარში შეტანილია „საქმი - ქედზე", „ქმარი ხუთი ცოლისა" და „იღრიალე ჩინეთო". დღემდე სულ გაიმართა 23 წარმოდგენა. მათ შორის ერთი უფასოდ, ოთხი კი შეღავათიან ფასებში მაღაროს მუშებისათვის.

ამჟამად ქიათურის აკადემიური დრამა ამზადებს ს. ტრეტიაკოვის პიესას „იღრიალე ჩინეთო". პიესა წავა რეჟისორ ფრანგიშვილის დადგმით და ოხიპენკოს დეკორაციებით. პიესის დადგმა განზრახულია იანვრის ბოლო რიცხვებში.

აკადემიური დრამის დასში შედიან შემდეგი მსახიობები: ქალები: არ. ლოლუა, ელ. სიბილა, თამარ აბაშიძე, ნ. კაკაბაძე, ნ. სიხარულიძე, შურა სიხარულიძე, მ. ტყემალაძე; ვაჟები: ვ. ჩხიკვიძე, ვ. კობელი, ბ. ლეჟავა, ა. ალაზნისპირელი, ქ. აბაკელია, მ. ჯულელი, ს. ლეჟავა, მ. ვაშაძე, ა. თარხან - მოურავი, შ. მეავანაძე, გ. ტყაბლაძე, შ. დარსაველიძე, ალ. ლეჟავა და ზ. ურუშაძე.

დასს ხელმძღვანელობს რეჟისორი პ. ფრანგიშვილი.

უცხოეთის კინო-სურათები თბილისში

საქ. სახკინმრეწვის კინო-სურათების გამქირავებელ კანტორამ ამ დღეებში „სოვკინო"-საგან მიიღო უცხოეთის შემდეგი კინო-სურათები: „ბოქსიორი უნებლიეთ", „სასიკვდილო ნახტომი", „50.000 ფრანკი", „მოჯადოებული კუნძული", „მეორე ქორწინება" და „განკიცხული".

ჩამოტანილ სურათების ჩვენება სახკინმრეწვის კინო-თეატრებში დაიწყება ა.-წ. თებერვლის პირველ რიცხვებიდან.

ქართული დრამა სოხუმში

ვინაიდან ქ. სოხუმში მცხოვრებ ქართველთა შორის აღიძრა მუდმივი ქართული დრამის დაარსების სურვილი, სოხუმის ალმასკომის თავმჯდომარემ მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტში არ იყო გათვალისწინებული ქართული დრამის ხარჯთაღრიცხვა, მაინც გადასდო ამ საქმისთვის ალმასკომის საშუალებებიდან 1.500 მანეთი.

ამ საქმის მოსაგვარებლად თბილისში ჩამოვიდა სოხუმის ალმასკომის რწმუნებული ვლ. ნუცუბიძე, რომელსაც დავალებული აქვს მიიწვიოს სოხუმის ქართული დრამისათვის ერთი ხელმძღვანელი და ორი მსახიობი ქალი.

ვინაიდან სოხუმის ალმასკომის მიერ გადადებული თანხა საკმარისი არ არის საქმის სათანადო ნიადაგზე დასაყენებლად, ვ. ნუცუბიძემ მიმართა საქ. სხვადასხვა ორგანიზაციებს ფინანსიური დახმარებისათვის.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **„არწივთა აჯანყება".** ოპერის თეატრში დღეს წარმოდგენილი იქნება „არწივთა აჯანყება".

◆ **რუსთაველის თეატრში** დღეს გაიმართება სომეხ პოეტის ვაგან თერიანის ხსოვნის საღამო.

◆ **მოძრავი თეატრი.** ხელოვნების განყოფილებამ გადასწყვიტა მოაწყოს მოძრავი თეატრი.

◆ **კონცერტი.** 20 იანვარს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება ლ. ჩიკვაიძის და ვ. ჭაბუკიანის კონცერტი.

ახალი წიგნები. გამოვიდა სეზმან ერთაწმინდელის წიგნი: „რევაგიტ-სატირა" სამხატვრო წრეებისათვის. გამოცემა სახელგამის და პიესათა კრებული სოფლის თეატრებისათვის „სოფლის გარიჟრაჟზე".

◆ **„კონსერვატორიის დარბაზში** 20 იანვარს გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი.

◆ **ახალი რომანი.** პროლეტ-მწერალმა ვასილ მახარაძემ (ბათომი) დასწერა სამ ნაწილიანი რომანი „მთვარის პირდაპირ", რომელიც დაიბეჭდება ახლო მომავალში.

სასამართლო

„უხვად გასცემდა" შაქარსა...

ეს გახლავთ მოქ. მიხეილ ნაბახტიანი.

კაცი აღჭურვილი უდიდესი ნდობით, დაწინაურებული სამეურნეო დარგში.. შაქრის ტრესტის თბილისის განყოფილების № 1 ფარდულის გამგე.

ჩვენს მკითხველებს, ალბად, ახსოვს მისი „საგმირო საქმე".

ინტერესს მოკლებული არ იქნება, თუ კიდევ თვალს გადავავლებთ მის „მოღვაწეობას".

ჯერ შევეხოთ მის ფუნქციებს.

დაინიშნა თუ არა ფარდულის გამგედ, მას მიეცა სათანადო ინსტრუქცია და დაინიშნა თანაშემწედ გამოცდილი მუშაკი. მეორე დღესვე მოვიდა მიმართვა, რომ არავითარ შემთხვევაში შაქარი არ იქნეს გაცემული ნისიად და რომ კერძო ვაჭრებს მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებების დაკმაყოფილების შემდეგ შეიძლება მიეცეს ნაღდ ფულზე შაქარი, ისიც განსაზღვრული რაოდენობით.

დაიწყო ნაბახტიანმა მუშაობა 1925 წლის 11 დეკემბრიდან.

მიდიოდა დრო. კერძო ვაჭრები „ფიცულობდნენ მიხეილის მზეს".

— რა კაცია! კაცი კი არა „შაქარია"... ჩემმა მზემ! გაკოტრების გზაზე ვიყავი. სწორედ სულზე მომისწრო, თორემ ჩემს დუქანზე ეხლა ლუქი იქნებოდა მიკრული, ლაპარაკობდენ კერძო ვაჭრები.

რითი „მოინადირა" მიხეილ ნაბახტიანმა კერძო ვაჭრების გული?

ამის პასუხს გვაძლევს სარევიზიო კომისიის მუშაობის შედეგი.

დაიწყო მითქმა-მოთქმა, რომ ნაბახტიანი კერძო ვაჭრებს „სწყალობს", უხვად აძლევს შაქარს ნისიად და სხვ.

შაქრის ტრესტის განყოფილების გამგეობამ დანიშნა რევიზია.

ეს უკვე ხდება 1926 წლის ივლისში.

სარევიზიო კომისიამ გადაშალა დავთრები, შემოწმა მიღებული და გაცემული საქონლის ნუსხა და ნახა, რომ რამდენიმე ათეული ათასი მანეთის შაქარი არსად ჩანს.

— სად არის ამოდენა შაქარი?—ეკითხებიან გამგეს.

— ნისიად მაქვს გაცემული,—უპასუხებს ნაბახტიანი.

— რატომ წიგნებში არ გაქვს გატარებული?

— აგერ მიწერია სულ ყველაფერი უბის წიგნაკში,—ნაბახტიანმა ამოიღო უბიდან ქაღალდის ნაფლეთები. დაქექილ ყდაში ჩადებული.

— აბა წაგვიკითხეთ!

— .. მიხოზე 20 ტომარი შაქარი... სარქისზე—10 ტომარი, სედრაკზე—5 ტომარი...

— მოითმინეთ, ამ ხალხს გვარები არ აქვთ?

— გვარები არ მახსოვს, მართალი გითხრათ, ისე თუ შევხვდი, ვიცნობ უსათუოდ... კარგადაც ვიცნობ.

თურმე, ნაბახტიანი კერძო ვაჭარს არა თუ ხელწერილს არ ართმევდა შაქრის ნისიად მიცემის დროს, არამედ გვარსაც არ კითხულობდა, იმდენად „კეთილი გულის" კაცი იყო.

ზოგიერთმა ვაჭრებმა „ისინდისეს" და გაანაღდეს ნისია...

ასეთი „ხელგაშლილობით" ნაბახტიანმა კერძო ვაჭრებს „გადააყოლა" 4292 მანეთის შაქარი.

რა სთქვა სასამართლოში ნაბახტიანმა?

— მე ვერ ვერკვეოდი შაქრის ოპერაციებში... ეხლა კი ვხედავ, რომ ჩემი გამოუცდელობის მსხვერპლი გავხდი.

— მართალია, შაქრის ნისიად გაცემის უფლება არ მქონდა, მაგრამ კერძო ვაჭრებს მე ვატყუებდი და გაფუჭებულ შაქარს ვაძლევდი ნისიად. ამისათვის მე მადლობასაც მეტყოდნენ მეგონა... ეხლა რაღა უნდა ვსთქვა...

სასამართლოში მოწმეების ჩვენებით დადასტურდა, რომ ნაბახტიანს ისე მჭიდრო კავშირი ჰქონდა კერძო ვაჭრებთან, რომ როცა საქმე წახდა და დანაკლისის დაფარვა მოსთხოვეს, კერძო ვაჭრებს გამოართვა ნაბახტიანმა ფული და დანაკლისის ნაწილი მით დაფარა.

სამაგიეროდ ვაჭრებს აღუთქვა, რომ ისევ წინანდებურად უხვად მისცემდა შაქარს „იაფად და ნისიად"..

საბედნიეროდ ეს დაპირება ველარ შეუსრულა მათ, რადგან გამასწორებელ სახლში ამოჰყო თავი.

სასამართლომ მიხეილ ნაბახტიანს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით და ერთი თვით, სასტიკი იზოლიაციით. ამნისტიის ძალით სასჯელი გაუნახევრდა.

ნაბახტიანს ეკისრება აგრეთვე 4292 მანეთის გადახდა შაქრის ტრესტის სასარგებლოდ.

ზერ.

რკინისგზაზე

კომისიის გამგზავრება

უკანასკნელ ხანებში ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე ისევ გახშირდა მატარებლების დაჯახება და სხვადასხვაგვარი შემთხვევები. ასეთი მოვლენების მიზეზების გამოსარკვევად გუშინ რკინის გზის აღმოსავლეთ უბნების ხაზზე გაემგზავრა მთავრობის კომისია.

კომისიაში შედიან: ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის თავმჯდომარე **ამხ. ივანოვი**, საგზაო-სატრანსპორტო სახელმწ. პოლიტსამმართველოს უფროსი **ამხ. ქავთარაძე**, ა.-კ. რკინის გზ. მუშათა და გლეხთა ინსპექციიდან **ამხ. ავაქიანი**, ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირიდან **ამხ. აბდულაევი** და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ქვაბები უცხოეთიდან

ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოში მიღებულ ცნობებით, დღეს ბათომში მოელიან გემ „კარლ მარქსს", რომელიც უცხოეთიდან მოიტანს შვიდ ორთქლის ქვაბს „კასპარი"-ს გემებისათვის.

ა.-კ. რკ. გზ. გამგეობის მიერ მიღებულია ზომები ქვაბების თავის დროზე გადასატანად ბაქოში.

გატყდა ღერძი

ყარაბულახ-ქიურდამირის შუა მიმავალ სახალხო მატარებლის № 3 ორთქლმავალს გაუტყდა ღერძი.

უბედურ შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

დაჯახება

16 იანვარს ბაქოს ხაზის მე-562 კილომეტრზე მდებარე პატარა სადგურზე („რაზიეზდ-ზე") იქ მდგომ ორ, რელსებით დატვირთულ ვაგონს, აბამდენ ორთქლმავალს.

მიბმის დროს ორთქლმავალი მძლავრად დაეჯახა ვაგონებს, გადამბმელმა ვერ მოასწრო გადაბმა და ვაგონები დაექანენ დაღმართზე, სადგ. კიურაჩაისაკენ. შემთხვევით გზა სადგურამდე თავისუფალი აღმოჩნდა.

ამის შესახებ მაშინვე ეცნობა სადგ. კიურაჩაის. სადგურის ყველა ხაზები დაკავებული აღმოჩნდა წინად მოსულ მატარებლით. ამის გამო სადგურის უფროსი იძულებული იყო ვაგონები მიეღო დაკავებულ ხაზზე.

როგორც მოსალოდნელი იყო, მოხდა დაჯახება. დაჯახების გამო სრულიად დაიმსხვრა ერთი ბამბით დატვირთული ვაგონი, ერთი რელსებით დატვირთული ვაგონი და ერთი ღია ვაგონი. ვაგონების ნამსხვრევებმა დაიკავეს ერთი ხაზი.

მოძრაობა არ შეწყვეტილა. გასაწმენდად განჯიდან შემთხვევის ადგილზე გაგზავნეს დამხმარე მატარებელი.

ბიბლიოგრაფია

ი. ავალიშვილი.—ბალანსის ანალიზი

გვ. 108. ფასი 1 მან. 50 კაპ.

როგორც ავტორი აღნიშნავს თავის წინასიტყვაობაში, „წიგნი მიზნად ისახავს გამოქვეყნებული ბალანსების გამოკვლევით მეურნეობის მდგომარეობის კრიტიკულად შეფასებას". პირველი ნაწილი შეიცავს საერთო ცნობებს ბალანსების შესახებ, მეორე და მესამე ნაწილში ბალანსის ანალიზი, ხოლო მეოთხე ნაწილში ამოცანები და მათი გადაწყვეტა.

ბალანსმცოდნეობის კითხვების გარჩევის დროს ადგილი აქვს ზოგიერთ გაუგებრობას, რასაც შეცდომაში შეუძლია შეიყვანოს მკითხველი. „ბალანსის აქტივის შემადგენელი საშუალებების სახელწოდება სავსებით უნდა ეთანხმებოდეს მთავარი დავთრის ანგარიშების სახელწოდებას". (გვ. 13) სრულებით არ არის ეს სავალდებულო: ბალანსი შეიძლება უდავთროებოდაც შესდგეს, და გარდა ამისა რატომ მაინცა და მაინც აქტივის მუხლები უნდა ეთანხმებოდეს და პასივის კი არა!?

„აქტივში მუხლები უნდა მოყვანილ იქნას მათი ფულად უმალ გადაქცევის შეძლეობის მიხედვით" (გვ. 13) ეს არ არის სწორი. ჩვენი საბალანსო კანონმდებლობა სულ სხვაგვარ ნომენკლატურას მოითხოვს ჩვენი სახელმწიფო, სამეურნეო ორგანიზაციებისაგან პირიქით, ჯერ დასახელებულია მეურნეობის ძირითადი ქონება, შედარებით უფრო ძნელად სარეალიზაციო.

„ბალანსის მუხლების რაოდენობა უნდა ეთანხმებოდეს მთავარი დავთრის ანგარიშების რაოდენობას და შეუძლებელია რამდენიმე მუხლის შეერთება, ან დანაწილება მათი" (გვ. 13) სრულიად გაუგებარი მოთხოვნილება არის! მთავარ დავთარში აუარება საოპერაციო და გარდამავალ ანგარიშებს აქვს ადგილი, რომლებიც წლის ბოლომდე იხურება ეს დებულება ამტკიცებს თუ რამდენად დაშორებულია ავტორი ამ საქმის როგორც თეორიიდან, აგრეთვე პრაქტიკიდანაც.

საკუთარ საშუალებებს ასე ანაწილებს ავტორი „ძირითადი, სათადარიგო და წმინდა მოგება" (გვ. 20.) ეტყობა ყოველგვარი ფონდი და რეზერვი სათადარიგოთ აქვს წარმოდგენილი, რაც სიმართლეს არ ეთანხმება. გარდა ამისა არც ძირითადი თანხის ხმარება შეიძლება განუმარტავად. ჩვენს სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციებში, მაგალითად, ძირითად კაპიტალს უწოდებენ უძრავ-მოძრავ ქონებაში მოთავსებულ თანხას მხოლოდ საკუთარ და ნასესხებს შორის შეფარდება მეტად პირობითია და ავტორის მიერ ნაჩვენები ნორმები სინამდვილეს არ გამოხატავს.

„ეკონომიური პრინციპი „ნაკლები ენერგიის დახარჯვით, მეტი მოგების მიღება", ავტორს სრულიად უადგილოთ აქვს ნახმარი (გვ. 39). დებულება „რათა მოგება უეჭველი იყოს, ის არ უნდა იყოს დაკავშირებული გამბედაობასთანო" არაფერს არ გვასწავლის; ყოველგვარი სამეურნეო ოპერაცია გაბედაობასთან არის დაკავშირებული. ამ დებულებით სამეურნეო საქმიანობაში შორს ვერ წავალთ.

„დებიტორებისა და თამასუქების დიდი ჯამი იძლევა მოგების დიდ იმედს (გვ 40). სრულიად გაუგებარი აზრია. ჩვენ რომ დიდ თანხა გვქონდეს გაცემული დებიტორებზე, რომელი დიდი მოგების იმედებზე შეიძლება აქ ლაპარაკი!?

წიგნის მესამე ნაწილი სავსეა მათემატიკური ფორმულებით, რასაც არავითარი სარგებლის მოტანა არ შეუძლია არც სამეურნეო მუშაკისათვის, და არც ბუხჰალტერიისათვის რადგან ეს ფორმულები მათთვის გაუგებარია-ფორმულები ამოღებულია რუდანოვსკის „ბალანსის ანალიზიდან". მაგრამ თუ აღნიშნულ ფორმულებს შეიძლება ჰქონდეს ადგილი რუდანოვსკის ბალანსის ანალიზის 800 გვერდიან წიგნში, ავალიშვილის პატარა წიგნაკში ის გაუგებარსა და უადგილო ნაწყვეტებს წარმოადგენს.

მსჯელობა მოდიფიკაციისა და პერმუტაციის შესახებ (გვ. 66—67). ავტორს ამოღებული აქვს რუდანოვსკის „ბალანსის ანალიზიდან", მაგრამ ვერ შეუნიშნავს, რომ რუდანოვსკი ამ თერმინებს პირობით შინაარსს აძლევს. ჩვენი ავტორი ურევს ერთმანეთში საერთოდ მიღებულ შეხედულებას მოდიფიკაცია—პერმუტაციაზე და რუდანოვსკის მიერ თავისი წიგნის 190 გვერდზე მოყვანილ თერმინებს.

ასევე მოსდის ავტორს სტატიკა-დინამიკის შესახებაც. რუდანოვსკი ამ თერმინებსაც პირობით ხმარობს. ამხ. ავალიშვილი კი სრულიად განუმარტავად ღებულობს რუდანოვსკის დებულებას (გვ. 69) და აწოდებს მკითხველს.

ენის მხრით წიგნი მოიკოჭლებს. ხშირად ისეთ გამოთქმებსა და სიტყვათა წყობას აქვს ადგილი, რომ მკითხველს უძნელდება აზრის გაგება.

ა. ი—ლი

რა წიგნებია გამოცემული ქართულ ენაზე ლენინისა და ლენინიზმის შესახებ

1. **ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვ ლენინი.** ს. 3. ქ. საბჭოს გამოცემა. 1924.
2. **ლენინი, ნ.** 1870—1924. გამოც. „წითელი წიგნი"-ს. 1924. გვ. 147.
3. **ბუხარინი, ნ.** რევოლიუციონური თეორეტიკოსი. სახელგამი. 1924. გვ. 15.
4. **გორკი, მ.** ვლადიმერ ილიას ძე ლენინი. სახელგამი 1924. გვ. 19.
5. **ემელიანოვი, ნ.** საიდუმლო ფარდული. სახელგამი 1924. გვ. 15.
6. **ზინოვიევი, გ.** ვ. ი. ლენინი, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. გამოც. ც. კ. 1924. გვ. 34
7. **ზინოვიევი, გ.** ვ. ი. ლენინი. მოკლე ბიოგრაფიული მიმოხილვა. სახელგამი. 1924. გვ. 57.
8. **ზინოვიევი, გ.** ლენინის შესახებ. ც. კ. გამოც. 1924. გვ. 52.
9. **ზორინი, ს.** რას შეიძლება ნიშნავდეს ლენინი. სახელგამი. 1924. გვ. 19.
10. **იაკუბოვსკი, გ.** რევოლუციის გენიოსი. სახელგამი. 1924. გვ. 10.
11. **კამენევი, ლ. ბ.** ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, მისი ცხოვრება და მოღვაწეობის მიმოხილვა. გამოც. „ზაკკნიგა".
12. **კანატჩიკოვი, ს.** მუშათა და გლეხთა კავშირის ბრძოლის სადარაჯოზე. სახელგამი. 1924. გვ. 15.
13. **კარპინსკი, გ.** გლეხობის პროლეტარული ბელადი. სახელგამი. 1924. გვ. 15.
14. **კოლცოვი, მ.** ადამიანი მიმავლიდან. სახელგამი. 1924. გვ. 15.
15. **კოლცოვი, მ.** უკანასკნელი მგზავრობა. სახელგამი. 1924. გვ. 11.
16. **ლენინის საათი სკოლაში.** შრომის სკოლის მოწაფეთათვის საკითხავი წიგნი. თარგმ. ი. ნ.-ისა. ა.ს.ც.ს.ა.მ. სალ-სამხედრო სექციის რედ. სახელგამი. 1925. გვ. 132.
17. **ლეპეშინსკი, პ.** ვ. ი. ლენინი ციხეში და გადასახლებაში. გამოცემა რემედასის სრ. საქართველოს განყ. 1924. გვ. 13.
18. **ლილინა, ზ.** ლენინი როგორც ადამიანი. სახელგამი. 1924. გვ. 22.
19. **ლილინა, ზ.** ჩვენი მასწავლებელი ლენინი. საბავშვო წიგნაკი. სახელგამი. 1924. გვ. 25
20. **ლუნდბერგ, ევგ.** ლენინი და ლეგენდა. 1924. გვ. 29.
21. **მარტინოვი, ა.** პროლეტართა დიდი ბელადი. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრ. კომიტ. გამოც. 1924. გვ. 25.
22. **ნევსკი, ვ. ი.** ვლადიმერ ილიას ძე ლენინი (ულიანოვი) პოლიტგან. მთავარმართვ. გამოც. 1924. გვ. 59.
23. **ნევსკი, ვ.** ნ. ლენინი. სახელგამი 1921. გვ. 32.
24. **პოპოვი, ნ. ნ.** და **იაკოვლევი.** ლენინის ცხოვრება და ლენინიზმი. ცენტრ. კომიტ. გამოცემა. 1924. გვ. 85.
25. **პრეობრაჟენსკი, ე.** ლენინიზმი. სახელგამი. 1924. გვ. 17.
26. **რადეკი, კ.** ლენინის შესახებ. ც. კ. გამოცემა. 1924. გვ. 79.
27. **რადეკი, კ.** რევოლიუციონური ბელადი. სახელგამი. 1924. გვ. 22.
28. **სობოლევი, იური.** ლენინი და თანამედროვენი. სახელგამი. 1924. გვ. 14.
29. **სოსნოვსკი, ლ.** ილიჩი—ლენინი. სახელგამი. 1924. გვ. 16.
30. **სტალინი, ი.** ლენინი და ლენინიზმი. ის. თალაკვაძის რედაქციით. სახელგამი. ქუთაისი 1925. გვ. 203.
31. **ხოდოროვსკი, ი.** ვ. ი. ლენინი. მშრომელთა დიადი ბელადი და მასწავლებელი (1870—1924). ს.ს.ს.რ. პოლიტგ. მთავარმმართველობის გამოცემა. 1924. გვ. 45.
33. ლენინი (ულიანოვი) ვლადიმერ ილიას ძე ს.პ.კ. საბჭოს გამოც. 1924. გვ. 322.
34. **ლენინი, ნ. (ულიანოვი)** თხზულებანი. სახელგამი. 1924. ტ. 18 პროლეტარიატი ხელისუფლების სათავეში გვ.753.
35. **ლენინი, ნ. (ვ. ულიანოვი)** თხზულებანი სახელგამი. 1924. ტ. 14. 1917 წლ. ბურჟუაზ. რევოლ. ნ. I. თებერვლის რევოლიუციიდან ივლისის დღეებამდე. გვ. 470.
36. **ლენინი, ნ. (ულიანოვი, ვ.)** ს.ს.რ. სახელმწიფო გამოც. თბ. 1923. ეროვნული საკითხი. წერილების, თეზისების და სიტყვათა კრებული. (1910—1920). გვ. 358.
37. **ლენინი, ნ.** 1905 რჩეული წერილები და სიტყვები. გამ. „ზაკკნიგა"-სი 1926. გვ. 48.
38. **ლენინი, ნ. (ვ. ულიანოვი).** იმპერიალიზმი, როგორც უახლოესი ეტაპი კაპიტალიზმისა. (პოპულიარ. ნარკვევი), გამოცემა ს.კ.პ. ცენტრალურ კომიტ. 1923.
39. **ლენინი, ნ.** კარლ მარქსი. მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი მარქსიზმის გადმოცემით. ცენტრალურ კომიტეტის გამოცემა. 1923. გვ. 42.
40. **ლენინი, ნ.** „მემარცხენეობის" საყმაწვილო სენი კომუნიზმში. სახელგამი. 1924 გვ. 104.
41. **ლენინი, ნ.** მზადება ოქტომბრისათვის. წერილები და სიტყვები I. ბოლშევიკებმა უნდა აიღონ ძალა-უფლება ხელში. 2. მარქსიზმი და აჯანყება. 3. კრიზისი მომწიფდა. 4. წერილი რ.ს.დ.მ.პ. (ბ) პ. კ. დამ. კ. 5. ლოზუნგის შესახებ „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს". 6. გარეშეს რჩევა. 7. წერილი ამხანაგებს. სახელგამი. 1927. გვ. 96.
42. **ლენინი, ნ.** ოქტომბრის შეფასება. წერილები და სიტყვები: 1. ჩვენი რევოლუციისათვის. 2. ოქტომბრის შესახებ. სახელგამი 1927. გვ. 23.
43. **ლენინი, ნ.** ოქტომბრისაკენ. წერილები: 1 პროლეტარიატის ამოცანები მიმდინარე რევოლიუციაში. 2. ლოზუნგებისათვის. 3. მუშები და გლეხები. 4. შენიშვნები. სახელგამი. 1927. გვ. 53.
44. **ლენინი, ნ.** სასურსათო გადასახადის შესახებ. სახელგამი. 1924 გვ. 68.
45. **ლენინი, ნ.** უკანასკნელი წერილები. ც. კ. გამ. 1924. გვ. 47.
46. **ლენინი, ნ.** ქალთა საკითხის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემა. 1924 გვ. 34.
47. **ლენინი, ნ.** წერილები და სიტყვები პარტიული აღმშენებლობის საკითხებზე. სახელგამი. 1924. გვ. 170.
48. **ლენინი, ნ.** წერილები და სიტყვები პროფმოძრაობის საკითხების შესახებ. გამ. „შრომა"-სი. 1926. გვ. 431.
49. **ლენინი, ტროცკისა და ტროცკიზმის შესახებ.** ოლმინსკის წინასიტყვაობით. სახელგამი. 1927. გვ. 214.
50. **ლენინიზმი თუ ტროცკიზმი.** „ოქტომბრის გაკვეთილების" შესახებ. გამ. „საბჭოთა კავკასიონი" 1925. გვ. 269.
51. ლენინიზმი ლოზუნგებში. გამ. „მნათობი" 1924. გვ. 35.
52. ლენინიზმის შესასწავლი მასალებისა და პროგრამების კრებული. გამ. „მნათობი" 1924. გვ. 153.

ს. ლ—ი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ბიბლიოთეკა

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სახელმწიფო ორგანოთა, დაწესებულებათა და საწარმოოთა ქონების ცეცხლისაგან დაზღვევის შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სახელმწიფო ორგანოს, დაწესებულებისა და საწარმოს ყოველი ქონება მისი სრული ღირებულებით დაზღვეულ უნდა იქნეს ცეცხლისაგან სახელმწიფო დაზღვევის ორგანოში ნებაყოფლობით დაზღვევის წესების მიხედვით.

შენიშვნა: იმ ქონებაზე, რაც დაზღვეულ უნდა იქნეს სავალდებულო არასაგადანაკვეთო დაზღვევის წესით, დადგენილება ეს არ გავრცელდება.

2. ყველა სახელმწიფო ორგანო, დაწესებულება და საწარმო მოვალეა, არა უგვიანეს ორი თვისა ამა დადგენილების გამოცემის დღიდან, დააზღვიოს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოში ყოველი 1-ლი მუხლის თანახმად. დასაზღვევი ქონება შემდეგი პირობებით:

ა) სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს პასუხისმგებლობა მის მიერ, ამა დადგენილების მიხედვით, მიღებული დაზღვევისათვის, უკეთუ დამზღვეველის განცხადებაში აღნიშნული არ არის უფრო გვიანი ვადა, დაიწყება იმ დღის 12 საათიდან, რა დღესაც სახელმწიფო დაზღვევის ადგილობრივი საქართველოს კონტორის საოპერაციო განყოფილება მიიღებს აღნიშნულ განცხადებას, თუ ეს განცხადება მიღებულია 15 საათამდე, და შემდეგი დღის 12 საათიდან, თუ იგი მიღებულია 15 საათის შემდეგ;

ბ) შეტანილ განცხადებაში აღნიშნულ უნდა იყოს ყველა დაწვრილებითი და ზედმიწევნითი ცნობა დასაზღვევი ქონების შესახებ რაც გათვალისწინებულია „დაზღვევის წესებით".

გ) ისეთი საქონლის დაზღვევისათვის, რაც დამზღვეველს ეკუთვნის ან მის განკარგულებაშია და დაიზღვევება ამა დადგენილების ძალით, დრო იანგარიშება „pro-rafa" დღეობით, იმ პირობით, რომ 15 დღეზე ნაკლები ვადით დაზღვევისათვის პრემია გადახდევინებულ იქნება 15 დღისათვის წლიური პრემიის ერთი მეოცდამეოთხედი.

დ) სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს ხვედრი პრემია დაზღვევისათვის და სალერბო გამოსაღები დამზღვეველმა უნდა გადაიხადოს სადაზღვეო ქვითარების წარდგენისთანავე დაუყოვნებლივ, ან, უკეთუ პრემიის გადახდის ვადა განაწილებულია, ანგარიშის წარდგენისთანავე. უკეთუ გადახდილ არ იქნება პირველი საპრემიო შესატანი, დაზღვევა არაშემდგარად ჩაითვლება; ხოლო, უკეთუ გადახდილ არ იქნება ვადაგანაწილებული პრემია, სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს პასუხისმგებლობა ავტომატიურად შესწყდება იმ დღის 12 საათიდან, რა დღესაც დანიშნული იყო მორიგი გადასახადის შეტანა და განახლება მორიგი გადასახადის შეტანის მომენტიდან; ამ მორიგი გადასახადის შეტანა შეიძლება მოხდეს დაზღვევის ვადის ბოლომდე; ამასთანავე ქვითარით განსაზღვრულ დაზღვევის ვადის ბოლო, აგრეთვე ქვითარში აღნიშნული ვადაგანაწილებული პრემიის გადახდის ვადები არავითარ შემთხვევაში არ შეიცვლება, ხოლო გადახდილი პრემია არც დაიბრუნება, არც სხვა დაზღვევაში გაიბრება.

3. ა) როდესაც სამრეწველო საწარმო (რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ტრესტი) აზღვევს თავის ქონებას აქა დადგენილების საფუძველზე და პრემიას იხდის ქვემო აღნიშნული რაოდენობით, სახელმწიფო დაზღვევის ორგანო გადასდებს დამზღვეველი საწარმოს სასარგებლოდ, ამ საწარმოში ხანძარისაგან დაცვის ღონისძიებათა მოსაწყობად და გასაუმჯობესებლად, განსაკუთრებულ დასაბრუნებელ საპრემიო ანარიცხს გადახდილი პრემიის 7 ნახ. პროცენტის რაოდენობით, უკეთუ წლიური პრემიის თანხა 12.000 მანეთზე ნაკლები არ იქნება; ხოლო, უკეთუ წლიური პრემია 20.000 მან. მიაღწევს, განსაკუთრებული დასაბრუნებელი საპრემიო ანარიცხი გადაიდება 10 პროცენტის რაოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა დანარჩენი სამრეწველო საწარმო თავისი დასაზღვევი ქონების დაზღვევისათვის იხდის ისეთ პრემიას, რომლის წლიური რაოდენობაც ამა მუხლის „ა" პუნ. აღნიშნულ თანხას ვერ აღწევს, აგრეთვე კომუნალური ქონებისა და ყოველგვარი სხვა სამრეწველოსათის ქონების დაზღვევისათვის, ანარიცხი პრემიების საერთო თანხისა, რაც ამა მუხლში აღნიშნულ ქონებათა (ე. ი. ამა მუხლის „ა" პუნქტში დასახელებულ ქონებათა ჩაუთვლელად) დაზღვევით შევა, გადაეცემა საქართველოს ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის განკარგულებაში „ა" პუნქტში აღნიშნული რაოდენობით.

4. ამა დადგენილების მე-3 მუხლის „ა" პუნქტში აღნიშნული განსაკუთრებული დასაბრუნებელი საპრემიო თანხები მიეცემა ამა თუ იმ სამრეწველო საწარმოს მას შემდეგ, როდესაც იგი შეუთანხმებს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს ხანძრისაგან დაცვისათვის საჭირო მოწყობილობის ხარჯთაღრიცხვას.

ხოლო მე-3 მუხლის „ბ" პუნქტის თანახმად გადასარიცხი განსაკუთრებული დასაბრუნებელი საპრემიო თანხები განაწილებულ იქნება უშუალოდ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ. საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით, ქონების დამზღვეველ სამრეწველო საწარმოთა შორის.

შენიშვნა: სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს უფლება აქვს შეამოწმოს, რამდენად სისწორით და სათანადოდ იხარჯება მის მიერ გაცემული თანხები და მოითხოვოს ამ თანხების უკანვე დაბრუნება, უკეთუ ხარჯთაღრიცხვაში აღნიშნული ღონისძიებანი განხორციელებული არ იქნებიან ნახევარი წლის განმავლობაში ფულის გაცემის შემდეგ.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის თან. მოვ. აღმასრ.
ალ. გეგეჭკორი.

საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თან. აღმასრ.
ს. სტეფანოვი.

1927 წ. ნოემბრის 4.
თბილისი—სასახლე.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 18 იანვარი

დღეს, 18 იანვარს, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ რადიო - სტუდიიდან გადაცემული იქნება:

ჯანსახკომის მოხსენება: პირისა და კბილების მოვლა — რუსულ ენაზე.

წითელი არმიის პოლიტსამმართველოს მოხსენება: წითელი არმიის ორგანიზაცია — ქართულ ენაზე.

იგივე მოხსენება — რუსულ ენაზე.

საუბარი რადიო - ტეხნიკაზე — ქართულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე — ქართულ ენაზე.

ლენინური ხაზის გატარება სამეურნეო პოლიტიკაში — სომხურ ენაზე.

კონცერტი ანდა ტრანსლიაცია.

ობსერვატორიის ცნობა — რუსულ და ქართულ ენებზე.

ა-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია—რუსულ და ქართულ ენებზე.

პასუხები რადიო - მოყვარულთა წერილებზე.

პარტიული კალენდარი

— **დღეს, 18 იანვარს, საღამოს 6 საათზე ქალაქის ალმასკომის შენობაში შესდგება ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების ქალაქის საბჭოს გაფართოებულ პლენუმის სხდომა, ხსენებულ საზოგადოების შეფაქტივისა, სარევიზიო კომისიისა და ბიუროს წევრების მონაწილეობით.**

ქალაქისა და სოფლის კავშირის საზოგადოების უჯრედების თავმჯდომარეებს ევალებათ მიიღონ ზომები ყველა წევრთა დასასწრებლად ხსენებულ პლენუმზე.

— **საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი** წითელ კუთხეებსა და მუშათა კლუბებში ლენინის კვირეულის ჩასატარებლად საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებას ამაგრებს და მომხსენებლებად გზავნის შემდეგ ამხანაგებს: პაკერმანი; ტალახაძე; აღნიაშვილი; რახმანი; პოლოსოვი; ალი შირვანსკი; ვარძიელი; სოსიანი; ვინტინი; ტარასოვი; მთვარელიძე; ლისოვსკი; გ. სააკიანი; ზაზაჯანოვი; ტ. ბეჟანოვი; ბიდია; ბუდილევი; იმედაძე; ბუკრეევი; სუტირინი; გოდაბრელიძე; ვანო სტურუა; მხითარიანი, პისეცკი; აფციაური და ბაგიროვი.

მოულოდნელი უბედურებით თავზარდაცემულნი და გულდათუთქულნი მეუღლე პელაგია როსტომის ასული, შვილები ნიკოლოზი და თამარი, სიძე ივანე ზოსიმეს ძე ხუბულავა, შვილის შვილი პატარა ბაჭიკო, ძმა პ ატი იოსების ძე მეუღლით სოფიო ბესარიონის ასული დეიდა თებრონე ზაალის ასული ყიფიანისა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს უსაყვარლესი და მარად დაუვიწყარი, ს.მ.უ.ს.-ის ახალშენებათა კომიტეტის აგრონომის

ლევან იოსების-ძე გოგნიაშვილის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 6 საათზე 19 თებერვლის ქუჩა № 12 გამოსვენება ხვალ 19 იანვარს დღის 3 ნახ. საათზე იქიდანვე. (შ)



მოითხოვეთ ახალი წიგნები.

ი. ქარციძე და ბ. წულეისკირი—ქართული ენა არა ქართველთათვის (სახელმძღვანელო არაქართულ ცხრაწლედებისა და მუშფაკებისათვის) გვ. 436 ფასი 2 მან.

ეკ. დიდია და ნ. ლაზარიშვილი —„ჩვენი შრომა". სახელ. გვ. 247, ფასი 1 მან. 50 კაპ.

მასწავლებელთა ჯგუფი—„შრომა და ცოდნა" (სახელმძღვანელო შრ. სკოლის მეორე ჯგუფისათვის), გვ. 280, ფასი 1 მან. 50 კაპ.

ნ. 429
25—11

აპოლო | სოლეი | არტისტო | დარბაზი

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი სურათი
მთის კანონი
დადგმა რეჟისორ ბ. მიხინი ოპერატორი—ა. პოლიკევიჩი
მთავარ როლებში: (ცნობილ სურათის „აბრეკ ზაური"-ის გმირი) დამსახ. მსახ. ვ. გუნია, ვ. ზეხაშაევი ნ. ხანოვი, ნ. განტარინი, ა. სემიონოვი, გამრეკელი, ანდრონიკოვა-კახიძე და სხვ.

უკანასკ. თბილ. მოსკოვში გაგზავნის წინ
ვარიეტე
მთ. როლებში ლია-დე-პუტი. ემილ იანინგსი
მალე: გარი პილ სუ'ი.
უთაო მხედარი

ამ.-კავკასიის ს. ფ. ს. რ. რკინის გზის
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ 1928 წ. 23 იანვარს დილის 10 საათ.
თბილისის სალიკვიდაციო საწყობში
(გორის ქუჩა № 34)
სააუქციონო ვაჭრობით
გაიყიდება
ა/კავ. რკ. გზ. სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთი და ბარგი ს. ს. რ. კ. რკინის გზის წესდების 94 მუხლის თანახმად:

1. პირველ ვაჭრობაში მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებანი და კოოპერატიული ორგანიზაციები.
2. იმ შემთხვევაში, თუ პირველი ვაჭრობა არ შედგა, ან ყველა ტვირთი არ გაიყიდება, მეორე ვაჭრობა შესდგება 1928 წლის 28 იანვარს.
3. მეორე და [illegible] ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა მსურველებს.

ის ტვირთი, რომელიც გაუყიდავი დარჩა წინანდელ ვაჭრობიდან, გაიყიდება ამ ვაჭრობაში ხელმეორეთ შეფასების თანხიდან. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში - მუშაობის დროს. ხოლო ვაჭრობის დღეს—ვაჭრობის დაწყებამდე.
ნ. 487

ექიმი
პ. ი. მგალობლიშვილი
სპეციალობა: კანის და ვენერიული დაავადებანი ათაშანგი
ავადმყოფ. ბის მიღება: დილით 8—9 ს. საღამოთი 5—7 ს. ლენინის ქუჩ. № 3. (ყ. მელიქ-აზარიანცის სახლი) ბინა № 2. 25—1

ექ. **ს. ი. ვოლოხი**
ქალთა სნეულებანი და ბებიობა მიღება საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა ბელგიის ქ. № 5 რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის ახლოს. ტელეფონი 10—80.
25-1

განათლების სახალხო კომისარიატის
სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიურ სექცია
ამით აცხადებს, რომ **შრომის სკოლის სახელმძღვანელოების განსახილველად წარმოდგენის უკანასკნელი ვადა არის:**
პირველი საფეხურისათვის—10 მარტი
მეორე საფეხურისათვის —15 აპრილი
სახელმძღვანელოების დასამუშავებლად საჭირო დირექტივებისა და საერთოდ ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება განათლების სახ. კომისარიატში ოთახი № 26.
სამეცნიერო საბჭოს პედაგოგიურ სექციის
ნ. 490 **თავმჯდომარე მარ. ორახელაშვილი.**

ქ. ბაქოდან დაბრუნდა და მსგავსათ წარსულ წლებისა (პრაქტიკა 1910 წ.
მათემატიკის
მასწავლებელი
ი. მაჩაიძე
ამზადებს სამხედრო აკადემიაში, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელ გამოცდებისათვის და 9 წლედი. მოწმობაზე, და ასწორებს სუსტ მოწაფეებსაც. აქვე რუსული ენის გაკვეთილები პლეხანოვის ქუჩა № 25 (შესავალი კუთხიდ.: ალექ.ის ქ. № 5). 9—12 ს. 2—5 საათ. ყოველ დღე
3—1—108

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი **მეგრაბიანცი**
ფილტვების, ძლიქის და გულის სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა
ხელოვნური მთის მზე. იონიოტერაპია. მიღება ყოველდღე დილ 9—1 და საღ. 6—8 საათ. ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩა 25—1

ექიმი
ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმ.
იღებს ავადმ. დილ 8—9 საათ. და საღ. 6—8 საათ. კამოს ქუჩ. № 72 (ყოფილი დიდ. მთავრის ქ.) 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე. დილ. 11—12 საათამდე და საღამო 7—8 საათამდე. 25—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, (შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეხსუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—4

იონა გაბიჩვაძე
პლეხანოვის მიხაილოვის) პროსპექტი 65 ვენერიული და კანის ავადმყოფობანი სიფილისი და მისი შედეგი დილით 7—8 ნახ. ს. საღამოს 5—8 ს.

ექიმი
ი. დ. თოფურიძე
მოსკოვის ქუჩა № 7
იღებს ავადმყოფებს (კანის, ვენერიული და სიფილისით) დაავადებულებს, აგრეთვე სასქესო ორგანოთა დაავადებით მკურნალობა გამოწვეული მწვავე და ქრონიკული გონორეით მიღება საღამოს 5—8 საათამდის. ნ. 25—11

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპა"-ს (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (ყ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.
25—

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი და ნერვიული სნეულებანი. ელექტრონის და სინათლის კაბინეტი ავადმყოფების მიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით, საღ. 7-8 საათ. მისამართი ლენინის (ოლღას) ქუჩა № 11, ტელ. 1—82 ს.
25—1

კბილის ტეხნიკოსის წოდების მისაღებად გამოცდები შესდგება კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე მხოლოდ ამა წლის ივნისში კურსების პროგრამით, რომლის შეძენა შეიძლება კურსებზე (პლეხანოვის პროსპ. № 126) იანვარში გამოცდები არ შესდგება. დაწვრილებითი პირობები გამოქვეყნებული იქნება ა. წ. მაისში.
კბილის ტეხნიკოსთა კურსების გამგე პროფ.
13—1 **გ. მ. მუხაძე.**

დაკარგა მუშკოოპის წიგნაკი სარქის გიორგის-ძე ღარიბოვის სახელზე, ჩ. გ. 1119

დაკარგა სააღრიცხვო ბარათი ლეჩხუმის მაზრის სამხედრო მაგიდის უფროსის მიერ მოცემული დავით ერმილეს-ძე ცხვედიანის სახელზე, ჩ. გ. 1118

დაკარგა პირადობის მოწმობა აიკანუშ ბეგლარის ასული ასლანიანის სახელზე, ჩ. გ. 1120

დაკარგა პირადობის მოწმობა და სამხედრო სააღრიცხვო ბარათი მიღებული ოზურგეთის სამხედრო მაგიდიდან ივანე იოსების-ძე ურუშაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 488

დაკარგა მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 5666 პოლიექტ ლაზარეს-ძე კაკალიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1121

დაკარგა დაზღვევის წიგნაკი № 926—ახალი და ძველი № 7/9 ილია პეტრეს-ძე კეკელიას სახელზე, ჩ. გ. 1122

პოლიგრაფტრესტის მე-6-ე სტამბა, კამოს ქ. № 68